"მეამბოხე მოსამართლეები" მაია ნადირაძის წინააღმდეგ

A4



ძლიერი მუზა

A5

კონჩიტა მარტინესი ჩოგბურთს დაემშვიდობა

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 17 აპრილი, 2006 წელი. №83 (1235) ფასი 50 თეთრი

ამბები

აფხაზური მხარე გუდაუთაში ქართველი სპეციალისტების შეშვებას არ ავირებს

A2

ამბები

სერგეი ბაბაფში აფხაზური პასპორტების გაცემის ტემპებით უკმაყოფილოა

A2

ამბები

რუმინეთის ხელისუფლება დუნაისგან თავდასაცავად ემზადება

A3

ამბები

„რამსფელდი შეუცვლელია"

A3

„ბრიტანეთის ავიახაზების" და „24 საათის" ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	17/04	18/04
თბილისი	15	23
ქუთაისი	18	18
სოხუმი	18	21
დმანისი	10	16
გორი	15	18
ონი	11	11
ზუგდიდი	21	22
ახმეტა	16	22
გაგრა	17	20
სამტრედია	21	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8270
ევრო	2.2270
გირვანქა სტერლ.	3.2190
რუბლი	0.0658

ამბები	A 2
ამბები	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
ტენდერი	A 6
ტენდერი	A 7
ტენდერი	A 8

კოსოვო და პოსტსაბჭოთა კონფლიქტები:

ანალოგიის არარსებობა ნიშნავს „პრეცედენტის" არარსებობას

ვლადიმირ სოკორი

გაგრძელება

რუსეთის პოლიტიკა იქითკენაა მიმართული, რომ დაფაროს მკვეთრი განსხვავებები კოსოვოს კონფლიქტსა და ოთხ პოსტსაბჭოთა კონფლიქტს შორის. ამ კონფლიქტებიდან თითოეულის ბუნების შეფასებისათვის ყველაზე ფუნდამენტური კრიტერიუმები შემდეგი სახისაა: 1 მოსახლეობის ეთნიკური კომპოზიცია; 2 მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება და ეთნიკური წმენდა; 3. საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის ფესვები და მიზეზები; 4. სეპარატიზმის პოლიტიკური მიზანი; 5. გარეშე ძალა, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი პოლიტიკური მოვლენების განვითარებას; 6. გარეშე სამხედრო ძალის არსებობა კონფლიქტის ზონაში; 7. მოლაპარაკებებისათვის საჭირო მექანიზმების არსებობა; 8. საერთაშორისო აღიარების მქონე სახელმწიფოს პოზიცია თავისი საზღვრების ფარგლებში არსებული სეპარატისტული პროცესისადმი.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ძირითად კრიტერიუმებს კონფლიქტების ხუთივე შემთხვევისათვის, მაშინ აშკარა ხდება მათ შორის არსებული განსხვავებები, თუმცა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის აზრით, ყველა კონფლიქტის მოგვარების პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ერთი "უნივერსალური მოდელი".

გაგრძელება A3 გვერდზე

ერთი პრეზიდენტის ერთგულები

კიდევ ერთი ინიციატივა ვლადიმირ პუტინის მესამე ვადასთან დაკავშირებით

სოფო ბუკია

ჩრდილოეთ ოსეთი კვლავ რჩება რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ მოწინავე სუბიექტად, საიდანაც ყველაზე საინტერესო იდეები და ინიციატივები მოდის. ბესლანის ტრაგედიიდან დაახლეობით ერთი წლის შემდეგ, ჩრდილოეთ ოსეთმა საკუთარი ინიციატივით უარი თქვა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე – ოსებმა ჩათვალეს, რომ ქვეყანაში მხოლოდ ერთი პრეზიდენტი უნდა იყოს და საკუთარი რესპუბლიკის მმართველს ეს ტიტული ჩამოართვეს.

ამჯერად ამ რესპუბლიკიდან კიდევ ერთი საპრეზიდენტო ინიციატივა წამოვიდა. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, სახელმწიფო სათათბიროს სპიკერისა და ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელის სამუშაო მაგიდებზე დღეს ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოგზავნილი მიმართვა დაიდება. ამ მიმართვის ინიციატორები, კონსტიტუციის შეცვლის მოთხოვნით, საერთოეროვნული რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვენ. მიზანი ერთია – პუტინს მესამე ვადით არჩევის უფლება მიეცეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ინიციატივის ობიექტი მესამედ გაპრეზიდენტების სურვილის საჭარო დემონსტრირებისგან ჭერჭერობით თავს იკავებს.

В არც ღვინო, არც წყალი

■ დაახლოებით ერთი კვირის წინ, კრემლის დარბაზში რუსეთის ფედერაციამ მინერალურ წყალ "ბორჯომს" ჯილდო "სახალხო მარკა" მეექვსედ გადასცა. 2006 წელს გამოკითხვაში რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა 150 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც "ბორჯომი" 2005 წლის საუკეთესო ბრენდად დაასახელეს.

■ რუსეთის მთავარი სანიტარი არ გამორიცხავს, რომ თუ შესაბამისი სამსახურები ფალსიფიცირებული "ბორჯომის" ქართულ წარმოშობას დაადგენენ, რუსეთში მისი იმპორტი, ღვინის მსგავსად, აიკრძალება.

■ "გაზეტა რუ" რუს ექსპერტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ "ბორჯომთან" მიმართებაში ხარისხის პრობლემა არ არსებობს, პრობლემა "ბორჯომის" მარკის მფლობელებს - ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილს უკავშირდება, რომლებიც "ბორჯომის" საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან.

"ამბობენ, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ სტალინს ერთი ჭიქა ქართული "ხვანჭკარას" დალევა უყვარდა, ინგლისის დედოფალს კი ისე მოსწონებია მოლდავური "ნეგრუ დე პურკარი", რომ ბუკინჰემის სასახლე ყოველ წელს რამდენიმე ყუთს უკვეთავს. თუმცა რუსეთისათვის სამეფო გემოვნება არაფერს ნიშნავს..." - ასე იწყება ერთ-ერთი უკრაინული გამოცემის სტატია სათაურით "გაზის ომიდან - ღვინის ომამდე". თუმცა, როგორც ამ დღეებში გაირკვა, რუსეთი ქართული მინერალური წყლებითაც დაინტერესდა. გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ახლახან "როსპოტრებნადზორმა" აღმოაჩინა, რომ მოსკოვის გარეუბანში ქართული მინერალური წყლის ფალტობრივი შემადგენლობა "ბორჯომის" საქვეყნოდ აღიარებულ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების ქვაკუთხედი სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მრწამსის, ეროვნებისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების კონსენსუსია სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითად პოსტულატებზე. ასეთი საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრთა მიმართ, ისევე როგორც სახელმწიფო ვალდებულია იკისროს პასუხისმგებლობა საკუთარ მოქალაქეებზე. სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობამ ერთის მხრივ ჩვენი თანამოქალაქეების, ხოლო მეორეს მხრივ კი საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოებრიობის მიმართ, გადაგვაწყვეტინა - მოგმართოთ ღია წერილით.

ტრაგედია, რომელსაც გვინდა შევეხოთ, გასცდა ერთი ოჯახის ფარგლებს და საერთო საზოგადო წუხილის და საფუძვლიანი აღშფოთების საბაბი გახდა. ახალგაზრდა ადამიანის დაღუპვა, მით უმეტეს ძალადობრივი გზით, თავისთავად დიდი უბედურებაა. მაგრამ, როდესაც ენით აღუწერელი სისასტიკითა და ცინიზმით ჩადენილ მკვლელობაში იმხილებიან სამართალდამცავი ორგანოების მაღალი რანგის თანამდებობის პირები, ჩადენილი დანაშაული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას და წარმოაჩენს სავალალო რეალობას, რომ ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ძალაუფლებით აღჭურვილი პირები თვითონ წარმოადგენენ სასიკვდილო საფრთხეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ფადი ფადის წინააღმდეგ

რომელია ნამდვილი?

კომპანია "ცელსიუსის" მფლობელები აცნობებენ საქართველოს საზოგადოებას, ხელისუფლებას, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომ 2006 წლის 14 აპრილიდან ფადი ასლის ჩამორთმეული აქვს კომპანია "ცელსიუსის" წარმოდგენის უფლებამოსილება.

2006 წლის 14 აპრილს კომპანია "ცელსიუსის" დირექტორმა იმად ელ ბექაიმ ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას ფადი ასლის შპს "ცელსიუსის" მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

აქედან გამომდინარე გაუქმდა ფადი ასლიზე გაცემული პროკურა, 14 აპრილამდე გაცემული ყველა შესაბამისი მინდობილობა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

რადგანაც "ცელსიუსის" აწ უკვე ყოფილმა წარმომადგენელმა ფადი ასლიმ უარი განაცხადა დოკუმენტაციის ოფიციალურად ჩაბარებაზე, "ცელსიუსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გამოაქვეყნოს დოკუმენტები მასმედიის საშუალებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფინანსურ პოლიციას ჭკუის სასწავლებლად უჩივიან

ბიზნესმენი ჰუსეინ ქამადაძე ფინანსურ პოლიციას სასამართლოში უჩივის. მისი თქმით, შარშან ძალოვნებმა მისი ფირმა თვენახევრის განმავლობაში უმოტივოდ დახურეს, რამაც, როგორც მას, ისე სახელმწიფოს, სერიოზული ზარალი მიაყენა. ბიზნესმენი სასამართლოში სიმართლის დამტკიცებას და ფინანსური პოლიციის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გეგმავს.

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

ჰუსეინ ქამადაძის ნაამბობის თანახმად, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა შარშან აგვისტოში მას შემდეგ მიაკითხეს, რაც ტელევიზიით მისი ფირმის მიერ გამოშვებული საღებავების სარეკლამო რგოლი გავიდა.

"ვერ ვიტყვი, რომ ეს მიზანმიმართულად მოხდა, მაგრამ ფინანსურმა პოლიციამ როგორც კი გაიგო საღებავების წარმოების დაწყების ამბავი, მეორე დღესვე მოვიდა. ფინანსური პოლიციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ლევან კიკნაველიძემ პირდაპირ გვითხრა: მიხეილ მახარაძე (მისი წინამორბედი – ე.დ.) **არ გეგონოთ, მაგარი ბიჭი ვარ, შეგამოწმებთ და დაგიჭერთ, მაგრამ შემიძლია არც დაგიჭირო, ეს თქვენზეა დამოკიდებული. ალბათ, გარიგებაზე წასვლას გულისხმობდა. ასე დაიწყო რევიზია,"** - აცხადებს ქამადაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ ფინანსურმა პოლიციამ ვერანაირი დარღვევა ვერ უპოვა, მაგრამ შემოწმების გაგრძელება საგადასახადო ინსპექციას დაავალა. საგადასახადომ კი ფირმას "აბსურდული ბრალდება" წაუყენა და 20 ათასი ლარით დააჯარიმა.

ქამადაძე მიიჩნევს, რომ მავანთა ეჭვების საფუძველზე ფირმის დახურვა, დალუქვა და დაყადაღება აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

"ფირმაში რევიზიის ჩატარება მუშაობის პროცესშიც იყო შესაძლებელი. არადა, თვენახევრის განმავლობაში გაგვაჩერეს. ამით კი მარტო მე კი არა, სახელმწიფომაც იზარალა. 2004 წელს მილიონი ლარის ბრუნვა გვქონდა. 2005-ში - ბრუნვის მილიონნახევრამდე აყვანას ველოდი, მაგრამ ყველაზე აქტიურ სეზონზე დაგვხურეს," - ამბობს მეწარმე.

გაგრძელება A4 გვერდზე

დია წერილი
საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ჰირველი გვერდიდან

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის ობიექტური, გამჭვირვალე და სწრაფი გამოძიება არ წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე ერთი სახელმწიფო ორგანოს, ან თუგინდ უმაღლესი თანამდებობის პირის ღირსებისა და პრესტიჟის საქმეს. სანდრო გირგვლიანის მკვლელების საკადრისი დასჯა და დანაშაულში მონაწილე ყველა პირის მხილება მთელი საზოგადოების, ყველა საკუთარი თავის პატივისმცემელი ადამიანის ღირსების საქმეა. გაბზარული ნდობის აღდგენის ერთადერთი საშუალება პირუთვნელი და შეულამაზებელი სიმართლეა, რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს ის. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, ამ საქმის ირგვლივ გაჩენილი კითხვების ამომწურავი პასუხი გაანელებს იმ აგრესიულ და უარყოფით მუხტს, რომელიც ამ დანაშაულმა საზოგადოებაში გააჩინა. ყველა სხვა გზა მიგვიყვანს მთელი სახელისუფლებო ვერტიკალის საბოლოო კომპრომეტირებასთან, რაც თავისთავად საფრთხის ქვეშ დააყენებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს.

"არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს", გვეუბნება სახარება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი პოლიტიკური ნება იქნება დანაშაულში მონაწილე ყველა პირის გამოვლენის და დასჯის გარანტი. სხვა შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა დანაშაულზე თანაბრად გადანაწილდება საზოგადოებასა და სახელმწიფოზე, თუ პირველი არ იქნება შეუვალი უზნეობის წინააღმდეგ, ხოლო მეორე არ გამოიჩენს საჭირო ნებას სიმართლის დასადგენად.

პატივისცემით,

აბაშიძე ზაზა; აბაშიძე ირინა; ალექსი-მესხიშვილი გოგი; ანდრონიკაშვილი კირა; ანდღულაძე ნოდარ; ამირეჯიბი ჭაბუა; ამაღლობელი რატი; ამონაშვილი თამუნა; აზარაშვილი ვაჟა; არჩვაძე რეზო; ახვლედიანი ერლომ; ბაგრატიონი ლიზა; ბაგრატიონი ნინო; ბაქრაძე ლაშა; ბერეგვაძე ნანი; ბულაძე ლაშა; გაბუნია გურანდა; გასვიანი გერონტი; გაჩეჩილაძე გია (უცნობი); გელაშვილი ნატო; გოგელია არჩილ; დეკანოსიძე თამარ; დიასამიძე ნიაზ; დოიაშვილი დავით; დოლიძე თათული; ეგაძე ოთარ; ესაძე რეზო; თაბუკაშვილი ლაშა; თაბუკაშვილი რეზო; თავაძე მანანა; თავხელიძე დავით; თარხან-მოურავი ნინო; თუმანიშვილი გივი; კაკაბაძე ნინია; კიკნაძე ზურაბ; კილურაძე ვანო; კობერიძე ოთარ; კობერიძე ნანა; კოკოჩაშვილი მერაბ; კორძაია-სამადაშვილი ანა; კოტეტიშვილი ვახუშტი; ლოლაშვილი ჟანრი; ლომოური ნოდარ; ლორთქიფანიძე გურამ; ლორთქიფანიძე გიგა; ლორთქიფანიძე მარიკა; მამალაძე ეკა; მაღრაძე დავით; მარგველაშვილი გიორგი; მემანიშვილი ნიკა; მეტონიძე ნატო; მეფარიძე არჩილ; მეფურიშვილი სალომე; მელვინეთუხუცესი ოთარ; მირზაშვილი გიკა; მირზაშვილი თენგიზ; მიქაძე ილია; მოლოდინაშვილი გივი; მორჩილაძე აკა; მუსხელიშვილი დავით; ნადირაშვილი შოთა; ნადირაშვილი დიტო; ნანეიშვილი თემურ; ნახუცრიშვილი გაგა; ნიჟარაძე ზურა; ჟვანია-ქადაგიძე ნინო; რამიშვილი ოთარ; როინიშვილი გია; სამადაშვილი ზაალ; საყვარელიძე დავით; სეფაშვილი მერაბ; სოტკილავა ზურაბ; სტურუა რობერტ; სუხიშვილი ილიკო; ტურაშვილი დავით; ფარულავა ია; ფეტვიაშვილი რუსუდან; ფოცხიშვილი ბასა; ძოძუაშვილი გოგი; ყარალაშვილი ნინო; ყუბანეიშვილი კოტე; ყიფშიძე ზურაბ; ყურაშვილი თამაზ; შათირიშვილი ზაზა; შენგელაია გიორგი; შენგელაია ნიკოლოზ; ჩარკვიანი ჯანსულ; ჩახავა მედეა; ჩხეიძე რეზო; ჩხიკვაძე რამაზ; ჭანკვეტაძე ნინელი; ჭირაქაძე გია; ჭოლოშვილი ლევან; ჭიჭინაძე თემიკო; ჭიჭინაძე დოდო; ხოშტარია გოგი; ხოტივარი ბუბა; ჯანიკაშვილი ბასა; ჯაბუა მაია.

ერთი პრეზიდენტის ერთგულები

ჰირველი გვერდიდან

აღნიშნული ინიციატივის ავტორია ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია "თანხმობა და სამართლიანობა". ამ ინიციატივას ოსი მაღალჩინოსნებიც იზიარებენ.

პუტინის მესამედ გაპრეზიდენტების სურვილი აღნიშნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას უკვე დიდი ხანია არ ასვენებს, წერილის გაგზავნა კი მხოლოდ იმიტომ გაჭიანურდა, რომ "ამგვარი მნიშვნელობის დოკუმენტს კარგად დამუშავება და მომზადება სჭირდება".

როგორც "თანხმობა და სამართლიანობის" აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი ვალერი გიზოევი ირწმუნება, მსგავსი ინიციატივის გახმაურება ორგანიზაციამ საკუთარი ნებით გადაწყვიტა. **"გულწრფელად გეუბნებით, ეს ჩვენი იდეაა, ზემოდან არავის უბრძანებია. ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები ცხადყოფს, რომ სწორი კურსით მივდივართ და ასე უნდა გავაგრძელოთ,"** – აცხადებს გიზოევი და თან შიშობს, რომ მთელს რუსეთში არ მოიძებნება ადამიანი, ვინც პუტინივით ეფექტურად მართავს ქვეყანას.

გიზოევი ირწმუნება, რომ პუტინის მესამედ "გამეფების" ინიციატივა მის ორგანიზაციას ეკუთვნის. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გიზოევის წამოწყებას მხარს უჭერს ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი თითქმის სრული შემადგენლობით. **"რესპუბლიკის მეთაურმა ჩვენი ინიციატივის შესახებ გაზეთებიდან შეიტყო, მაგრამ მან მხარი დაგვიჭირა ჩვენ და აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში მსგავსი შესწორებების შეტანა სამართლიანი და დროული იქნება,"** – სიხარულით უზიარებს გიზოევი საკუთარ განცდებს "გაზეტა.რუ"-ს.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაური თეიმურაზ მამსუროვი აღნიშნული წამოწყების კომენტირებისას ფრთხილი იყო. მან აღნიშნა, რომ ეს ინიციტივა მისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, აქვე იგი ხარობს იმით, რომ "ჩრდილოეთ ოსეთში საღად მოაზროვნე სამოქალაქო საზოგადოება იმდენად მომწიფდა და პოლიტიკურად გაიზარდა, რომ მსგავსი ინიციატივების მოფიქრება შეუძლია".

"ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ჩვენი მომავალია ამაზეა დამოკიდებული," - აღნიშნავს მამსუროვი.

"სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წინადადებას" მოსკოვამდე ჯერ არ მიუღწევია, მაგრამ "საღად მოაზროვნეების" ნაკლებობას სახელმწიფო სათათბიროშიც არ უჩივიან. მაგალითად, ფრაქცია "ედინაია როსიას" ოსი ეროვნების დეპუტატი არსენ ფაძაევი აბსოლუტურად ეთანხმება საკუთარ თანამემამულეებს და აცხადებს, რომ მსგავსი შინაარსის რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში მოსახლეობის 60-70 პროცენტი პუტინის მესამედ გაპრეზიდენტებას მიესალმება.

საკონსტიტუციო ცვლილებებისა და ვლადიმირ პუტინის მესამედ გაპრეზიდენტების ინიციატივა რუსეთის ფედერაციაში უკვე არაერთხელ წამოაყენეს. ორი წლის წინ სახელმწიფო სათათბირომ ივანოვოს საკანონმდებლო ორგანოს ინიციატივა "მოიგერია", სადაც ივანოველები საპრეზიდენტო ვადის ოთხიდან შვიდ წლამდე გაზრდას ითხოვდნენ. მაგადანიდან გამოგზავნილი ანალოგიური წინადადება "დუმა"-მ საერთოდაც არ განიხილა. გასული წლის სექტემბერში კი პრიმორიეს მხარის საკანონმდებლო ორგანომ ასევე უარი თქვა ერთერთი დეპუტატის ადამ იმადაევის სურვილის დაკმაყოფილებაზე. ეს უკანასკნელი პუტინის სიყვარულში ისე შორს წავიდა, რომ მისი ინიციატივის თანახმად პუტინს მესამედ კი არა იმდენჯერ შეეძლო გაპრეზიდენტება, რამდენჯერაც მის გულს გაუხარდებოდა.

თავად ამ ინიციატივების ობიექტი, მესამედ გაპრეზიდენტების სურვილის საჯარო დემონსტრირებისგან თავს იკავებს. თუმცა, როგორც რუსული მედია კრემლის წყაროებზე დაყრდნობით წერს, რუს ძალოვნებს მსგავს სცენარზე საბოლოო უარი ჯერ არ უთქვამთ. უკანასკნელად მესამე ვადის თემაზე პუტინმა გასული წლის დეკემბერში, ერთერთ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. **"მე კარგად ვიცი საკუთარი ადგილი,"** – ორაზროვანი განაცხადი გააკეთა რუსეთის პრეზიდენტმა.

ბოლო ხანებში, პუტინის "მემკვიდრის" თემის პარალელურად პრეზიდენტის უფლებამოსილების გახანგრძლივებაზე რუსეთში კვლავ აქტიურად ალაპარაკდნენ. "ლევადა-ცენტრ"-ის მიერ ჩატარებული უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების 60 პროცენტი, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, არ იქნება წინააღმდეგი კიდევ ოთხი წელი პუტინის პრეზიდენტობის ეპოქაში იცხოვროს.

რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სოციალური გამოკითხვების ამგვარი მაჩვენებელი რუსი ხალხის კონსერვატორული აზროვნებითა და მენტალიტეტის თავისებურებით აიხსნება. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსულ საზოგადოებაში კანონი მთავარ როლს არ თამაშობს. **"ჩვენთან პოლიტიკური მანქანა მხოლოდ პუტინის გარშემო ტრიალებს. რუსულ საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ პუტინის მასშტაბებს ვერავინ მიუახლოვდება. არის ასევე შიში იმისა, რომ არ დაიკარგოს ის, რაც არის. ამიტომ ხალხი მზადაა, რომ გარკვეული პირობებით თუ უპირობოდ გადახედოს კონსტიტუციას, რათა შეინარჩუნოს სტაბილურობისა და წესრიგის ის მყისიერი შეგრძნება, რომელიც საზოგადოებაში დღეს არსებობს,"** – აღნიშნავს კვლევითი ჯგუფის "მერკატორ"-ის ხელმძღვანელი დმიტრი ორეშკინი.

თავად ამ ინიციატივების ობიექტი, მესამედ გაპრეზიდენტების სურვილის საჯარო დემონსტრირებისგან თავს იკავებს. თუმცა, როგორც რუსული მედია კრემლის წყაროებზე დაყრდნობით წერს, რუს ძალოვნებს მსგავს სცენარზე საბოლოო უარი ჯერ არ უთქვამთ. უკანასკნელად მესამე ვადის თემაზე პუტინმა გასული წლის დეკემბერში, ერთერთ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. **"მე კარგად ვიცი საკუთარი ადგილი,"** – ორაზროვანი განაცხადი გააკეთა რუსეთის პრეზიდენტმა.

ბოლო ხანებში, პუტინის "მემკვიდრის" თემის პარალელურად პრეზიდენტის უფლებამოსილების გახანგრძლივებაზე რუსეთში კვლავ აქტიურად ალაპარაკდნენ. "ლევადა-ცენტრ"-ის მიერ ჩატარებული უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების 60 პროცენტი, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, არ იქნება წინააღმდეგი კიდევ ოთხი წელი პუტინის პრეზიდენტობის ეპოქაში იცხოვროს.

რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სოციალური გამოკითხვების ამგვარი მაჩვენებელი რუსი ხალხის კონსერვატორული აზროვნებითა და მენტალიტეტის თავისებურებით აიხსნება. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსულ საზოგადოებაში კანონი მთავარ როლს არ თამაშობს. **"ჩვენთან პოლიტიკური მანქანა მხოლოდ პუტინის გარშემო ტრიალებს. რუსულ საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ პუტინის მასშტაბებს ვერავინ მიუახლოვდება. არის ასევე შიში იმისა, რომ არ დაიკარგოს ის, რაც არის. ამიტომ ხალხი მზადაა, რომ გარკვეული პირობებით თუ უპირობოდ გადახედოს კონსტიტუციას, რათა შეინარჩუნოს სტაბილურობისა და წესრიგის ის მყისიერი შეგრძნება, რომელიც საზოგადოებაში დღეს არსებობს,"** – აღნიშნავს კვლევითი ჯგუფის "მერკატორ"-ის ხელმძღვანელი დმიტრი ორეშკინი.

მას ეთანხმება პოლიტიკურ ტექნოლოგიათა ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსეი მაკარკინი: **"ხალხს აშინებს ცვლილებები და კონკურენტუნარიანი გარემო პოლიტიკაში, რადგან ეს მათთვის 90-იან წლებთან ასოცირდება, როდესაც სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა იყო. რუსი ხალხის კონსერვატული ბუნება აიძულებს მას, ჩაეჭიდოს პრეზიდენტს. ამგვარი განწყობა რუსეთში ყველა სოციალურ ჯგუფშია. მეწარმეები აცხადებენ - "ჩვენ არსებულ სიტუაციას შეჩვეულები ვართო", ხოლო რიგითი მოქალაქეები "თავის დროზე გაცემული ხელფასებით" აპელირებენ,"** – აღნიშნავს მაკარკინი.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, კონსტიტუციის გადახედვის მზაობა რუსულ საზოგადოებაში შეიძლება შეიცვალოს მაშინ, როდესაც კრემლი პრეზიდენტის "მემკვიდრეს" დაასახელებს.

"როდესაც "მემკვიდრე" დასახელდება, პუტინისთვის განკუთვნილ ხმათა ნაწილი მის ანგარიშზე გადაინაცვლებს. დასახელებისთანავე "მემკვიდრეს" გარანტირებული აქვს 20-პროცენტიანი რეიტინგი, რომელიც მისი სასტარტო კაპიტალი იქნება და რაც მას საკუთარ საარჩევნო ოპონენტებზე გაცილებით მაღალ პოზიციაზე დააყენებს," – აცხადებს მაკარკინი.

ორეშკინის აზრით კი, რუსული საზოგადოება უკვე იმდენად მიჩვეულია ბრძად სჯეროდეს პუტინის, რომ ამ რწმენის გადამისამართება რთული იქნება. **"ამიტომ ვფიქრობ, რომ არავითარი "მემკვიდრე" არ იქნება. იქნება ახალი სახელმწიფო, მაგალითად, რუსეთისა და ბელარუსიის კავშირი, რომელსაც კარგად ნაცნობი პრეზიდენტი ეყოლება,"** – აცხადებს ორეშკინი.

მოკლედ

დიდი ბრიტანეთი ირანთან ომს არ აპირებს

გასულ უქმეებზე გავრცელებული ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა პრეზიდენტი ბუში წინასწარ გააფრთხილა, რომ ლონდონი არ აპირებს აშშ-ს სამხედრო მხარდაჭერას ირანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო კამპანიაში. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, დაუნინგ სტრიტის ეს პოზიცია გადახედვას არ ექვემდებარება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაშინგტონის ქმედებებს საერთაშორისო თანამეგობრობა დაუჭერს მხარს. ამის შესახებ კვირას, დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებაში ანონიმ წყაროზე დაყრდნობით "სკოტსმენი" წერდა. როგორც იგივე წყარომ ბრიტანულ გაზეთს განუცხადა, ლონდონი მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯების მომხრე იქნება. თუმცა, იქვე გაზეთი აზუსტებს, რომ ტონი ბლერი მთლიანად ეთანხმება გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ თეირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას. ტონი ბლერი თურმე სრულად იზიარებს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის პოზიციასაც, რომელიც ისლამური რესპუბლიკის შემდგომი "ურჩობის" შემთხვევაში, თეირანის მიმართ მკაცრი ზომების მიღებას ითვალისწინებს. **24 საათი**

რუსეთის "სასწრაფო დახმარება" ჰამასს

კრემლი მზადაა პალესტინის ავტონომიის სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც ძირითადად რადიკალური მოძრაობა "ჰამასის" აქტივისტებისგანაა დაკომპლექტებული, ფინანსურად დაეხმაროს. რუსული ფინანსური "შემწეობის" ოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება. ამის შესახებ, ინფორმაცია სააგენტო "აფრ"-მა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელზე დაყრდნობით გაავრცელა. სააგენტოს მტკიცებით, გადაწყვეტილება რუსეთის მიერ პალესტინის ავტონომიისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის შესახებ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვსა და პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტს მაჰმუდ აბასს შორის გამართული სატელეფონო საუბრისას იქნა მიღებული. "როიტერის" ინფორმაციით, ლავროვსა და აბასს შორის გამართულ სატელეფონო საუბრისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ "ხელი უნდა შეუწყოს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის განვითარებას". აღსანიშნავია, რომ ლავროვსა და აბასს შორის სატელეფონო საუბარი მას შემდეგ შედგა, რაც ევროკავშირმა და აშშ-მ უარი თქვეს პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობასთან კონტაქტების დამყარებაზე, ვიდრე მას ჰამასის ლიდერები ხელმძღვანელობენ. დასავლეთის ამ განცხადებაზე რუსეთს ნეგატიური რეაქცია ჰქონდა, მაგრამ ამავდროულად, მოსკოვმა ჰამასისგან ისრაელის არსებობის აღიარება მოითხოვა. აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ პალესტინის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცალკეულ პირებთან საქმიან, ოფიციალურ ურთიერთობებზე აკრძალვა დააწესა. სანქციების დაწესება მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ პალესტინის ავტონომიას რადიკალური დაჯგუფება ჰამასის ლიდერები მართავენ, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ჰყავთ შეყვანილი. აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ აკრძალვაში, გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და გაეროს ამერიკელ თანამშრომლებს არ ეხება. სხვა შემთხვევაში, პალესტინის ავტონომიასთან თანამშრომლობისათვის აშშ-ს ორგანიზაციებსა და კომპანიების მიმართ სერიოზული სანქციები გატარდება. **ინტერპრესნიუსი**

ნინო ბურჯანაძე დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 19 აპრილს, სამდღიანი სამუშაო ვიზიტით, დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ნინო ბურჯანაძის შეხვედრები თემთა პალატის თავმჯდომარესთან მაიკლ მარტინთან, სახელმწიფო მინისტრთან დუგლას ალექსანდერთან, ბრიტანეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ჯეიმს არბუტნოტთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან მაიკ გეიპთან, ბრიტანეთის პარლამენტის საქართველოსა და ევროკავშირის გაფართოებაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელებთან, საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის გენერალურ დირექტორთან სარა ბივერთან, ლორდთა პალატის წევრებთან, დიდი ბრიტანეთის დელეგაციასთან ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში და ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელ პირებთან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სტრატეგიული სწავლების საერთაშორისო ინსტიტუტში (IISS) ანალიტიკოსებს შეხვდება, სადაც წაიკითხავს ლექციას თემაზე "გამოწვევები უსაფრთხოების საკითხებსა და კონფლიქტების მოგვარებაში". ეკონომიკისა და პოლიტიკური ხელოვნების ლონდონის უმაღლეს სკოლაში (LSE) კი პარლამენტის თავმჯდომარე სტუდენტების, პროფესორ მასწავლებლების, ანალიტიკოსების აუდიტორიაში საქართველოს შესახებ ისაუბრებს. გამოსვლის თემა "კონფლიქტების მოწესრიგებისა და რეგიონალური თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები" იქნება. ლონდონში გაიმართება შეხვედრები ქართულ დიასპორასთან, სამხედრო და უსაფრთხოების საერთაშორისო ექსპერტებთან, დიდი ბრიტანეთის არასამთავრობო სექტორთან, ქართულ-ბრიტანულ საზოგადოებასთან. თემთა პალატის ბიბლიოთეკაში კი ხელი მოეწერება ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს პარლამენტში ბიზნესისა და ეკონომიკური ცენტრის დაფუძნების შესახებ. ინტერპრესნიუსი

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია აშშ-ში გაემგზავრება

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება. ქართულ დელეგაციას პარლამენტის ვიცე-სპიკერი ჯუმალ ნინოშვილი უხელმძღვანელებს. ქართული დელეგაცია შტატებში ამერიკის კონგრესის დელეგაციის ხელშეწყობის კომისიის მონვევით საპარლამენტო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩავა. დელეგაციის წევრები ვაშინგტონსა და კოლუმბიაში შეხვედრებს გამართავენ. დელეგაციის შეამდგენლობაში არიან დეპუტატები: ირინა ქურდაძე, ლევან ბეჟაშვილი, დავით ზურაბიშვილი, ნინო ნაკაშიძე და ირაკლი კოვზანაძე. საპარლამენტო დელეგაცია საქართველოში 29 აპრილს დაბრუნდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

აფხაზური მხარე გუდაუთაში ქართველი სპეციალისტების შეშვებას არ აპირებს

გუდაუთის სამხედრო ბაზაზე მონიტორინგის ჩატარების თაობაზე ქართული მხარის მოთხოვნას, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა პასუხობს. მისი თქმით, რუსულმა მხარემ შეასრულა სტამბულის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და გუდაუთიდან თავისი სამხედრო ბაზა ჯერ კიდევ 2001 წელს გაიყვანა. შამბა მიიჩნევს, რომ იმ ბაზის ინსპექტირება, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს და ეს ეუთოს კომისიამაც დაადასტურა, არ არის საჭირო, მაგრამ თუ რუსეთი და ეუთო აუცილებლად მიიჩნევენ ბაზაზე მონიტორინგის ჩატარებას, აფხაზური მხარე ამას გაითვალისწინებს.

სერგეი შამბას თქმით, გუდაუთის ყოფილი რუსული ბაზის მონიტორინგის ჩასატარებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველ სპეციალისტებს არ შეუშვებენ. „ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ინსპექტირებაში ქართული მხარის მონაწილეობისა", - აღნიშნა შამბამ.

ცნობისთვის: გუდაუთაში სამხედრო ბაზის ტერიტორიაზეა ამჟამად დსთ-ს სამშვიდობო მისიის შვეულმფრენთა რაზმია განლაგებული. იქ იმყოფება ოთხი შვეულმფრენი და 130 სამხედრო მოსამსახურე. **მედიანიუსი**

სერგეი ბაგაფში აფხაზური პასპორტების გაცემის ტემპებით უკმაყოფილოა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზეთის ნაციონალური პასპორტების გაცემის საკითხზე თათბირი ჩაატარა, რომელსაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯინბა, პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ადლეიბა, შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ხეცია, ადმინისტრაციული რაიონებისა და სოხუმის ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარტის საპასპორტო-სავიზო სამსახურებისა და შსს ქალაქისა და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ბაგაფშმა უკმაყოფილება გამოთქვა ნაციონალური პასპორტების გაცემის ტემპთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამის მიზეზია საპასპორტო-სავიზო სამსახურების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა, კადრების უკმარისობა და მოსახლეობის ინერტულად განწყობა. სერგეი ბაგაფშმა რაიონის ხელმძღვანელებისა და საპასპორტო-სავიზო სამსახურების წარმომადგენლებისგან მოითხოვა, რომ მოქალაქეებმა თავისუფლად მოიპოვონ შესაბამისი ცნობები და შეექმნათ ელემენტარული კომფორტი.

ბაგაფშის თქმით, პასპორტები, პირველ რიგში, უნდა აიღონ სახელმწიფო სამსახურების ყველა დონის ხელმძღვანელებმა და საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლებმა. ბაგაფშმა ქალაქების, რაიონებისა და საპასპორტო-სავიზო სამსახურების ხელმძღვანელებს ნაციონალური პასპორტების ხარისხიანად გაცემაზე პერსონალური ვალდებულება დააკისრა. **მედიანიუსი**

განცხადება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

შპს "კანარგო დეველოპმენტი" რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიერ 2004 წლის 21 დეკემბერს. რეგისტრაციის №5ა/4-4397 ქ.თბილისში, იუმაშევის ქ.№23-ში ახორციელებს ნავთობპროდუქტების ბაზის რეკონსტრუქციას. რეკონსტრუქციის შემდეგ ნავთობპროდუქტების ბაზის სიმძლავრე გაიზრდება 156 800 ტონამდე წელიწადში;

დაინტერესებულ პირებს საწარმოს საქმინობის შესახებ დოკუმენტაციისა და გარემოზეზემოქმედების ანგარიშის გასაცნობად შეუძლიათ მიმართონ დირექტორს ედიშერ მამალაძეს.

ტელ: 877 79 79 07, საწარმოს იურიდიული მისამართია ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზირი №74ბ;

საწარმო დაინტერესებული პირებისაგან მიიღებს მოსაზრებებს, რომელთა წარმოდგენის საბოლოო ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 კალენდარული დღე;

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა მოეწყობა 2006 წლის 01 ივნისს 13:00 საათზე, შპს. "კანარგო დეველოპმენტის" ოფისში ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზირი №74ბ;

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაესწროს საჯარო განხილვას.

დირექტორი ედიშერ მამალაძე

განცხადება

მიმდინარეობს შპს "ლასკარი"-ს ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ: ქ. ფოთი, რკ.კვარა 61/1.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის .N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს **ვარდნილჰესების კასკადის I სადგურის და გუმათჰესების კასკადის I სადგურის ღია გამანაწილებელი მოწყობილობის რეაბილიტაციის** შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა. სატენდერო კომისიაში სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში. აღტერნატიული წინადადებები არ განიხილება და შეფასებისთვის არ დაიშვება.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. სამუშაო უნდა განხორციელდეს არსებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. მიწოდება უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მისამართზე. საქონლის და მისი თანმდევი მომსახურების მიწოდების ვადაა 2006 წლის 10 დეკემბერი;

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 მაისიდან 12 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10. მე-4 სართული, სამინისტროს კანცელარია.

შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე, უცხოურ ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს. საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. **იურიდიული პირებისათვის**:

ა) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

g) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

g) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ცნობა, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

ბ) ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არანაკლებ 1 000 000 ლარის მოცულობის.

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტში დადგენილ მოთხოვნებს.

8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც მოხდება სატენდერო წინადადების შეფასება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი

ფადი ფადის წინააღმდეგ

წერილი, რომელიც ფადი ასლიმ არ გაიბარა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბატონო ასლი,

წინამდებარე წერილით გაცნობებთ, რომ 2006 წლის 13 აპრილს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც დამფუძნებელმა მოვითხოვე შპს "ცელსიუსი"-ს და შპს "აგროტექნიკის ჯგუფი"-ს საბუთების და ბუღალტერიის შემოწმება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტები, ისევე, როგორც კომპანიების ბეჭდები, ოფისიდან უნებართვოდ გაიტანეს ჩვენთვის უცნობმა პირებმა, რის გამოც არ მომეცა საშუალება განმეხორციელებინა კომპანიების დამფუძნებლის უფლებები. შემდგომი შემოჭრის ან დოკუმენტების დატაცების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვიქირავეთ დაცვა ნუცუბიძის ქ. N1-ში განთავსებული ჩემი კომპანიის "ცელსიუსი"-ს დასაცავად.

ვწუხვართ, რომ თქვენ მიერ დარღვეულია საწარმოს მართვის ვალდებულებები და თქვენ არ სცემთ პატივს შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" თანაბარი პარტნიორის უფლებებს, ისევე, როგორც არ ასრულებდით ჯეროვნად თქვენი, როგორც დაქირავებული პირის ვალდებულებებს. სხვა დარღვევებთან ერთად, არანაირ ინფორმაციას არ მაწოდებდით კომპანიის საქმიანობის შესახებ და არც პარტნიორთა კრებაში მონაწილეობის საშუალებას მაძლევდით, თანაც თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებოდა კომპანიის ინტერესებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დაქირავებულმა დაცვამ დაიკავა ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე საწყობი, სადაც კომპანია "ცელსიუსი"-ს მალფუჭებადი პროდუქტი (ხილი და ხორცი) ინახება. ყოველი დღე და საათი, რომელსაც კარგავს კომპანია აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციამდე, დაკავშირებულია შესაბამის ზარალთან. ვინარჩუნებთ უფლებას, პირადად მოგთხოვოთ ზარალის ანაზღაურება აღნიშნულთან დაკავშირებით. ამდენად, დაბეჯითებით მოვითხოვთ, შეწყვიტოთ ჩვენი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება, გაათავისუფლოთ ჩვენი ქონება და გამოიყვანოთ დაცვა აღნიშნული ფართიდან.

წინამდებარე წერილით მოვითხოვთ: **ა.** ჩაგვაბაროთ კომპანია "ცელსიუსი"-ს ოფიციალური ბეჭდები და დოკუმენტაცია, რომლებიც არაუფლებამოსილმა პირებმა გადამალეს, ისევე, როგორც კომპიუტერები, სადაც ინახება შესაბამისი ინფორმაცია. როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია "ცელსიუსის" ოფისში გამოკრული განცხადებიდან, თქვენ გათავისუფლებული ბრძანებით თანამდებობიდან და გეკრძალებათ ყოველგვარი მოქმედება "ცელსიუსი"-ს სახელით; **ბ.** ამავე წერილით ვითხოვთ, დაუყოვნებლივ მისცეთ ჩემი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს და მათ წარმომადგენლებს შპს "აგროტექნიკის ჯგუფი"-ს და ყველა სხვა კომპანიის ბუღალტერიის, ჩანაწერების და სხვა დოკუმენტების შემოწმების საშუალება, სადაც მე პირადად, ან "აგროტექნიკის ჯგუფს" გააჩნია წილობრივი მონაწილეობა. ამდენად, მოვითხოვთ მისცეთ ჩემი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შემოწმების ჩატარების საშუალება და აღმოუჩინოთ მათ ნებისმიერი აუცილებელი დახმარება; **გ.** როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად თქვენ, როგორც დირექტორს და სავაჭრო წარმომადგენელს (პროკურისტს) გევალებოდათ თქვენი ვალდებულებების შესრულება კეთილსინდისიერად და კომპანიის ქონების გაფრთხილება ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით, კომპანიისავე ინტერესების გათვალისწინებით. იმედს ვიტოვებთ, რომ კომპანიის ინტერესები თქვენი ქმედებით არ დაზიანებულა და არ გადაგიციათ საწარმოს ქონება ან საქონელი სხვა პირებისათვის. თქვენ, ასევე, გეხებოდათ კონკურენციის შეზღუდვის ნორმები აღნიშნულ კომპანიებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება სხვა, კონკურენტ კომპანიებში მონაწილეობით პარტნიორის თანხმობის გარეშე, რაც მე თქვენთვის არასოდეს მომიცია; **დ.** აქვე როგორც შპს "აგროტექნიკის ჯგუფი"-ს დირექტორს, ოფიციალურად გთხოვთ, მოიწვიოთ პარტნიორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. დირექტორის გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან; 2. უკანასკნელი სამი წლის საქმიანობის შესახებ დირექტორის ფინანსური ანგარიშის მოსმენა; 3. სხვადასხვა საკითხები.

აქვე ოფიციალურად ვადასტურებ, რომ მე, ფადი ნაჰასი ვაუქმებ თქვენთვის გადმოცემულ ნებისმიერ რწმუნებას, რომელიც უფლებას განიჭებდათ, გემოქმედათ ჩემი ან "აგროტექნიკის ჯგუფი"-ს სახელით "აგროტექნიკის ჯგუფთან", შპს "აგრიტრეიდინგთან" ან სხვა კომპანიებთან დაკავშირებით, სადაც მე წარმოვადგენ პარტნიორს პირდაპირ ან სხვა კომპანიების მფლობელობიდან გამომდინარე. ამდენად, თქვენ არ გაგაჩნიათ უფლება, წარმოადგინოთ ჩემი ინტერესები ან დადოთ ნებისმიერი გარიგება ჩემი სახელით. ვაცხადებ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება ჩემი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება.

გაცნობებთ, რომ თქვენ არ წარმოადგენთ კომპანია "ცელსიუსი"-ს მიერ დაქირავებული ფართის მესაკუთრეს და შესაბამისად, არ გაგაჩნიათ არანაირი იურიდიული უფლება, მოგვთხოვოთ ჩვენ მიერ დაკავებული ოფისის დატოვება, ერთადერთი პირი, რომელიც უფლებამოსილია გვესაუბროს იჯარის შესახებ, არის ფართის მესაკუთრე. თუმცა ჩვენი გაფრთხილება თქვენ ყურად არ იღეთ და ჩვენს წარმომადგენლებს იძულებით დაატოვებინეთ კომპანიის ოფისი.

დაბოლოს, არ მიგვაჩნია აუცილებლად შეგახსენოთ ფიდუციური ურთიერთობების, რწმუნებულის ვალდებულებების დარღვევის შედეგები, ისევე, როგორც დირექტორისა და სავაჭრო წარმომადგენლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობისა და სხვისი ქონებრივი უფლებების ხელყოფის შედეგები.

გულწრფელად,
ფადი ნაჰასი, შპს "ცელსიუსის" და "აგროტექნიკის ჯგუფის" დამფუძნებელი

14 პრილი 2006 წელი

გადაწყვეტილება ფადი ასლიზე გაცემული პროკურის გაუქმების შესახებ

მე, შპს "ცელსიუსი"-ს დირექტორმა, იმად ელ ბექაიმ, რომელიც ემოქმედებ ჩემდამი მონიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, რაც დასტურდება ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 14 აპრილს გაცემული ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან, განვიხილე შპს "ცელსიუსში" ფადი ასლისზე (დაბ. 28.03.1958წ. ბეირუთში, მცხ. ლიბანის რესპუბლიკაში) გაცემული პროკურის გაუქმების საკითხი და შესაბამისად, გადავწყვიტე: გაუქმებულ იქნას ფადი ასლიზე გაცემული პროკურა და ფადი ასლიზე გაცემული ყველა შესაბამისი მინდობილობა, რომელიც დღემდე გაცემულ იქნა ჩემს მიერ ჩაითვალოს ძალადაკარგულად. შესაბამისად ფადი ასლის ჩამოერთვას შპს "ცელსიუსი"-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენის უფლება.

შესაბამისი ცვლილებები დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში.

შპს ცელსიუსის დირექტორი იმად ელ ბექაი Imad el-Bekai

14 April, 2006

Decision on Cancellation of Trade Representation (Procura) for Fady Asli

I, Imad El Bekai, acting in the capacity of the Director of the LLC "Celsius" acting in my capacity, which is certified with the excerpt issued by the Tax Inspection of Tbilisi on 14.04.2006 considered the issue of cancellation of the trade representation (Procura) and all other authorities for Fady Asli (born on 28.03.1958, in Beirut, domiciled in Libya Republic) and decided to revoke the trade representation (Procura) for Fady Asli and all the Power of Attorneys or any other authorization issued in the name of Fady Asli. Therefore, Mr. Fady Asli shall not be authorized to represent the interests of the company "Celsius" in front of any authority or private or public person.

It is herein decided to make relevant amendments to the entrepreneurial registry.

The Director of the LLC "Celsius" Imad El Bekai Imad el Bekai

თბილისი ქალაქი ნუცუბიძის ქუჩა №1 შპს „Libya" ნაცვლად იგულისხმება „Liban".

To: Mr. Fady Asli
From: Mr. Fadi Nahas
Subject: Documents and execution of the responsibility of the manager

Dear Mr. Asli,

We would like hereby to notify that on April 13, 2006 we have requested in accordance with the Law on Georgia on Entrepreneurs the documents and books of the company regarding the management and operations of LLC "Agritechnics Group" and LLC "Celsius". However, the documents were, we believe taken from the office by unauthorized individuals and we were unable to exercise the rights of the founder of the companies. The seals of both companies are also missing. Therefore, to avoid further intrusion and loss of documents we have hired the guards to secure the premises located in Tbilisi, at Nutsubidze St. #1 which was rented by "Celsius" and held for years.

I would like to notify you that as we know you are not the landlord of the premises and therefore you are not in a position to ask "Celsius" to leave the premises rented by us. The only authority we shall discuss our contractual relations over the office is the landlord and you do not have any legal right to demand us to leave the premises.

Finally, we consider it needless to remind you of the consequences of the violations of the fiduciary and due care duties by the director and the trade representative and the responsibility for infringing the proprietary rights of others.

Sincerely,

Fadi Nahas

April 15th 2006

კოსოვო და პოსტსაბჭოთა კონფლიქტები: ანალოგიის არარსებობა ნიშნავს „პრეცედენტის" არარსებობას

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მოსახლეობის ეთნიკური კომპოზიცია: კოსოვოს მოსახლეობის 90 პროცენტს ალბანელთა სატიტულო ეთნიკური ჯგუფი შეადგენდა; რაც შეხება დნესტრისპირეთს, აქ სეპარატისტული მოძრაობა არასატიტულო, ნაწილობრივ არაადგილობრივმა რუსულენოვანმა ეთნიკურმა უმცირესობამ დაიწყო, რომელიც მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენდა; აფხაზეთში - სატიტულო ადგილობრივი მოსახლეობის 17 პროცენტიანმა უმცირესობამ; სამხრეთ ოსეთში კი - ეთნიკური უმრავლესობის 70 პროცენტმა, თუმცა სამაჩაბლოს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, (იქ მცხოვრები მოსახლეობის 30 პროცენტი) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ლოიალური რჩება; რაც შეეხება ყარაბაღს, აქ კონფლიქტის დაწყებამდე ეთნიკურ უმრავლესობას - 75 პროცენტს სომხები შეადგენდნენ, თუმცა შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებების დროს მათ დამატებით აზერბაიჯანელთა ტერიტორიებიც დაიკავეს.

მოსახლეობის იძულებით გადაადგილება და ეთნიკური წმენდა: სერბების მიერ კოსოვოს ალბანელების ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრაში დიდია დასავლეთის სამხედრო ძალების დამსახურება; მოლდოველებისა და ქართველების შედარებით მცირე ნაწილს მოუხდა იძულებით დაეტოვებინა დნესტრისპირეთი და სამხრეთ ოსეთი; რაც შეეხება აფხაზეთსა და ყარაბაღს, იქ ქართველებისა და აზერბაიჯანელების მასობრივ ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი, ეს იყო გარემოება, რომელიც იმ ეტაპზე სათანადოდ არ იყო აღქმული საერთაშორისო საზოგადოების მიერ, შესაბამისად, მათი შედეგების აღმოფხვრის მცდელობაც არ ყოფილა.

საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის ფესვები: კოსოვოს კონფლიქტი განპირობებულია ეთნიკური და პოლიტიკური ფაქტორებით; რაც შეეხება დნესტრისპირეთს, მიუხედავად დომკვიდრებული სტერეოტიპისა, იქ ინტერ-ეთნიკური საფუძველი მთავარი არ არის, მას უფრო პოლიტიკური და გეოპოლიტიკური კონფლიქტის სახე აქვს; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ეთნიკური მიზეზებითაა განპირობებული, აღსანიშნავია, რომ ოსეთის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე რუსეთის ფარგლებში არსებული ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობას; დაბოლოს, რაც შეეხება ყარაბაღს, აქ უნდა ვეძიოთ კონფლიქტის ეთნიკური და რელიგიური საფუძვლები.

პოლიტიკური მიზანი: სეპარატისტების პოლიტიკური მიზნები განსხვავდება ერთმანეთისაგან. კოსოვო თავისუფლებისათვის იბრძოდა, დნესტრისპირეთი სტატუს ქვოს შენარჩუნებისათვის, სამხრეთი ოსეთი რუსეთთან გაერთიანებისათვის, ყარაბაღი სომხეთთან შეერთებიათვის, რაც შეეხება აფხაზ სეპარატისტებს, ისინი შესაძლოა გავყოთ ორ ჯგუფად, ესენი არიან: ეროვნულად მოაზროვნენი და პრორუსული ორიენტაციის მქონენი.

გარეშე პოლიტიკური ძალა: კოსოვოში გაერო-ს ეგიდით დასავლეთი ჩაერია; დნეტსრისპირეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთი; ხოლო ყარაბაღში -სომხეთი.

სამხედრო მხარდაჭერა: კოსოვოს კონფლიქტში ჩართულნი იყვნენ ნატო-ს, აშშ-სა და ევროკავშირის ჯარები, დნეტსრისპირეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროები; ხოლო ყარაბაღში - სომხეთი.

კონფლიქტის გადაჭრისათვის არსებული მექანიზმები: კოსოვოს შემთხვევაში, ძირითადად გამოიყენება კონფლიქტის გადაჭრის დასავლური მექანიზმები; დნესტრისპირეთსა და აფხაზეთში დომინანტურია პრობლემის მოგვარების რუსული მექანიზმი. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გადაჭრის რუსეთის მიერ კონტროლირებული მექანიზმებია მიღებული; ხოლო, რაც შეეხება ყარაბაღს, აქ არსებული კონფლიქტის გადაჭრა საერთაშორისო კონტექსტში ხდება.

საერთაშორისო აღიარების მქონე ხელისუფლების პოზიცია თავის საზღვრების არსებული სეპარატისტული პროცესისადმი: სერბეთი (ალბანელებისათვის თავისუფლების მინიჭებისა და მათი საერთაშორისო აღიარებისათვის) თავისი თანხმობისათვის გარკვეულ პირობებს აყენებს; დასავლეთისაგან მხარდაჭერილი მოლდოვა და საქართველო ასეთ თანხმობაზე არ მიდიან, და მას სრულიად გამორიცხავენ; ხოლო აზერბაიჯანი და სომხეთი კი კონფლიქტის მოგვარებას საერთაშორისო აქტორების მონაწილეობით ცდილობენ.

ამრიგად, აღნიშნული 5 კონფლიქტი მოიცავს უამრავ სიტუაციასა და გარემოებას, რომლებიც სრულად აბათილებენ ოფიციალური მოსკოვის პრეტენზიას ყველა ზემოთხსენებულ შემთხვევაში "ცალსახა სტანდარტი" და "უნივერსალური მოდელი" იყოს გამოყენებული.

ᲐᲛᲙᲚᲔᲓ

რუმინეთის ხელისუფლება დუნაისგან თავდასაცავად ემზადება

მდინარე დუნაის დონემ, უკანასკნელი 100-ზე მეტი წლის მანძილზე რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. რუმინეთსა და სერბიაში ხელისუფლებამ მთელი დასახლებული პუნქტების ევაკუაცია განახორციელა და ცდილობს არ გაწმეორდეს შარშანდელი წყალდიდობა, რომლის დროსაც ათაეულ ათასობით ჰექტრი დაიტბორა. ბალკანეთის მთავარ მდინარეებში - დუნაიში, სავეში, ტისეში და ტამიშში წყლის დონის ზრდა მეხუთე დღეა გრძელდება. დუნაის დინების სიჩქარე წამში 16 ათასს კუბომეტრს შეადაგენს, რაც აპრილის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება.

სტატისტიკის თანახმად, რომელსაც 1840 წლიდან აწარმოებენ, ამგვარი მაჩვენებელი მხოლოდ ერთხელ, 1895 წელს დაფიქსირდა. ქალაქ ბაზიასში, რომელიც რუმინეთისა და სერბეთის საზღვარზე მდებარეობს, წყლის დონე უკანასკნელი 111 წლის მანძილზე ყველაზე მაღალ ნიშნულზე აინია.

შარშან, რუმინეთი ბოლო 12 წლის მანძილზე, წყალდიდობის გამო ყველაზე მეტად დაზარალდა. ამჯერად, სამხრეთ-დასავლეთის რაიონებში ხელისუფლებამ ქალაქებისა და სოფლების დატბორვისაგან გადასარჩენად, მინდვრების და ველების დატბორვა დაიწყო.

ხელისუფლება 400-კილომეტრიან მონაკვეთზე 90 ათასი ჰექტარის დასატბორად მზადაა.

სერბეთში, წყალდიდობის შედეგად სოფელ სტარი კოსტოლაჩში ადგილობრივი მკვიდრი დაიღუპა. წყალმა ამ სოფელში ორასზე მეტი სახლი სახურავამდე დატბორა. ქალაქ ნივისადში წყლის დონე იკლებს, მაგრამ კვლავ დატბორვის საშიშროების ქვეშ რჩება ქალაქი ბელგრადი.

ბულგარეთში დატბორვის საშიშროების ქვეშაა დუნაის სამხრეთ ნაპირზე არსებული დასახლებული პუნქტები. ქალაქ ვიდინთან 1200 კაცისთვის შექმნილია კარვის ქალაქი. ხელისუფლებამ რამოდენიმე რაიონიდან მოსახლეობის ევაკუირება განახორციელა. **ინტერპრესნიუსი**

„რამსფელდი შეუცვლელია"

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა და თავდაცვის მინისტრმა, დონალდ რამსფელდმა კატეგორიულად უარყვეს პენტაგონის შეფის გადაყენების მოწოდება. შეგახსენებთ, ამ მოწოდებით ერაყთან დაკავშირებით ამერიკის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ყოფილი გენერლები გამოდიან. ტელეკომპანია "ალ-არაბიასთავის" მიცემულ ინტერვიუში, რამსფელმა განაცხადა, რომ თუ კრიტიკის თითოეულ შემთხვევას ოფიციალური პირების შეცვლა მოჰყვება, პოლიტიკური პროცესი კარუსელს დაემსგავსება. რამსფელდის აზრით, გადამდგარი გენერლების მოსაზრებები არასწორია. "ეს ხალხი ახლა აღარ მსახურობს, ისინი პენსიაზე არიან და განცხადებებს ამ პოზიციიდან აკეთებენ. თავისთავად ეს ნორმალური რამაა - თუმცა არ ნიშნავს, რომ ისინი მართლები არიან," - ამბობს პენტაგონის ხელმძღვანელი. გასულ პარასკევს პრეზიდენტმა ბუშმა წერილობითი განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ რამსფელდს ბუშის სრული მხარდაჭერა აქვს შეერთებული შტატებისთვის "ისტორიულ და გამოწვევებით აღსავსე პერიოდში". რამსფელდის გადაყენებას ექვსი ყოფილი გენერალი მოითხოვს. **რადიო თავისუფლება**

კომპანია "ცელსიუსის" ოფისში მომხდარი ინციდენტის დროს დაცვის ორი თანამშრომელი დაშავდა

15 აპრილს თბილისში კომპანია "ცელსიუსის" კუთვნილ ოფისში კრიმინალური ფაქტი მოხდა - კომპანიის დაცვის თანამშრომლები შენობიდან უკანონოდ გამოაძევეს ფადი ასლის თანმხლებმა პირებმა. კონფლიქტის დროს დაშავდა დაცვის ორი თანამშრომელი.

კონფლიქტი კომპანია "ცელსიუსის" მფლობელს ფადი ნაჰასსა და საქართველოში კომპანიის წარმომადგენელს ფადი ასლის შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც ინვესტორი ფადი ნაჰასი საქართველოში თავისი კუთვნილი კომპანიების "ცელსიუსის" და "აგროტექნიკის ჯგუფის" საქმიანობის შესასწავლად ჩამოვიდა.

კომპანია "ცელსიუსის" 100 პროცენტის და "აგროტექნიკ ჰოლდინგის" 50 პროცენტის მფლობელმა ბიზნესმენმა ფადი ნაჰასმა 15 აპრილს მომხდარი კრიმინალურ ფაქტად შეაფასა.

ფადი ნაჰასი საქართველოში ჩამოვიდა კომპანია "ცელსიუსის", "აგროტექნიკის ჯგუფის" და მასთან დაკავშირებული კომპანიების საქმიანობის შემოწმების და ფინანსური ანალიზის მიზნით, ვინაიდან ბატონ ფადი ნაჰასს აღნიშნული კომპანიების დირექტორი და "ცელსიუსის" სავაჭრო წარმომადგენელი ფადი ასლი არ აწვდიდა არანაირ ინფორმაციას კომპანიების საქმიანობის, მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ და ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით მისი ნება იყო აბსოლუტურად იგნორირებული.

ფადი ნაჰასს, როგორც კომპანიების დამფუძნებელს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მიეცა საშუალება განეხორციელებინა თავისი უფლებები საკუთარ კომპანიებში. მისი წარმომადგენლები ფადი ასლის თანმხლებმა პირებმა უკანონოდ გამოაძევეს იმ ოფისიდან, რომლის ქირასაც ნაჰასი თავად იხდის და სადაც იმყოფება კომპანიის ქონება და მთელი დოკუმენტაცია.

ფადი ნაჰასის ადვოკატის ქეთი ქვარცხავას განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა არავის აძლევს უფლებას სააღსრულებო ფურცლის გარეშე შენობიდან ძალით გამოიყვანოს ადამიანი. "თუკი მხარეებს შორის არის დავა და თუ ბატონ ასლის რაიმე ჰქონდა საწინააღმდეგო კომპანია "ცელსიუსის" წარმომადგენლების მიმართ, მას აღნიშნული საკითხი უნდა მოეგვარებინა სწორი სამართლებრივი მეთოდებით, მართლმსაჯულების ორგანოების მეშვეობით,"- აცხადებს ადვოკატი.

ფადი ნაჰასის განცხადებით, მათი აწ უკვე ყოფილი წარმომადგენლის ფადი ასლის ქმედებები არღვევს ინვესტორის და მესაკუთრის უფლებებს და არ შეესაბამება ბიზნეს ეთიკის და ბიზნესის ცივილური წარმოების არანაირ ნორმებს.

ინფორმაციისათვის : 1998 წელს ფადი ნაჰასის მიერ დაფუძნებული კომპანიების "ცელსიუსისა" და "აგროტექნიკის ჯგუფის" საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება საქართველოში "სადიას" ქათმის პროდუქტების, ხორცის სხვა პროდუქტებისა და ამერიკული კომპანიის "Doll" ხილის დისტრიბუციას.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს

საგრანტო კონკურსს

საუკეთესო დოკუმენტური ფილმების პროექტების გამოსავლენად

კონკურსის მიზანია

გამოვლინდეს ორი საუკეთესო პუბლიცისტური, დოკუმენტური ფილმის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაფინანსდება ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ.

კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ სატელევიზიო სტუდიებს.

კონკურსის პირობები

- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ფილმი უნდა იყოს პუბლიცისტურ-დოკუმენტური ჟანრის;
- დოკუმენტური ფილმის პროექტის შინაარსობრივი თემატიკა უნდა იყოს აქტუალური და თანამედროვე ქართული სინამდვილის ამსახველი;
- ამავე დროს ფილმების თემატიკა უნდა ემსახურებოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვის მიზანს.
- პროექტის ფარგლებში განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტური ფილმის შინაარსი და სტრუქტურა (სცენარის მონახაზი), ასევე ფილმის მომზადების მეთოდოლოგია;
- პროექტით გათვალისწინებული დოკუმენტური ფილმის მომზადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 8 კვირას.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სატელევიზიო სტუდიებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ორგანიზაციის ან/და პროექტის ძირითადი თანამშრომლების მიერ წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტების ნუსხა (სასურველია თან ერთვოდეს ვიდეო მასალა DVD ფორმატში)
- დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 8 000 აშშ დოლარს.

კონკურსის პრიორიტეტული თემატური სფეროებია: სოციალური პრობლემები, ინტეგრაცია, მულტიკულტურალიზმი, გენდერული საკითხები, პოლიტიკური პლურალიზმი, ძალადობის პრობლემა.

*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" იზრუნებს გამარჯვებული პროექტების დაფინანსების შედეგად მომზადებული ფილმების სატელევიზიო ეთერით გადაცემაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 4 აპრილიდან 4 მაისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.

საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

ცვლილებები სტრასბურგის სასამართლოს პროცედურებში

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სარჩელის შეტანის პროცედურებთან დაკავშირებით ცვლილებები იგეგმება. არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრების განცხადებით, ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე მანანა კობახიძე და სამართლებრივი ასისტენტი ქეთევან მეხუზლა ევროსასამართლოში საქმის წარმოებით დაინტერესებული ქართველი ადვოკატებისა და იურისტებისათვის მრგვალ მაგიდას გამართავენ. შეხვედრაზე "კონსტიტუციის 42-მუხლის" ადვოკატები კოლეგებს ევროსასამართლოში მიმდინარე ცვლილებებზე დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან.

გასულ კვირას, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საქართველოდან ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები იყვნენ მიწვეულები.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე 30 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მათ შორის ისეთი ორგანიზაციების, როგორიცაა - "Amnesty International" (გაერთიანებული სამეფო), ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტი, საერთაშორისო დაცვის ცენტრი (რუსეთის ფედერაცია), "Interights" და ა.შ.

შეხვედრაზე ევროსასამართლოს პრეზიდენტმა, ვიცეპრეზიდენტმა, სექციის რეგისტრატორმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა ძირითადად იმსჯელეს ევროსასამართლოში საქმის განხილვის ახალ პროცედურებზე, შესაძლო სამომავლო ცვლილებებზე და სხვა საკითხებზე. განხილვის თემა იყო - ევროპის სასამართლოში განაცხადის მიღებისა და დასაშვებად ცნობის პროცედურის გართულება, მომხსენებლის მიერ საქმის განსახილველად მომზადება და შემდგომი განაცხადის დასაშვებობის გადაწყვეტა, რომელსაც, მომავალში, ნაცვლად სამი მოსამართლისა, ერთი მოსამართლე გადაწყვეტს.

სამუშაო შეხვედრის ერთი ნაწილი დაეთმო წევრი-სახელმწიფოების მხრიდან ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობასა და აღსრულების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ასევე საქმის მეგობრული მოგვარების საკითხებს. შეხვედრა დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა - მონაწილეებს მომხსენებლების მიერ განხილულ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება ჰქონდათ. შეხვედრის მონაწილეებს ევროსასამართლოში გარკვეული რეკომენდაციები და პრაქტიკული რჩევები მისცეს და სახელმძღვანელო ლიტერატურაც გადასცეს.

24 საათი

"მეამბოხე მოსამართლეები" მაია ნადირაძის წინააღმდეგ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ეგრეთ წოდებული "მეამბოხე მოსამართლეები", საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მაია ნადირაძის წინააღმდეგ, სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ.

როგორც ყოფილი მოსამართლე, მერაბ ტურავა აცხადებს, მოსმართლეები მაია ნადირაძეს "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" მე-18 მუხლის საფუძველზე უჩივიან, რომელიც პიროვნების "პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვას" გულისხმობს.

საქმე ეხება მაია ნადირაძის მიერ სატელევიზიო ეთერით გაკეთებულ განცხადებას, როდესაც მან აღნიშნა, რომ 2003 წლამდე მოქმედი მოსამართლეები კორუმპირებულები იყვნენ.

მერაბ ტურავა მაია ნადირაძეს "საპარლამენტო პოლიტიკური სექტის" ლიდერს უწოდებს.

მერაბ ტურავა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს "საპარლამენტო პოლიტიკური სექტის" ლიდერს უწოდებს და ამორალური განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს.

"პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მაია ნადირაძე ხელმძღვანელობს, ქვეყანა უბედურებისკენ მიჰყავს. ხელისუფლების მიზანია მონათა სასამართლოს შექმნა. დღესდღეობით მოსამართლეების თანამდებობაზე ინიშნებიან ისეთი პირები, რომელთა კვალიფიკაციაც მოსამართლის თანაშემწის თანამდებობასაც კი არ შეესაბამება, თუმცა მათ ნიშნავენ იმიტომ, რომ ასეთი ადამიანების მწყემსვა ადვილია", - აცხადებს ყოფილი მოსამართლე.

ინტერპრესნიუსი

ფინანსურ პოლიციას ჭკუის სასწავლებლად უჩივიან

პირველი გვერდიდან

ყველაზე სერიოზული დარღვევა, რაც საგადასახადომ ქამადაძეს აღმოუჩინა, ფირმის მიერ სესხად აღებული ფული გახლდათ. ფირმამ 400 ათასი ლარი 10 პროცენტიანი სესხის ხელშეკრულებით აიღო. საგადასახადოში ჩათვალეს, რომ ქამადაძეს ხელშეკრულებაში 24 პროცენტი უნდა დაეფიქსირებინა. ამის გამო მას 10 ათასი ლარის სანქცია დააკისრეს. ბიზნესმენის განცხადებით, ეს თითიდან გამოწოვილი, უკანონო ბრალდებაა.

"ფულის სესხების დროს, ანუ, როცა ფირმა სესხის პროცენტს იხდის, ეს თანხა მას ხარჯებში ეთვლება და ამაზე გადასახადს - მოგების 20 პროცენტს არ იხდის. თანხა მხოლოდ 10 პროცენტით იბეგრება. კოდექსით 24 პროცენტზე ზევით აღებული სესხი ხარჯში აღარ გვეთვლება. თუმცა აქ არაფერია ნათქვამი 24-ზე ნაკლებ პროცენტზე," - აცხადებს ქამადაძე.

5-ათასიანი საჯარიმო სანქცია კი ქამადაძემ ლურსმნების გამო მიიღო. კერძოდ, როგორც ქამადაძე ამბობს, **"50-მილიმეტრიანი ლურსმანი მიწერია მეტობაში, ანუ, როგორც აღურიცხავი საქონელი, ხოლო 60-მილიმეტრიანი - ნაკლებობაში. ამ დროს მათი ღირებულება ერთნაირია და ბუღალტერიაში არანაირად არ აისახება. ორივე მათგანზე სანქცია დაგვაკისრეს."**

აჭარის ფინანსურ პოლიციაში ხელმძღვანელობა დიდი ხანია შეიცვალა, ამიტომ წინამორბედთა საქმიანობაზე ახლანდელი ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს. საგადასახადო ინსპექციაში კი კომენტარისგან თავი იმ მოტივით შეიკავეს, რომ **"საქმე სასამართლოშია, ობიექტურ გადაწყვეტილებას იგი გამოიტანს. საჯარიმო სანქციით კი ყველა მეწარმე უკმაყოფილოა"**.

"სუპერ ლოტოს"-ს 16 აპრილის №2 გათამაშების ცხრილი

ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა
000003	3	001425	26	003011	4	008306	3	009692	4	013693	4	014426	4	016184	4	016561	4	017434	3	018126	3	018571	3	021519	12	021940	4	023415	4	023980	3
000004	3	001437	4	003013	3	008309	3	009697	3	013700	4	014459	4	016196	3	016573	3	017446	3	018174	3	018579	3	021539	3	021946	12	023424	4	024593	3
000016	12	001446	4	003016	3	008312	12	009703	3	013728	4	014949	4	016206	3	016589	12	017449	3	018194	3	018591	3	021544	3	021952	3	023432	3	024602	4
000017	26	001448	3	003033	3	008360	3	009732	3	013745	3	014952	3	016210	4	016598	4	017454	4	018199	3	018602	3	021552	3	021994	3	023449	4	024607	3
000019	4	001456	3	003034	4	008384	4	009744	4	013780	3	014959	3	016212	4	016620	3	017469	12	018207	4	018613	4	021554	26	021995	3	023457	4	024608	12
000025	4	001460	3	003038	3	008400	3	009764	3	013781	4	014989	4	016215	3	016626	4	017478	3	018223	3	018625	4	021558	4	021999	3	023459	3	024631	3
000026	4	001483	3	003045	3	008416	3	009767	4	013782	26	015525	3	016222	4	016639	3	017483	3	018233	3	018642	3	021562	4	022167	4	023479	4	024669	3
000042	3	001496	4	003051	3	008419	3	009776	4	013806	3	015528	4	016229	4	016680	4	017530	3	018253	3	018648	3	021565	4	022171	26	023487	3	024684	4
000060	3	001499	3	003059	4	008440	4	009780	3	013818	3	015537	3	016231	3	016749	4	017533	3	018263	4	018665	4	021569	3	022172	12	023511	4	024689	4
000085	4	001558	3	003063	4	008452	3	009784	4	013823	4	015595	3	016257	12	016754	4	017544	3	018282	3	018666	3	021579	4	022188	3	023522	3	024689	4
000101	3	001568	4	003064	4	008471	3	009786	3	013826	4	015610	4	016262	3	016763	3	017558	4	018283	4	018674	4	021580	3	022196	3	023527	12	024703	4
000271	3	001570	4	003088	3	008474	3	009843	3	013849	3	015622	3	016271	4	016782	3	017571	3	018285	4	018691	3	021585	4	022200	3	023537	4	024707	4
000289	4	001587	3	003100	44	008488	4	009858	3	013897	4	015623	3	016277	3	016815	4	017574	4	018295	3	018693	4	021591	4	022203	12	023548	3	024712	3
001011	4	001588	3	003112	26	008500	4	009892	3	014123	4	015644	4	016279	3	016837	3	017584	4	018298	4	018702	3	021607	3	022223	100	023549	4	024717	3
001027	3	001632	3	003121	3	009027	3	009959	3	014126	4	015648	4	016287	3	016894	4	017642	3	018300	4	018714	3	021626	4	022235	3	023562	3	024737	3
001030	4	001641	4	003122	3	009110	4	009973	3	014139	4	015648	300	016296	4	016895	3	017643	3	018314	3	018746	3	021631	4	022274	3	023565	3	024773	4
001039	4	001645	4	003129	3	009163	4	009976	3	014202	3	015649	4	016303	3	017001	4	017666	4	018327	3	018748	4	021637	3	022306	3	023571	4	024779	4
001040	4	001646	3	003160	4	009170	3	009992	3	014232	4	015651	3	016304	4	017020	3	017672	3	018328	3	018758	12	021650	3	022352	3	023597	3	024780	4
001054	3	001680	3	003177	12	009171	4	009995	3	014256	4	015683	4	016307	4	017049	3	017702	4	018336	3	018760	3	021677	3	022354	3	023602	3	024784	3
001061	4	001699	4	003180	12	009191	200	009997	4	014257	3	015696	4	016339	3	017054	3	017719	3	018341	3	018770	3	021696	44	022360	4	023606	4	024790	3
001069	3	001706	4	003193	3	009221	3	012271	3	014284	4	015698	3	016343	44	017070	4	017724	3	018347	44	018771	12	021697	4	022370	26	023616	4	024816	200
001072	4	001710	3	003203	3	009222	3	012281	3	014285	3	015726	4	016345	4	017076	3	017726	3	018350	4	018797	3	021698	4	022398	4	023618	3	024817	4
001110	4	001718	3	003205	4	009234	3	012292	3	014296	4	015749	4	016363	3	017087	3	017743	3	018386	4	018821	26	021709	3	022422	3	023643	4	024824	3
001120	4	001723	3	003222	3	009506	3	012297	3	014298	4	015867	4	016376	3	017092	3	017749	3	018395	3	018828	3	021711	4	022449	3	023645	4	024829	3
001126	3	001771	4	003346	3	009509	4	012312	4	014303	3	015878	3	016384	3	017105	4	017750	3	018397	3	018841	3	021712	160	022450	3	023660	4	024863	3
001134	44	001783	3	003367	3	009515	3	012313	4	014308	3	015888	12	016385	4	017112	26	017753	3	018410	3	018842	3	021716	3	022467	4	023683	3	024864	3
001143	4	001801	4	003375	3	009523	4	012318	3	014315	3	015893	3	016401	3	017139	12	017766	3	018440	4	018870	4	021725	4	022471	3	023705	4	024869	3
001155	4	001848	4	003384	4	009530	3	012352	12	014323	3	015898	3	016433	4	017145	3	017781	3	018442	3	018900	4	021734	3	023037	3	023708	4	024870	3
001168	4	001857	3	003393	4	009531	26	012368	4	014324	4	016001	4	016434	3	017190	3	017806	3	018446	12	018915	4	021738	4	023098	3	023725	3	024871	3
001170	3	001860	3	003409	4	009552	4	012372	3	014343	3	016002	3	016441	4	017192	4	017807	3	018450	3	018934	3	021755	4	023113	3	023732	4	024872	3
001173	4	001883	3	003410	4	009553	3	012418	3	014345	12	016009	4	016445	3	017200	3	017826	4	018460	3	018935	3	021758	3	023145	12	023745	3	024873	3
001199	4	001884	44	003422	3	009572	3	012426	12	014348	3	016034	3	016448	12	017212	3	017863	12	018467	4	018943	3	021760	3	023173	3	023746	4	024874	3
001220	3	001886	3	003444	3	009576	3	012428	3	014353	12	016037	4	016451	3	017218	4	017871	3	018475	3	018969	3	021768	4	023180	3	023762	3	024875	3
001229	3	001900	3	003447	4	009584	3	012450	4	014360	3	016040	4	016453	4	017234	3	017887	12	018476	3	018981	3	021780	4	023198	3	023779	4	024876	3
001233	3	001924	4	003476	12	009600	3	012469	3	014377	4	016049	3	016456	3	017241	4	018012	3	018477	4	018983	3	021783	3	023203	4	023792	3	024877	3
001242	3	001995	4	008186	3	009604	3	012484	3	014378	3	016068	3	016457	3	017256	4	018017	4	018495	3	018989	4	021788	12	023204	3	023809	4	024878	3
001250	4	002011	4	008191	4	009607	3	012492	4	014387	3	016080	3	016458	4	017273	4	018020	3	018497	3	018993	4	021800	3	023210	3	023840	3	024879	3
001257	3	002012	3	008193	4	009616	3	013525	4	014388	3	016086	4	016460	4	017294	3	018024	26	018511	3	018998	3	021823	4	023218	4	023842	3	024885	3
001281	4	002015	3	008219	12	009622	3	013542	4	014399	3	016113	3	016465	4	017317	3	018030	3	018524	3	018999	500	021843	3	023240	4	023843	3	024898	12
001288	4	002024	4	008220	3	009629	3	013549	4	014402	3	016125	3	016469	4	017336	3	018034	4	018534	3	019794	4	021856	4	023362	3	023845	4	024913	3
001300	26	002032	4	008235	44	009650	3	013591	4	014407	4	016130	44	016480	4	017339	3	018036	4	018549	3	019800	3	021867	44	023371	3	023846	3	024920	3
001305	4	002063	3	008250	3	009652	4	013597	4	014411	3	016162	4	016488	12	017380	4	018044	3	018550	3	021253	4	021869	4	023372	4	023921	4	024936	4
001306	3	002068	3	008256	4	009656	3	013652	4	014412	3	016166	3	016496	26	017383	4	018054	3	018553	4	021315	3	021896	4	023374	3	023953	4	024938	12
001309	4	002070	3	008263	3	009659	3	013670	4	014415	4	016174	3	016500	4	017387	26	018058	3	018556	4	021382	3	021919	3	023392	3	023959	3	024960	4
001319	4	002073	4	008267	4	009662	4	013672	4	014416	26	016177	4	016501	4	017411	4	018079	4	018561	4	021390	4	021924	3	023399	4	023961	4		
001356	3	003004	3	008275	3	009666	3	013675	3	014417	3	016178	3	016542	3	017414	4	018083	3	018562	3	021512	3	021936	4	023407	3	023967	4		
001376	3	003009	3	008276	4	009681	4	013686	3	014419	3	016180	3	016552	3	017431	3	018110	3	018565	200	021513	4	021938	4	023412	12	023976	4		

გათამაშების მიმდინარეობა

სვლის ნომერი	ამოსული კოჭები	მოგებულის რაოდენობა	მოგებული თანხა	სვლის ნომერი	ამოსული კოჭები	მოგებულის რაოდენობა	მოგებული თანხა	სვლის ნომერი	ამოსული კოჭები	მოგებულის რაოდენობა	მოგებული თანხა	სვლის ნომერი	ამოსული კოჭები	მოგებულის რაოდენობა	მოგებული თანხა	სვლის ნომერი	ამოსული კოჭები	მოგებულის რაოდენობა	მოგებული თანხა	სვლის ნომერი	ამოსული კოჭები	მოგებულის რაოდენობა	მოგებული თანხა
1	77	0	0	15	40	0	0	29	22	0	0	43	32	0	0	57	82	0	0	71	86	0	0	85	17	107	4
2	25	0	0	16	58	0	0	30	33	0	0	44	85	0	0	58	38	0	0	72	81	0	0	86	34	174	4
3	37	0	0	17	78	0	0	31	73	0	0	45	24	1	200	59	6	0	0	73	56	0	0	87	27	395	3
4	51	0	0	18	55	0	0	32	28	0	0	46	20	0	0	60	69	0	0	74	62	0	0				
5	10	0	0	19	1	0	0	33	41	0	0	47	88	0	0	61	48	0	0	75	74	0	0				
6	84	0	0	20	26	0	0	34	44	0	0	48	54	0	0	62	21	0	0	76	76	0	0				
7	9	0	0	21	19	0	0	35	7	0	0	49	53	0	0	63	18	0	0	77	67	1	500				
8	42	0	0	22	83	0	0	36	35	0	0	50	52	0	0	64	11	0	0	78	8	0	0				
9	36	1	100	23	59	0	0	37	80	0	0	51	66	0	0	65	72	0	0	79	5	0	0				
10	2	0	0	24	70	0	0	38	57	0	0	52	14	0	0	66	46	0	0	80	75	2	200				
11	4	0	0	25	45	0	0	39	30	0	0	53	43	0	0	67	49	0	0	81	47	1	160				
12	87	0	0	26	29	0	0	40	65	0	0	54	89	0	0	68	61	1	300	82	60	9	44				
13	15	0	0	27	31	0	0	41	71	0	0	55	3	0	0	69	23	0	0	83	63	15	26				
14	79	0	0	28	68	0	0	42	64	0	0	56	39	0	0	70	50	0	0	84	90	33	12				

ჯეკპოტი რომელიც 3500 ლარს შეადგენდა 31-ე სვლაზე არ გათამაშდა

სტუდიაში დასწრება
ბილეთის ნომრის ბოლო სამი ციფრი
8 6 9

ამოუსვლელი კოჭები
12, 13, 16

მოკლედ

ახალი დირექტორი "ქართულ ფილმს"

"ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიას ახალი აღმასრულებელი დირექტორი ჰყავს. ამ პოსტზე რეჟისორი რეზო ჩხეიძე დავით თარხნიშვილმა შეცვალა.

თარხნიშვილის განცხადებით, ჯერჯერობით იგი მხოლოდ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზეა წარდგენილი. "რაც შეეხება რეზო ჩხეიძეს, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი "ქართული ფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა", - განაცხადა თარხნიშვილმა.

ჟურნალი "მნათობი" აღდგება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის განცხადებით, კათოლიკოს პატრიარქის ფონდის - "სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება" ძალისხმევით უახლოეს მომავალში ჟურნალი "მნათობი" აღდგება. ეს პატრიარქმა განახლებულ ჟურნალ "ცისკრის" პრეზენტაციაზე განაცხადა.

მან მოუწოდა ქართველ ბიზნესმენებს, როგორც შეუძლიათ, ისე დაეხმარონ ამ წამოწყებას. "ჩვენს ბიზნესმენებს შეუძლიათ ჟურნალის 50 ნომერი შეიძინონ, თითო, მაგალითად, 10 ლარად და შემდეგ, თავიანთი ავტოგრაფით დამშვენებული, ნაცნობ-მეგობრებს დაურიგონ", - განაცხადა პატრიარქმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მსხვერპლი ვარსკვლავთან გამოთხოვებისას

ხუთი დაღუპული, ათეულობით დაშავებული, 25 დამწვარი ავტომანქანა, დარბეული მაღაზიები – ასეთია ინდური კინოს თაყვანისმცემელთა კერპთან, რაჯ კუმართან გამოთხოვების შედეგები.

სამხრეთში მდებარე ქალაქ ბანგალორში საკულტო მსახიობის დაკრძალვის ცერემონიაზე 25 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. პოლიციის მიერ დაწესებული შეზღუდვებით უკმაყოფილო მგლოვიარე ფანებმა სტადიონზე, სადაც მსახიობის ცხედარი ესვენა, ავტობუსი დაწვეს და პოლიციელთა კორდონებს ქვები დაუშინეს.

ბანგალორის პოლიცია იძულებული გახდა ბრბოს შესაკავებლად არა მარტო ხელკეტები, არამედ ცრემლსადენი გაზი და ცეცხლსასროლი იარაღი გამოეყენებინა. შედეგად, ერთი ადამიანი ჭყლეტაში დაიღუპა, სამი კი - ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით. დაიღუპა ერთი პოლიციელიც.

რაჯ კუმარის სამმა ვაჟმა კრემაციის წეს-ჩვეულების შესრულება მას შემდეგ მოახერხა, რაც პოლიციამ ძალის გამოყენებით ბრბო გამოთხოვების რიტუალის ადგილიდან განდევნა.

რაჯ კუმარი 78 წლის ასაკში ოთხშაბათს გულის შეტევით გარდაიცვალა. ის 200-ზე მეტ ფილმშია გადაღებული. გარდა ამისა, მსახიობს ჩაწერილი აქვს საკუთარი სიმღერების რამდენიმე ალბომი. 2000 წელს რაჯ კუმარი ვირაპანის კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა გაიტაცეს და 100 დღის განმავლობაში ჰყავდათ დატყვევებული.

"მინდიას" პრემიერა

25 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა "მინდიას" პრემიერა. მინდიას პარტიას თეიმურაზ გუგუშვილი და გიორგი ონიანი ასრულებენ. სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ ირინე რატიანი, ხათუნა ჭოხონელიძე, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი, მამუკა ტეფნაძე, ტარიელ ჭიჭინაძე და სხვები. ოპერის დამდგმელი დირიჟორია ზაზა აზმაიფარაშვილი, რეჟისორი - გეორგ რუტერინგი, მხატვარი - პოლინა რუდჩიკი. კოსტიუმების დიზაინი ნელი კილასონიას ეკუთვნის. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მოტივებზე შექმნილი ოპერის ლიბრეტოს ავტორია რეზო თაბუკაშვილი. საპრემიერო ჩვენებები 25, 26 და 28 აპრილს გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

სპილბერგის ახალი ამბლუა

2008 წლის პეკინის ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალის დადგმაში მონაწილეობას მიიღებს ცნობილი ამერიკელი რეჟისორი სტივენ სპილბერგი.

სპილბერგი კონსულტაციებს გაუწევს ცერემონიალის მთავარ რეჟისორს, მსოფლიო კინოსამყაროში აღიარებულ ჩინელ ხელოვანს ჩჟან იმოუს. ნიშანდობლივია, რომ სპილბერგის ბოლო ნამუშევარი ოპლიმპიადის თემატიკას შეეხება. "მიუნხენი" 1972 წლის ოლიმპიადის კულუარულ ამბებს მოუთხრობს მაყურებელს. შემოქმედებით ჯგუფში ასევე მიწვეულია სიდნეის ოლიმპიადის გასხსნისა და დახურვის ცერემონიალის რეჟისორი რიკ ბერჩი. პეკინში ოლიმპიადა 2008 წლის 8 აგვისტოს გაიხსნება.

ფოტოგამოფენა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში

დღეს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბ "ამირანში" ლიტერატურულ სალონ "დიაოხის" თაოსნობით გაიხსნება ტაო-კლარჯეთის ქართული ტაძრების ამსახველი ფოტოგამოფენა.

გამოფენაზე დასწრება თავისუფალია. ექსპოზიციის გახსნის შემდეგ გაიმართება დისკუსია, რომელშიც ასევე ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება. როგორც "დიაოხის" ხელმძღვანელმა იკა ქადაგიძემ განაცხადა, ფოტოები ტაო-კლარჯეთიდან ახალგაზრდულმა ექსპედიციამ ჩამოიტანა. "ჩვენ გვსურს საზოგადოებამ იმსჯელოს იმ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რაც საქართველოს ისტორიულ ნაწილში – ტაო-კალრჯეთში დაგვრჩა. ამ გამოფენიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართული ტაძრები სასწრაფო რეაბილიტაციას ითხოვენ", - განაცხადა ქადაგიძემ.

ჯაზი თსუ-ში

დღეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ჯაზის მოყვარულებს კონცერტზე იწვევს. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიგ-ბენდთან ერთად მაყურებლის წინაშე წარდგებიან სოლისტები: ტონი ომეილი (დიდი ბრიტანეთი), თაკო გაჩეჩილაძე, ბორის ბედია და მაია ბარათაშვილი. კონცერტი 16 საათზე დაიწყება.

გიორგი ხოსიტაშვილის ფოტოგამოფენა

თბილისის ისტორიული მუზეუმი უმასპინძლებს გიორგი ხოსიტაშვილის ფოტოგამოფენას "წარსულის დასასრული". გამოფენაზე XX საუკუნის დასასრულის პოსტსაბჭოურ მოსკოვში მიმდინარე პროცესების ამსახველი ფოტოარქივი იქნება წარმოდგენილი. გამოფენის კონცეფცია განვლილი ცხოვრებიდან ახალ ეტაპზე გადასვლას და წარსულის ფოტოს სახით გახსენებას გულისხმობს. თითოეულ დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა საგამოფენო სივრცეში ავტორის ნამუშევრების გვერდით ანალოგიურ თემატიკაზე მომზადებული საკუთარი ფოტონამუშევარი განათავსოს. გამოფენა 18 აპრილს გაიხსნება და ერთ კვირას გაგრძელდება. გამოფენას თბილისის ისტორიის მუზეუმის თანამედროვე ხელოვნებისა და დროებითი გამოფენების სექტორი ერთი წლის განმავლობაში ამზადებდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

"იულიას - 2"

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ალექსეი მიტროფანოვმა სახალხოდ ბოდიში მოუხადა იულია ტიმოშენკოს მასზე და საქართველოს პრეზიდენტზე გადაღებული პაროდიული ფილმისთვის, რამაც ფილმის პროდიუსერი ალექსანდრ ვალოვი საგონებელში ჩააგდო.

"ჩემთვის ეს ისტორია შოკისმომგვრელია. დიდ პატივს ვცემ მიტროფანოვს და მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ მას სახელმწიფო უზრუნველყოფს, მე კი არავინ მაფინანსებს", - განაცხადა ალექსანდრ ვალოვმა. მისივე თქმით, ფილმი "იულია" კარგად იყიდება და შესაბამისად, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ასობით ადამიანს "კვებავს", რომელთა შემოსავლის გარეშე დატოვების უფლება არავის არა აქვს.

პროდიუსერი გაგებით ეკიდება მიტროფანოვის, როგორც პოლიტიკოსის პოზიციას, მაგრამ ფილმის მეორე ნაწილის სამუშაო პროცესის შეწყვეტას არ აპირებს. ვალოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიტროფანოვს მეორე სერია არ დაუფინანსებია. "ფილმის მეორე ნაწილი ეროტიკული კინოკომედიაა პაროდიული ჟანრის შენარჩუნებით, რომელიც ყოველთვის ვიღაცას გვაგონებს, მაგრამ პირადად არავის არ შეურაცხყოფს", - აღნიშნა ალექსანდრე ვალოვმა. **მედიანიუსი**

ძლიერი მუზა

მზევინარ ხუციშვილი

"ეს ძლიერი მუზაა, მაგრამ ჩუმი და იდუმალი", ამბობს ქანდაკების შესახებ მე-19 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი დენი დიდრო.

მუზა, რომელიც შეიძლება მოვიდეს, შეიძლება არა. ხელოვნება, რომელიც შეიძლება შეიქმნას, შეიძლება არა. წარმატება, რომელიც შეიძლება მოიპოვო, შეიძლება არა. სიამოვნება, რომელიც შეიძლება მიიღო, შეიძლება არა და სამყარო, რომელმაც შეიძლება მიგიღოს, შეიძლება არა. ეს ხუთი კომპონენტი ერთმანეთთან ჯაჭვურ რეაქციას ქმნის, რომელსაც საბოლოოდ შემოქმედამდე მივყავართ. იმ ადამიანამდე და პიროვნებამდე, რომელიც ჩვენთან ერთად ქუჩაში დადის და რომელსაც უფალი გვიგზავნის, რომ ხელოვნების ღირებულებებს გვაზიაროს. შეფასება ინდივიდუალურია, ამავე დროს, ხელოვანივით რომ ჩასწვდე ხელოვნების არსს, ძალიან – რთული. თუმცა ჩვენ ამას არც არავინ გვთხოვს. მე მხოლოდ მივიღე ეს შემოქმედება ისე, როგორც რეალური სამყაროს მრავალფეროვნება და მუხტი, რომელიც ემოციას აღვიძებს.

მოქანდაკე **ირაკლი წულაძე** ქართველი საზოგადოებისთვის (და არა მარტო მისთვის) მეტ-ნაკლებად ცნობილი შემოქმედია. მისი ნამუშევრები არაერთ საგამოფენო დარბაზში ახსოვთ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის პერსონალური გამოფენები გერმანიაში, ლიტვასა და ავსტრიაში. ამავე დროს უამრავი ფესტივალის პრიზის შემქმნელი და პრემიის მფლობელია.

- შემოქმედი ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ მათი ცხოვრების გზა რთულია. შენს შემთხვევაში როგორ არის?

- თუ გავითვალისწინებთ, რომ მამა არქიტექტორია, ძმა, გიორგი წულაძე მოქანდაკე და ვთვლი, რომ მე სახელოსნოში გავიზარდე და არა სახლში, საკმაოდ ოპტიმისტი ვარ. თანაც ოთხი წლის ასაკიდან ყოფილ პიონერთა სასახლეში ზაქარია კრაწაშვილთან ვსწავლობდი, სადაც თითქმის ყველა ცნობილი მოქანდაკე აღიზარდა.

- ქანდაკება შრომატევადია...

- ძალიან შრომატევადია, მაგრამ არის სამი რამ შემოქმედის ცხოვრებაში - ნიჭი, შრომა და საკუთარი შემოქმედების სიყვარული. ეს სამი რამ დაუწერელი კანონივითაა, რაც მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. ამასთან, ჩვენ, ქართველები, გემოვნებიანი ხალხი ვართ. ის ფაქტი, რომ დღეს ხელოვნება, სამწუხაროდ, ფუფუნების ატრიბუტია, ვფიქრობ, დროებითია...

- ნამუშევრებს გიკვეთავენ?

- მაქვს დაკვეთით შექმნილი ნამუშევრები, მაგრამ ძირითადად საკუთარი იდეებით ვმუშაობ.

■ ■ ■

ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე ახალგაზრდა შემოქმედმა სარკის წმინდა გიორგის ეკლესიას ჯვარცმა უსახსოვრა. ბრინჯაოში შექმნილ მის ნამუშევრებს კი გალერეა "კოპალასა" და ლიტვის სამ საგამოფენო დარბაზში საზოგადოება ყოველდღიურად სტუმრობს.

მათთვის, ვინც ეკლესიაში არ დადის

მანჩესტერში ნითელ პარასკევს ჯვარცმის ისტორია როკ-ჯგუფების "ოაზისისა" და "ნიუ ორდერის" აკომპანემენტით დაიდგა.

"მანჩესტერის ვნება" – ასე უწოდეს ჯვარცმის თანამედროვე ვერსიას და მისი მიზანი გახლდათ იმ ხალხის ყურადღების მიპყრობა, ვინც საერთოდ არ დადის ეკლესიაში.

მსახიობებმა რვა მეტრი სიგრძის ჯვარი ალბერტ სკვერამდე ატარეს, ხალხის მოსაზიდად კი პოპულარული ჯგუფების სიმღერები იყო გამოყენებული: "ნიუ ორდერის" Blue Monday, "სმითსის" Heaven Knows I'm Miserable Now და "ოაზისის" ჰიმნად ქცეული Wonderwall. ღვთისმშობლის როლს "ფრაიმალ სქრიმის" ვოკალისტი დენის ჯონსონი ასრულებდა, იუდას როლს – "ჯეიმსის" მთავარი მომღერალი თიმ ბუთი, იესოს – დარენ მორტივი "დოგ სოლჯერსიდან".

იესო "ჯოი დივიჟენის" Love Will Tear Us Apart-ს მღეროდა საიდუმლო სერობაზე, ღვთისმშობელი კი – M People-ის Search For The Hero-ს ასრულებდა. წარმოდგენას უძღვებოდა მსახიობი ქით ალენი. "ბი ბი სი 3" კი პირდაპირ ეთერში გადასცემდა შოუს და იმ ხალხის მიზიდვასაც ცდილობდა, ვინც ქრისტეს ისტორიის გახსენებას შინ დარჩენა და ტელევიზორთან ჯდომა ამჯობინა.

ჯგუფი "ნიუ ორდერი".

მიურიელ სპარკი გარდაიცვალა

The Prime of Miss Jean Brodie – ეს მიურიელ სპარკის ყველაზე ცნობილი წიგნი გახლდათ. შოტლანდიაში დაბადებული მწერალი 88 წლის ასაკში ტოსკანაში გარდაიცვალა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მას ქრონიკულად ახსენებდა თავს გაუარესებული ჯანმრთელობა. შაბათს ის ფლორენციის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა.

მიურიელ სპარკი 24 რომანის, რამდენიმე ნოველისა და სამი ბიოგრაფიის ავტორია. მან 1962 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებით The Prime of Miss Jean Brodie გაითქვა სახელი. რომანი ახალგაზრდა მასწავლებელ ქალზეა, რომელიც ედინბურგის გოგონათა სკოლაში ემანსიპაციისთვის იბრძვის. რომანის მიხედვით ფილმიც გადაიღეს, რომელშიც მეგი სმიტი თამაშობს და რომელიც კრიტიკოსებმა გამოსვლისთანავე დადებითად შეაფასეს.

მიურიელ სპარკმა თავიდანვე "ექსპერიმენტატორის" სახელი დაიმკვიდრა. ის უსწრებდა დროს როგორც წერის სტილით, ისე რომანებში გაშუქებული თემატიკით. სპარკის სატირა – ეს ცნობილი ამბავი იყო. 1959 წელს გამოქვეყნებულ რომანში "მემენტო მორი" ის წერდა: "სიკვდილის მოახლოება ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიღოთ... სიკვდილის მუდმივი თანხლების შეგრძნება სიცოცხლეს ინტერესს ჰმატებს..."

კრიტიკოსი დევიდ ლოჯი "ბი ბი სი"-სთან ინტერვიუში აცხადებდა: "მიურიელ სპარკს ძალიან სასაცილო წერის სტილი ჰქონდა, მაგრამ ის მკითხველს სერიოზულ თემებზეც აფიქრებდა. ის აფიქრებდა მწერლებსაც და მკითხველსაც. ის ყოველთვის თამაშობდა ღმერთსა და მწერალს შორის არსებულ განსხვავებებზე".

მიურიელ სპარკი დაიბადა 1918 წელს ედინბურგში, ებრაელი მამისა და ანგლიკანი დედის ოჯახში. 1937 წელს ის გათხოვდა და ქმართან ერთად გადასახლდა სამხრეთ როდეზიაში (ახლანდელ ზიმბაბვეში), სადაც ეყოლა ვაჟი რობინი, მაგრამ ქორწინება მალე კრახით დასრულდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მიურიელ სპარკი ბრიტანეთის საგარეო ოფისის ანტინაცისტური პროპაგანდის განყოფილებაში მუშაობდა. 1954 წელს მიურიელ სპარკმა კათოლიციზმი მიიღო და 60-იანი წლების ბოლოს საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა. ბოლო 27 წელი პატარა ქალაქ ჩიტივეკიაში ცხოვრობდა მეგობარ ქალთან, სკულპტორ პენელოპა ჟარდინთან ერთად.

მიურიელ სპარკი ორჯერ იყო წარდგენილი "ბუკერის" პრიზზე. 1987 წელს კი გადასცეს ბრემ სტოუკერის სახელობის პრიზი მერი შელის ბიოგრაფიისთვის. 1993 წელს მიურიელ სპარკს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადასცეს. მისი ბოლო რომანი "სკოლის დამთავრება" 2004 წელს გამოქვეყნდა.

არსი

არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი

1989 წლიდან

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე გამოცდილ სამშენებლო კომპანიების გვერდით ახალბედებიც გამოჩნდნენ, რომლებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ ჩაერთონ მშენებლობის ფერხულში. შექმნილი კონკურენციის ფონზე არქიტექტორებს საკუთარი შემოქმედების უკეთ რეალიზების საშუალება მიეცათ. ადრე თუ დამკვეთი არ იყო მზად მაღალი კვალიფიკაციის გემოვნების არქიტექტორის დატვირთვისთვის და შეეძლო ბინა დაუმთავრებელი სახით მიეღო, ახლა მყიდველი ფულს იხდის იმისთვის, რომ სახლი დასრულებული სახით ჩაიბაროს და მის გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაზეც იზრუნოს. ასეა თუ ისე, დღეს არსებობს მოთხოვნა, რომელსაც დაკმაყოფილება სჭირდება. მართალია, გემოვნება სუბიექტურ ხასიათს ატარებს, რადგან გამორიცხულია ყველას ყველაფერი მოსწონდეს ან პირიქით. თუმცა არქიტექტორები საკუთარი ნამუშევრებით ხშირ შემთხვევაში წინასწარმეტყველებენ მოდას. დღეს მოდაში მრავალფეროვნებაა... მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ ყველაფერს დღეს არსებული ღირებულებები გვკარნახობს, რომელიც ძირითადად ჩვენი აზროვნების, მუშაობის და ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს.

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქალაქი შეიცვალა, ცვლილებები დღესაც გრძელდება - შენდება სასტუმროები, ოფისები, საცხოვრებელი სახლები... ერთი სიტყვით, იქმნება ახალი არქიტექტურული გარემო, რომელშიც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, დავისვენოთ და დავიმუხტოთ დადებითი ენერგიითა და ემოციებით.

მშენებლობის ასეთი მაღალი ტემპები სამშენებლო ბიზნესის განვითარებით, საშუალო და მაღალი ფენების გაჩენით აიხსნება, ყოველ შემთხვევაში ამ საქმეში ჩახედული ადამიანები ამ ფაქტორებს მიაწერენ. სამშენებლო ბიზნესისადმი გაზრდილ ინტერესზე მიანიშნებს ისიც, რომ დედაქალაქის ეგრეთწოდებული ელიტარული უბნები, თითქმის ათვისებულია და მშენებლობამ თანადათან შედარებით ნაკლებად პრესტიჟულ უბნებში გადაინაცვლა.

საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან მოთხოვნას, სამშენებლო ბიზნესში მოღვაწე კომპანიები სხვადასხვა სახისა და ხარისხის საერთო და ინდივიდუალური ბინათმშენებლობით პასუხობენ. ხარისხი კი, ამ ბიზნესში შენობა-ნაგებობების ფუნქციონალურობას, საიმედოობასა და ესთეტიკურობას გულისხმობს, რაზეც ზოგიერთი კომპანია არ ზრუნავს და შედეგად მომხმარებელი ზარალდება.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ყველაზე მსხვილ კაპიტალს, სავარაუდოდ, უძრავ ქონებაში აბანდებს. ამ თვალსაზრისით სახლის, ბინის ან აგარაკის შეძენა შესაძლებელია ცხოვრების ყველაზე მსხვილი ფინანსური გარიგება აღმოჩნდეს. ამიტომ თუ გადაწყვიტეთ ბინა ახალ აშენებულ სახლში შეიძინოთ, სჯობს ამის განსახორციელებლად სამშენებლო კომპანიას მიაკითხოთ, სადაც ურთიერთობის ფორმები გაცილებით ცივილურია.

დედაქალაქში არსებული მშენებლობების ფონზე, მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება. ხშირია ობიექტის ჩაბარების დაგვიანების, ბინის რამდენიმე მფლობელზე გაყიდვის, ფაქტები, ძალიან ბევრი კი პროექტის გაცნობის გარეშე ყიდულობს უძრავ ქონებას, საბოლოოდ მომხმარებელი მოტყუებული და უკმაყოფილო რჩება. მაშინ როცა, უძრავი ქონების შეძენა საშვილიშვლო საქმეა და ასეთ დროს ყველა გონიერი ადამიანი უნდა მოქმედებდეს პრინციპით "ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი".

წლების განმავლობაში ბინის შეძენა, როგორც წესი ნაცნობების ან უძრავი ქონების აგენტების, ეგრეთწოდებული "მაკლერის" საშუალებით ხდებოდა და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. და მაინც როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა თბილისში? რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ბინის შეძენისას? ამ პრობლემის გადაჭრაში კომპანია "არსი" დაგეხმარებათ. გაგიზიარებთ ცოდნას, რომელიც კომპანიის 16-წლიან გამოცდილებასა და თანამშრომლების პროფესიონალიზმს ემყარება.

"არსი" საქართველოში ერთადერთი კომპანიაა, რომელიც თითოეულ ბინას ინდივიდუალურ შეფასებას აძლევს. ამასთან, ცდილობს ადამიანის ცხოვრება უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახადოს. "არსი" ორიენტირებულია არა ბინების, არამედ საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობაზე, რომლისთვისაც თავად ჰქმნის ინფრასტრუქტურას. მას საშუალება აქვს შექმნას სრულიად ახალი არქიტექტურული გარემო. კომპანია ერთ-ერთი ლიდერია სამშენებლო ბაზარზე, რომელიც მაღალკვალიფიციური არქიტექტორებით, მშენებლობის მაღალი ხარისხითა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. ქალაქის არქიტექტურული გარემოს დაცვა, ქალაქის ისტორიული ნაწილის აღდგენა-შენარჩუნებაზე ზრუნვა, შენობის მოწესრიგებული იერსახე, მაქსიმალური კომფორტის შექმნა კლიენტებისთვის, მშენებლობის მაღალი ხარისხი, ოპტიმალურად განაწილებული ფართობი, ახალი საკომუნიკაციო სისტემა და სოციალური პასუხისმგებლობა, ეს ის პრინციპებია, რომლითაც "არსი" სხვა კომპანიებისგან გამოირჩევა.

ყოველ ორშაბათს, "არსი" მზად არის დაინტერესებული პირების ცნობისმოყვარეობა სპეციალური რუბრიკის საშუალებით, თქვენივე კითხვებზე დაყრდნობით დააკმაყოფილოს და მიაწოდოს ინფორმაცია მათ ვისაც ეს ესაჭიროება. სვეტში განხილული იქნება ბინის შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საინტერესო საკითხები.

ვფიქრობთ, ეს სვეტი მომხმარებელს დაეხმარება გაითვალისწინოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ბინის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ყოველ ორშაბათის ნომერში იქნება შემდეგი ნომრის თემის ანონსი. თქვენ შეგეძლებათ გამოგზავნოთ კითხვები აღნიშნული თემის ფარგლებში თქვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით და მიიღოთ კომპეტენტური პასუხები.

მომავალი ორშაბათის თემაა - ძველი და ახალაშენებული ბინების დადებითი და უარყოფითი მხარეები. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები და მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე "არსის" აღმასრულებელი დირექტორი ***თორნიკე აბულაძე***

დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსი"

ტელ: 25-19-04
info@arci.ge
www.arci.ge

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ავეჯის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

ლოტი	№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
ლოტი 1	1	ტელევიზორის მაღალი ტუმბო	80X50X130	1	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2206 წლის 20 მაისამდე	ქ. გორი
	2	ჟურნალების მაგიდა	90X60X50	4		
	3	ერთიარუსიანი ტუმბო თეთრი პლასტიკატის ზედაპირით	50X40X65	10		
	4	ტაბურეტი რკინის ფეხით	32X32X45	5		
	5	მედიკამენტების შესანახი შემინული კარადა	170X45X45	2		
	6	პირამიდა (მონტაჟით)	116X50X260	1		
	7	პირამიდა (მონტაჟით)	116X50X260	1		
	8	პირამიდა (მონტაჟით)	130X50X260	1		
	9	პირამიდა (მონტაჟით)	104X50X130	1		
	10	პირამიდა (მონტაჟით)	104X50X220	1		
	11	პირამიდა (მონტაჟით)	312X50X260	1		
	12	პისტოლეტების კარადა 150 იარაღისთვის (მონტაჟით)	90X45X140	1		
	13	ორიარუსიანი ტუმბო	50X40X135	94		
	15	ოთხადგილიანი მაგიდა ტიხრით (მონტაჟით)	250X145X75	4	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. მცხეთა
	16	პირამიდა (მონტაჟით)	104X50X260	1		
	17	პირამიდა (მონტაჟით)	70X45X120	1		
	18	პირამიდა (მონტაჟით)	104X50X130	1		
	19	მაგიდა უჯრების გარეშე	130X70X75	12	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. ბათუმი
	20	ბოსტბეულის შესანახი კარადა (მონტაჟით)	90X60X167	2		
	21	პენალი	220X58X50	8		
	22	თეთრეულის შესანახი პლასტიკატის კარადა	260X100X60	4		
	23	ერთიარუსიანი ტუმბო	50X40X65	60		
	24	საუთოო მაგიდა (მონტაჟით)	160X120X85	2		
	25	დახურული კარადა ოთხი კარით	183,5X35X90	5		
	26	სასადილოს სამ ადგილიანი სკამი	160X30	16		
	27	სასადილოს ექვს ადგილიანი მაგიდა	160X80X75	7		
	28	სამზარეულოს პლასტიკატის მინიანი კარადა (მონტაჟით)	150X40X190	2		
	29	დოკუმენტების მინებიანი დაფა (მონტაჟით)	110X12X75	2		
	30	პირამიდა (მონტაჟით)	270X60X124	1		
	31	ტანსაცმლის კარადა	183,5X50X85	8		
	32	კართოტეკის 30 უჯრიანი კარადა	90X50X170	2	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. ბათუმი
	33	2 იარუსიანი თარო (მონტაჟით)	80X30X90	24		
	34	წიგნების დახურული კარადა	80X40X195	2		
	35	კართოტეკის 38 უჯრიანი კარადა	80X53X170	2		
	36	მაგიდა ტიხრით (მონტაჟით)	250X50X130	1		
	37	მაგიდა ტიხრით შემინული (მონტაჟით)	550X70X170	1		
ლოტი 1	38	კართოტეკის კარადა კარებით და საკეტებით (მონტაჟით)	400X40X183	1		
	39	კარადა ბაინდერებისათვის	195X35X90	5		
	40	კართოტეკის კარადა 40 უჯრით	110X53X170	3		
	41	მაგიდა ტიხრით შემინული (მონტაჟით)	1000X70X170	1		
	42	მაგიდა ტიხრით, შემინული მაღალი ფერადი მინით (მონტაჟით)	300X40X220	1		
	43	დახურული კარადა ბაინდერებისათვის	185X36X195	1		
	44	საინფორმაციო დაფა შემინული კარებით (მონტაჟით)	150X12X100	3		
	45	მაგიდა ტიხრით (მონტაჟით)	150X60X130	2		
	46	მაგიდა ტიხრით შემინული (მონტაჟით)	950X70X170	1		
	47	მაგიდა ტიხრით, შემინული მაღალი ფერადი მინით (მონტაჟით)	340X40X220	1		
	48	კომპიუტერის მაგიდა	130X70X75	14		
	49	პირამიდა (მონტაჟით)	170X40X150	1		
	50	პირამიდა (მონტაჟით)	270X60X104	1		
	51	პლასტიკატის კარადა-მაგიდა	120X55X85	1		
	52	კარადა–სტელაჟი	850X60X200	1		
	53	ერთადგილიანი მერხი	80X50X75	40		
	54	მაგიდა 2 მეტრიანი უჯრების გარაშე	200X70X75	1		
	55	ტანსაცმლის საკიდი დასაკიდმით	183X50X100	8		
	56	ტანსაცმლის საკიდი (მონტაჟით)	80X30	6		
	57	რკინის სტელაჟი საწყობში (მონტაჟით)	335X60X200	1		
	58	სათათბირო მაგიდა 10 კაცზე (მონტაჟით)	440X75X100	1		
	59	8 ადგილიანი მაგიდა ტიხრებით (მონტაჟით)	480X75X140	1		
	60	მაგიდა 170 სმ	170X70X75	31	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. ბათუმი
	61	მაგიდის მისადგმელი	90X60X71,4	32		
	62	ტელევიზორის ტუმბო	80X50X60	28		
	63	ტელეფონის ტუმბო	90X45X60	22		
	64	წიგნების კარადა	183,5X35X90	47		
	65	ტანსაცმლის კარადა	183,5X50X85	8		
	66	კომპიუტერის მაგიდა	130X70X75	12		
	67	ერთიარუსიანი ტუმბო	50X40X65	9		
	68	საწყობის სტელაჟი–კარადა (მონტაჟით)	400X55X210	1		
	69	სათათბირო მაგიდა (მონტაჟით)	440X75X100	2		
	70	წიგნების დახურული კარადა	183,5X35X90	5		
	71	კარადა არქივის (მონტაჟით)	200X36X230	1		
	72	კარადა არქივის (მონტაჟით)	890X36X290	1		
	73	კარადა არქივის (მონტაჟით)	185X36X230	1		
	74	კარადა არქივის (მონტაჟით)	130X36X230	1		
	75	კარადა (მონტაჟით)	145X36X225	1		
	76	კარადა თაროებით (მონტაჟით)	230X30X225	1		
	77	კარადა ბაინდერებისათვის (მონტაჟით)	550X36X135	1		
	78	კარადა ბაინდერებისათვის (მონტაჟით)	450X36X78	1		
	79	კარადა ნივთმტკიცებულებისათვის (მონტაჟით)	545X60X270	1		
	80	6 ადგილიანი მაგიდა ტიხრებით (მონტაჟით)	390X75X140	8		
	81	4 ადგილიანი მაგიდა ტიხრებით (მონტაჟით)	200X75X140	2		
	82	მაგიდა	110X60X75	11	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. ბათუმი
	83	მაგიდა	110X40X75	1		
	84	მაგიდა	180X75X75	1		
	85	მისადგმელი	120X60X71	1		
	86	კარადა	183X50X50	2		
	87	სამასდგილიანი მერხი	160X65X80	12	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. თბილისი
	88	ტელევიზორის მაღალი ტუმბო	85X55X50	1		
	89	კედელზე ჩამოსაკიდი ტანსაცმლის თარო (მონტაჟით)	150X30	1		
	90	იარაღის საწმენდი მაგიდა პლასტ. ზედაპირით (მონტაჟით)	200X80X90	1		
	91	ტანსაცმლის ღის კარადა (მონტაჟით)	220X30X120	1		
	92	მაგიდა უჯრების გარეშე	170X70X75	2		
	93	საწერი დაფა (მონტაჟით)	150X100	1		
	94	კედელზე ჩამოსაკიდი ტანსაცმლის თარო (მონტაჟით)	80X30	1		
	95	ტუმბო	90X38X40	2		
	96	კარადა კომბინირებული (მონტაჟით)	120X60X183	1		
	97	განცხადებების შემინული კარადა (მონტაჟით)	125X8X75	1		
	98	კედელზე ჩამოსაკიდი ტანსაცმლის თარო (მონტაჟით)	140X30	1		
	99	ტელევიზორის მაღალი შემინული ტუმბო	70X60X130	1	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. №4
	100	ტანსაცმლის კომბინირებული კარადა (მონტაჟით)	160X60X260	1		
ლოტი 2	1	ორიარუსიანი საწოლი	190X80	80	ხელშეკრულების გაფორმებიდან სავალდებულო ვადაა 2006 წლის 20 მაისამდე	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5
	2	ერთიარუსიანი საწოლი	190X80	10		
ლოტი 3	1	ხის საწოლი მატრასით	190X90	20		
ლოტი 4	1	სამადგილიანი დივანი		20		

3. მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 მაისამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 8 მაისის 10.00 საათიდან 13.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

a) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

b) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში ბერბუკის ქ. N1, 3, 4 და 5-ში მდებარე საერთო ფართობის 1967 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის მიზნით მათი შემდგომი განაშენიანებისათვის.

I. პრეამბულა

აღნიშნული მიწის ნაკვეთზე განთავსებულია "ბარაკის" ტიპის შენობა-ნაგებობები და დასახლებულია მოსახლეობით, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთრების დამადასტურებელი საბუთები.

II. საკონკურსო პირობები:

1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ მოსახლეობასთან სანოტარო წესით დამოწმებული წინასწარი ხელშეკრულებები მოსახლეობის მიერ ამ ტერიტორიის ნაბაყოფლობით გამოთავისუფლებაზე მათი საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილების, ან შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ;

2. პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს მიწის ნაკვეთის საკონკურსო ღირებულება, რომელიც შეადგენს 196 700 ლარს.

კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ექნება საკონკურსო ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ მოსახლეობასთან სანოტარო წესით დამოწმებული წინასწარი ხელშეკრულებების ყველაზე მეტი ოდენობა.

ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც გამარჯვებულ პირთან არ ჰქონდა სანოტარო წესით გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, გამარჯვებული პირი გადასცემს იმ ოდენობის ფართს, რომელიც არ უნდა იყოს უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ მინიმალურ კოეფიციენტზე ნაკლები.

განაცხადი, აგრეთვე დალუქულ კონვერტში მოთავსებული საკონკურსო წინადადება და მოსახლეობასთან გაფორმებული ხელშეკრულებები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 22 მაისის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- საკონკურსო წინადადებები და მოსახლეობასთან გაფორმებული ხელშეკრულებები დალუქულ კონვერტში. საკონკურსო წინადადებები უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის II პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- ფიზიკური ან იურიდიული პირების რეკვიზიტები;
- შემდეგი ცნობები:

იურიდიული პირისათვის:

- კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობები რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება) ასლი;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი ფასის 25%-ის გადახდის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 3 თვის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი ფასის 25%-ის გადახდის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 3 თვის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

"ბეს" გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი: 220 101 107
საიდენტიფიკაციო N 203 827 074
ანგარიშის N001 132 005

მიმღები: ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მიზნობრივი ანგარიში)

იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება კონკურსში თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა იმ მოთხოვნილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

კონკურში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების პირობები.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ილია შარაშენიძე, საკონკურსო კომისიის მდივანი, საკონტაქტო ტელეფონი: 99-53-26, მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელეფონი: 96-91-26 (111), მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24. მარიკა ბეჟაშვილი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის განცხადება

ამა წლის 22 მარტს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მე-9 სხდომაზე განხილული იქნა კანონპროექტის "ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ" ახალი ვარიანტი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია შეშფოთებას გამოთქვამს აღნიშნული კანონპროექტის მეორე და მესამე მოსმენით მიღების გაჭიანურების გამო. კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებამ ჩასახა იმედი, რომ ახალი ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს გადადგამდა ფისკალური დეცენტრალიზაციის კუთხით, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ახალი ვარიანტი მსგავს იმედებს აღარ იძლევა, კერძოდ:

a) კანონპროექტის მე-18 მუხლისა და მე-5 პარაგრაფის მიხედვით, ქ. თბილისი აღარ არის გათვალისწინებული გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშების დროს. მსგავსი მიდგომა სრულ წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის მე-4 პარაგრაფთან, სადაც წერია, რომ გამოთანაბრებითმა ტრანსფერმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების გამოთანაბრება საქართველოში ჩამოყალიბებულ საშუალო მაჩვენებლამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორგანული კანონით ქ. თბილისს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი აქვს მინიჭებული და მისი ბიუჯეტი ადგილობრივ ბიუჯეტთა კატეგორიას განეკუთვნება, ცხადი ხდება, რომ ქ. თბილისის მაჩვენებლების ამოღება გამოთანაბრებითი ტრანსფერის განაწილებიდან, ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ყველა ადგილობრივი ბიუჯეტის გამოთანაბრებას ქვეყანაში არსებულ საშუალო მაჩვენებლამდე. რეალურად, ეს არის ღარიბის და კიდევ უფრო ღარიბის გამოთანაბრება, რაც გააუარესებს საერთო სოციალურ ფონს ქვეყანაში.

b) კანონპროექტის ახალი ვარიანტი გვამცნობს, რომ გამოთანაბრებითი ტრანსფერის ერთიანი ფონდი განისაზღვრება მთლიანი დეფიციტის არანაკლებ 25%-ის ოდენობით; გაუგებარია, თუ რა გათვლებს ემყარება ეს მუხლი. ასევე, 21-ე მუხლის მე-6 პარაგრაფის მიხედვით, "სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკურობის გათვალისწინებით დასაშვებია დამატებითი ფინანსური დახმარების გამოყოფა", ხოლო ამავე მუხლის მე-5 პარაგრაფის ბ) ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ "საჭიროების შემთხვევაში, ფორმულაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კოეფიციენტებიც". ცხადი ხდება, რომ ფინანსთა სამინისტრომ უგულვებელყო გამოთანაბრებითი ტრანსფერის მთავარი პრინციპი, რომ მისი განაწილება მხოლოდ კანონში მოცემულ ფორმულას უნდა ემყარებოდეს და პოლიტიკური ვაჭრობისა და სუბიექტური გადაწყვეტილებების შესაძლებლობა დაიტოვა.

c) ასევე, უნდა დაისვას გამოთანაბრებითი ტრანსფერის განაწილების ფორმულის ეფექტურობის საკითხი. მხოლოდ მაღალმთიანობის და სიმჭიდროვის კოეფიციენტები ვერ უზრუნველყოფენ მის ადეკვატურობას რეალობასთან; როგორც გათვლებმა აჩვენა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მუნიციპალიტეტები, რომელთაც აქვთ დიდი ტერიტორიები და ჰყავთ მცირე მოსახლეობა; ხოლო ტრანსფერის გარეშე რჩება ისეთი მჭიდროდ დასახლებული, მაგრამ უღარიბესი ერთეულები, როგორიცაა, მაგალითად, წყალტუბოსა და ჭიათურის რაიონები.

საქართველოს ადგილობრვი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტი გამოიჩენს მის მიერვე რატიფიცირებული თვითმმართველობის ევროპული ქარტიის პრინციპების ერთგულებას და მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში, კონკრეტულად:

ა) ერთ სულ მოსახლეზე ადგილობრივი ბიუჯეტების დანახარჯების საშუალო ეროვნული მაჩვენებლის გამოთვლა მოხდება ქ. თბილისის მონაცემების გათვალისწინებით.

ბ) გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ კანონში "ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ" მოცემულ ფორმულაზე დაყრდნობით და ეს კანონი თავისუფალი იქნება ყველა იმ ნორმისაგან, რომელიც შეაძლებელს გახდის სუბიეტურ მიდგომებს გამოთანაბრებითი ტრანსფერის განაწილებაში.

გ) აუცილებელია ფორმულის ოპტიმიზაცია, კერძოდ, უნდა დაბრუნდეს სიღარიბის კოეფიციენტი (რომელიც წინა ვარიანტში გათვალისწინებული იყო).

დ) დღის წესრიგში უნდა დადგეს საშემოსავლო გადასახადისათვის ადგილობრივი გადასახადის სტატუსის მინიჭების საკითხი. აუცილებელია გავიხსენოთ, რომ ტერიტორიული რეფორმის გატარებისას საუბარი იყო ქვეყანაში ძლიერი და ეფექტური თვითმმართველობის დაფუძნების აუცილებლობის შესახებ, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი ხდება იმ პირობებში, როცა ცენტრალური ხელისუფლება მხოლოდ დეფიციტის 25%-ს აფინანსებს და, ამასთან ერთად, ყველა მნიშვნელოვანი გადასახადიც ცენტრალური ხელუფლებისადმია მიკუთვნებული.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მოწოდებულია, აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს ხელისუფ- ლებასთან აღნიშნული კანონპროექტის ადგილობრივი თვითმმართელობის ევროპული ქარტიის პრინციპებთან დასაახლოებლად. ჩვენ მზად ვართ, თვითმმართველობათა ინტერესების დასაცავად ვითანმშრომლოთ ყველა პოლიტიკურ ძალასთან და ასევე გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საერთაშორისო კავშირი და საექსპერტო შესაძლებლობა.

თბილისი, 2006 წლის 22 მარტი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადება საქართველოს ორგანულ კანონზე "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ დეტალურად განიხილა საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ".

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული კანონის პროექტის განხილვასა და მომზადებაში, მხარს უჭერს კანონში ჩამოყალიბებულ მთელ რიგ ნორმებს; თუმცა, იმავდროულად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით რამდენიმე ტერმონოლოგიურ და კონცეპტუალურ აღრევას, რომელიც ტექსტში მეორე და მესამე საპარლამენტო მოსმენების დროს შევიდა, კერძოდ:

ა) ვერ დავეთანხმებით დანიშნული ფუნქციონერის მიმართ ტერმინის მერის და გამგებლის (როგორც მერის სინონიმის) გამოყენებას, მაშინ, როდესაც მეორე მოსმენით დამტკიცებულ პროექტში, გამოყენებულია ტერმინი "ადმინისტრაციის უფროსი".

ბ) მცდარია და ვერ დავეთანხმებით პოსტულატს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელიც არ არის საკრებულოს წევრი, არჩეული პირია. იმ პროცედურას, რომლის მიხედვითაც ხდება მერის/გამგებლის დანიშვნა საკრებულოს მიერ, არჩევასთან საერთო არაფერი აქვს. ეს არის დანიშვნა კენჭისყრის წესით; ისევე, როგორც ინიშნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

გ) იმ ვარიანტში, რომელსაც კენჭი ეყარა მესამე მოსმენით, მეტისმეტადაა გაძლიერებული მერის/გამგებლის (ადმინისტრაციის უფროსი თავდაპირველ ვარიანტში) ინსტიტუტი და იგი ფაქტობრივად გამოყვანილია საკრებულოს თავმჯდომარის მეთვალყურეობის არედან. მსგავსი მეთოდით დაიშნული პიროვნება აღმასრულებელი ხელისუფლების რეალური და ერთადერთი მეთაური გამოდის, რაც არ შეესაბამება არც ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის და არც საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

შესაბამისად, აუცილებელია, მერის როგორც მუნიციპალიტეტის ლიდერისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის ფუნქცია გადაეცეს საკრებულოს მიერ საკუთარი წევრებიდან არჩეულ პირს (თავმჯდომარეს), ხოლო ადმინისტრაციის უფროსს დაუბრუნდეს მენეჯერის ფუნქცია, როგორც ეს თავდაპირველ ვარიანტში იყო მოცემული. ასევე, აუცილებელია ტერმინოლოგიის დახვეწა.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მიმართავს დეცენტრალიზაციისა და ეფექტური მმართველობის სახელმწიფო კომისიას, მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და სთავაზობს სრულ მხარაჭერას ამ ცვლილებების შემუშავებისა და გატარების პროცესში.

თბილისი 22 მარტი 2006

სსიპ "საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი" აცხადებს 2006 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს

1. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2006 წლის 17 აპრილს აცხადებს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ეფუძნება სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემას, რომლის მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და, ამით, წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.

2. 2006 წელს საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. ქართველოლოგიური მეცნიერებები; 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები; 3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები

3. კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებში ჩამოყალიბებულ მეცნიერთა ჯგუფებს. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობას იღებს რამდენიმე ორგანიზაცია, ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს წამყვან, ხოლო დანარჩენი - თანამონაწილე ორგანიზაციებს. პროექტს ხელმძღვანელობს წამყვანი ორგანიზაციის მუდმივი ან დროებითი თანამშრომელი. პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა, აგრეთვე საქართველოს რეზიდენტ უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

2. ცალკეულ პიროვნებას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ორ, ხოლო მაგისტრანტებს, ასპირანტებსა და დოქტორანტებს მხოლოდ ერთ საკონკურსო პროექტში. პროექტის ძირითადი შემსრულებლების სიაში არ შეიძლება იყვნენ ბაკალავრიატის სტუდენტები.

4. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის პირობები:

1. ეროვნულ სამეცნიერო ფონდში **პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის** წარდგენა უნდა მოხდეს გამოცხადებული ვადების დაცვით. პროექტების მიღების საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი პროექტები კონკურსში მონაწილეობისათვის აღარ დაიშვებიან.

2. ეროვნულ სამეცნიერო ფონდში პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით სამ, ხოლო ინგლისურ ენაზე - ერთ ეგზემპლარად. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ კომპაქტ-დისკზე (CD-R) ორივე ენაზე. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის ორივე ენაზე მომზადების ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს პროექტის წარმომდგენი. პროექტის წარმომდგენი აგრეთვე პასუხისმგებელია საკონკურსო დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი თარგმანის ადეკვატურობაზე. ეროვნული სამეცნიერო ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გაწეულ ხარჯებს.

3. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე (მხოლოდ ქართული ვერსია ნაბეჭდი სახით); ბ) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ; გ) სრული ინფორმაცია პროექტის შესახებ; დ) პროექტის ბიუჯეტი; ე) პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის რეზიუმეები; ვ) ინფორმაცია პროექტის დაფინანსების დამატებითი წყაროების შესახებ (არსებობის შემთხვევაში); ზ) წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების ასლი (თუ პროექტში მონაწილეობს ერთზე მეტი ორგანიზაცია; მხოლოდ ქართული ვერსია ნაბეჭდი სახით); თ) პროექტის ხელმძღვანელისა და პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობის ორივე გვერდის ასლი. ძირითად პერსონალში უცხოელი მოქალაქის არსებობის შემთხვევაში, მისი საქართველოს რეზიდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის ნიმუშები და მათი შევსების დეტალური ინსტრუქცია განთავსებული იქნება ***სახელმძღვანელო ცნობარში*** და ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე

5. პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში უნდა წარადგინოს პროექტის ხელმძღვანელმა (ხელმძღვანელის საპატიო მიზეზით არყოფნის შემთხვევაში - პირმა, რომელსაც პროექტის ხელმძღვანელისგან დელეგირებული აქვს ხელმოწერის უფლებამოსილება).

5. ღია საკონსულტაციო სემინარები

საკონკურსო პირობების გაცნობისა და კონსულტაციების მიზნით საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაატარებს ღია სემინარებს თბილისში და საქართველოს სხვა რამდენიმე ქალაქში.

თბილისში ღია სემინარები ჩატარდება 2006 წლის 27, 28 აპრილსა და 10 მაისს, 16:00 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის დიდ სააქტო დარბაზში.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N77

საქართველოს სხვა რამოდენიმე ქალაქში ღია სემინარების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე. ამასთანავე ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ა.წლის 27 აპრილიდან.

6. ინდივიდუალური კონსულტაციები

პროექტის მომზადების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართება ინდივიდუალური კონსულტაციები ყოველ ხუთშაბათს 11:00 საათიდან 16:00 საათამდე.

სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემის სახელმძღვანელო ცნობარის მიღება შეიძლება ფონდის მისამართზე და/ან ვებ-გვერდზე: www.gnsf.ge

საკონტაქტო ინფორმაცია
მისამართი: დ. უზნაძის ქ. N68, IV სართული
ტელ: 95 74 16; 95 17 52
ფაქსი: 95 62 05
ელ-ფოსტა: office@gnsf.ge
ვებ-გვერდი: www.gnsf.ge

პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იქნას 2006 წლის 18 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით, 18:00 საათამდე

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ელექტრო საქონელის (საყოფაცხოვრებო კონდეციონერების) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. საყოფაცხოვრებო კონდინციონერი ზამთარ-ზაფხულის 80მ² ფართობისთვის - **12 ცალი**, საყოფაცხოვრებო კონდინციონერი ზამთარ-ზაფხულის 60მ² ფართობისთვის - **17 ცალი,** საყოფაცხოვრებო კონდინციონერი ზამთარ-ზაფხულის 30მ2 ფართობისთვის - **25 ცალი.**

პრეტენდენტმა საქონლის მოწოდება უნდა განხორციელოს საკუთარი მონტაჟით.

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. მცხეთა.

3. მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 მაისამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 8 მაისის 10.00 საათიდან 12.30 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოდგენეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი,

3. მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა

1 ლოტი	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1.	CPU/ Intel/ Celeron PGA478/ D315 2.26Ghz/533 256K 478pin Box	59 ცალი
2.	MOTHERBOARD/ P4 S478/ P4M800 M-ATX, Video AGP W/LAN	59 ცალი
3.	MEMORY/ DDR DIMM 184pin/ 256MB/ PC3200	59 ცალი
4.	FDD/ FDD 3.5" 1.44MB/ Alps Yvory DF354H (090F)	59 ცალი
5.	HDD/ IDE 3.5"/ 40GB, UATA -133,7200rpm 2MB Buf.; 8.9ms	59 ცალი
6.	CD-ROM/ CD-ROM IDE/ 52X Ret	59 ცალი
7.	CASE/ ATX/ Miditower/ 6062-1 250W	59 ცალი
8.	KEYBOARD/ KB-06 PS/2	59 ცალი
9.	MOUSE Netscroll 110 PS/2	59 ცალი
10.	SPEAKER SP-Q06S	59 ცალი
11.	MONITOR/ 17"/ Flatron 1024x768 85HZ	59 ცალი
12.	UPS BE525-RS, APC BACK-UPS ES 525VA (300W) 230V	59 ცალი
13.	PRINTER	59 ცალი

2 ლოტი	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1.	CPU/Intel/P4 LGA775/630 3.0GHz/800 Prescott2M 2M, LGA775 Box	2 ცალი
2.	Motherboard/P4 LGA 775/ Asus/ P5LD2 Deluxe 945P PCIX 3PCI +2PCIe 4 DDR2 667 GL	2 ცალი
3.	DDR2 DIMM 240pin/ 512MB/ 667 Kingstone Original	4 ცალი
4.	SATA 3.5"/ 80 GB/ HD160JJ SATA II 7200rpm 8MB Buffer, 8.9ms	4 ცალი
5.	FDD/FDD 3.5" 1.44MB/ Alps Black DF354H (121F)	2 ცალი
6.	PCI Express 256MB/ 6600 128 bit 300/550 w/TV, DVI	2 ცალი
7.	KEYBOARD KB-21E PS/2	2 ცალი
8.	DVD+-R/RW CD-R/RW/ DVD RW IDE/ ASUS DRW-1608P Black DVD+-RW, 16x, +R9 (8.5GB@4x)	2 ცალი
9.	MOUSE Netscroll 100 Silver 800DPI/PS2	2 ცალი
10.	CASE/ ATX/Miditower/ Codegen 4063-CA Black 350W w/USB+Audio+Fan+Stand	2 ცალი
11.	MONITOR / 17"/ Flatron 1024x768 100HZ	2 ცალი

3 ლოტი	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1.	17" LCD/ 1280x1024,160°/160°, 8ms, 700:1, TCO '03	18 ცალი
2.	CPU/Intel/P4 LGA775/630 3.0GHz/800 Prescott2M 2M, LGA775 Box	18 ცალი
3.	MOTHERBOARD/P4 LGA 775/ ASUS/ P5GD2-X Pro i915P PCIX 3+3PCI 4DDR2	18 ცალი
4.	DDR2 DIMM 240pin/ 256MB/ 533	18 ცალი
5.	FDD/FDD 3.5" 1.44MB/ Alps Black DF354H (121F)	18 ცალი
6.	HDD/ SATA 3.5"/ 160GB/ SATA II 7200rpm 8 MB, 8.9ms	18 ცალი
7.	CDRW-DVD COMBO IDE/ 52X/32X/52X + 16X, Buf. 2 MB	18 ცალი
8.	CASE/ATX/Miditower/350W w/USB+Audio+Fan+Stand	18 ცალი
9.	VIDEO ADAPTER/PCI Express 128MB/ 6200	18 ცალი
10.	KEYBOARD KB-21E PS/2	18 ცალი
11.	MOUSE Netscroll 100 Silver 800DPI/PS2	18 ცალი

4. მიწოდების ადგილი - ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

5. მიწოდების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 მაისის 16:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

7. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005,

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის .N10, აცხადებს ტენდერს **2006-2007** წელს განსახორციელებელი სექტორის რეაბილიტაციის მიზნით, **ვარდნილჰესების კასკადის N1 და გუმათჰესების კასკადის N3 აგრეგატების რეაბილიტაციისთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარებისა და დეტალების მიწოდება-მონტაჟის** შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა. სატენდერო კომისიაში სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში. ალტერნატიული წინადადებები არ გაინიხილება და შეფასებისთვის არ დაიშვება.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. საქონლის და თანმდევი მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ტექნიკური დავალების შესაბამისად, მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. მიწოდება უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მისამართზე. საქონლის და მისი თანმდევი მომსახურების მიწოდების ვადაა 2007 წლის 10 დეკემბერი;

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 მაისიდან 12 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10. მე-4 სართული, სამინისტროს კანცელარია.

შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე, უცხოურ ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს. საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. **იურიდიული პირებისათვის**:

a) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება საწარმოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

g) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

ბ) ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არანაკლებ 1 000 000 ლარის მოცულობის.

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს, მე-5 პუნქტში და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტში დადგენილ მოთხოვნებს.

8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც მოხდება სატენდერო წინადადების შეფასება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. სატენდერო წინადადება არ შეფასდება თუ სრულად არ იქნება წარმოდგენილი წინადადება ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 17 აპრილიდან 11 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა N10, მე-4 სართულზე, სატენდერო კომისიის აპარატი, ქეთი მშვიდობაძე.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10, ქეთი მშვიდობაძე ტელ: 99-53-10.

11. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკის კოდი 220101107 ა/ა 200122900 სახაზინო კოდი: 302003000, საიდენტიფიკაციო კოდი 203840442 (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მისია

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 16 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დასახელება რომელთათვისაც განკუთვნილია სათადარიგო ნაწილები:

	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	ლექსუს GS 300	ქ. თბილისი
2	ლექსუს LS 400	
3	MITSUBISHI PAJERO 3000 V6	
4	MERSEDES-BENZ C 180	
5	ტოიოტა კამრი CSI	
6	ტოიოტა კამრი 2.4	
7	BMW-528	
8	MERSEDES-BENZ 230 E	
9	VOLKSWAGEN VENTO 1.8	
10	VOLKSWAGEN GOLF III 1.8.	
11	გაზ-2107	
12	გაზ-21063	
13	BMW-525	
14	"კია-აველა	
15	MERSEDES-BENZ ML-320	
16	"ოპელ ომეგა"	
17	გაზ-2107	
18	ტოიოტა ავენსის 1.6	
19	MERSEDES-BENZ 230	
20	გაზ-31029	
21	გაზ-31029	
22	ტოიოტა ავენსის 1.6	
23	კია კლარუს **K9AJ**	
24	"ოპელ ომეგა"	
25	ტოიოტა ავენსის 1.6	
26	გაზ-2107	
27	MERSEDES-BENZ 200	
28	MERSEDES-BENZ E 220	
29	ოპელ ვექტრა 2.01	
30	MERSEDES-BENZ 220 E	
31	გაზ-2107	
32	MERSEDES-BENZ 200	
33	BMW-5301	
34	ჰიუნდაი H-1	
35	გაზ-21214	
36	MERSEDES-BENZ E 220	
37	გაზ-2107	
38	MERSEDES-BENZ C 180	
39	ფოლკსვაგენ პასატი 1.6	
40	MERSEDES-BENZ C 180	
41	MERSEDES-BENZ 200	

	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	ჰიუნდაი ტუქსონ	ქ. ქუთაისი
2	გაზ-21213	
3	გაზ-21213	
4	გაზ-3110	
5	გაზ-21213	
6	გაზ-31029	
7	გაზ-21213 (შევროლე)	
	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	ჰიუნდაი ტუქსონ	ქ. ბათუმი
2	გაზ-21213	
3	გაზ-2107	
4	"ოპელ ომეგა" 1	
5	გაზ-21213	
	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	გაზ-21213	ქ. ფოთი
2	გაზ-2107	
3	MERSEDES-BENZ 280	
4	გაზ-21213	
5	MERSEDES-BENZ E 320	
	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	MERSEDES-BENZ 230 E	ქ. ქობულეთი
2	გაზ-21213	
3	გაზ-21213	
4	გაზ-21213	
5	გაზ-2107	
6	ოპელ ვექტრა 2.01	
7	გაზ-3102	
8	გაზ-2107	
9	გაზ-21213(შევროლე)	
10	გაზ-21213	
11	გაზ-31029	
12	გაზ-21213	
13	გაზ-31029	
	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	გაზ-21213	ქ. ზუგდიდი

	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
42	BMW 5251	ქ. ზუგდიდი
43	MERSEDES-BENZ -E 320	
44	"ტოიოტა კამრი"	
45	MERSEDES-BENZ 220 E	
46	MERSEDES-BENZ E 200	
47	გაზ-2107	
48	MERSEDES-BENZ C 180	
49	გაზ-21213	
50	MERSEDES-BENZ C 220	
51	"კია სფიდა"	
52	გაზ21053	
53	MERSEDES-BENZ 220 E	
54	MERSEDES-BENZ 300 D	
55	MERSEDES-BENZ E 200	
56	გაზ-3110	
57	გაზ-2107	
58	MERSEDES-BENZ 230	
59	გაზ-2107	
60	გაზ-21213(შევროლე)	
61	გაზ-3110	
62	გაზ-21213	
63	გაზ-3110	
64	გაზ-21213(შევროლე)	
65	MERSEDES-BENZ E 200	
67	"კია სფიდა"	
68	გაზ-2107	
69	გაზ-21213	
70	გაზ-21213	
71	"ტოიოტა კამრი"	
72	HYUNDAI GALLOPER	
73	HYUNDAI GALLOPER	
74	გაზ-21213(შევროლე)	
75	ალფა 6	
76	კია პიკანტო	
77	" ნისან-ალტიმა"	
78	გაზ-2107	
79	გაზ-2107	
80	VOLKSWAGEN VENTO 1.8	
81	VOLKSWAGEN VENTO 1.8	
82	ჰიუნდაი ტუქსონ	

	ავტო სატრანსპორტო საშ. დასახელება.	მიწოდების ადგილი
1	ჰიუნდაი ტუქსონ	ქ. ფოთი
2	გაზ-21213	
3	გაზ-2107	
4	გაზ-31029	
5	გაზ-21213	
6	MERSEDES-BENZ ML-320	
7	გაზ-21213(შევროლე)	
8	გაზ-21213	
9	MERSEDES-BENZ 200 E	
10	გაზ-21213	
11	გაზ-2107	
12	გაზ-31029	
13	გაზ-2107	
14	გაზ-2107	
15	გაზ-21213	

1. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 10 მაისის დღის 1000 საათიდან 14:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) მონაცემი, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის შესახებ.

4. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

5. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

6. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ნოდარი ფოცხვერაშვილი ტელ: 93-24-85,

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოების სრული რეაბილიტაციის ჩატარების მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - საქართველოს 53 საჯარო სკოლაში სრული რეაბილიტაციის მიზნით სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

ლოტი	რაიონი	სკოლის დასახელება
1	ბოლნისი	N1 საშუალო სკოლა
2	დმანისი	N3 საშუალო სკოლა,
3	გარდაბანი	N1 საშუალო სკოლა
4	მარნეული	N3 საშუალო სკოლა
5	ახმეტის	N2 საჯარო სკოლა
6	დედოფლისწყარო	N1 საჯარო სკოლა
7	გურჯაანი	N2 საჯარო სკოლა
8	გურჯაანი	ახაშენის საჯარო სკოლა
9	ლაგოდეხი	N3 საჯარო სკოლა
10	ლაგოდეხი	არეშფერანის საჯარო სკოლა
11	საგარეჯო	N1 საჯარო სკოლა
12	სიღნაღი	ბოდბისხევის საჯარო სკოლა
13	თელავი	ქ. თელავის N1 სკოლა
14	ყვარელი	N2 საჯარო სკოლა
15	ერედვი	ბერულას საჯარო სკოლა
	ერედვი	ერედვის საჯარო სკოლა
16	ქუთაი	აჩაბეთის საჯარო სკოლა
	ქუთაი	ქუთაის საჯარო სკოლა
	ქუთაი	ძარხეშის საჯარო სკოლა
17	გორი	N3 საჯარო სკოლა
18	კასპი	N2 საჯარო სკოლა
19	ქარელი	N1 საჯარო სკოლა
20	ქარელი	აგარის საჯარო სკოლა,
21	ხაშური	N3 საჯარო სკოლა
22	ბაღდათი	N1 საჯარო სკოლა
23	საჩხერე	N3 საჯარო სკოლა
24	სამტრედია	N11 საჯარო სკოლა
25	თერჯოლა	N1 საჯარო სკოლა
26	ტყიბული	N1 საჯარო სკოლა
27	ვანი	N1 საჯარო სკოლა
28	ჭიათურა	N2 საჯარო სკოლა
29	წყალტუბო	N1 საჯარო სკოლა
30	ხარაგაული	ბორითის საჯარო სკოლა
31	ხობი	N2 საჯარო სკოლა
32	ზესტაფონი	N5 საჯარო სკოლა
33	აბაშა	N1 საჯარო სკოლა
34	ჩხორწყუ	N2 საჯარო სკოლა
35	ჩხორწყუ	მუხურის საჯარო სკოლა
36	მარტვილი	N1 საჯარო სკოლა
37	მესტია	N2 საჯარო სკოლა
38	სენაკი	N2 საჯარო სკოლა
39	წალენჯიხა	N1 საჯარო სკოლა
40	ხობი	N1 საჯარო სკოლა
41	ზუგდიდი	N1 საჯარო სკოლა
42	ლანჩხუთი	N1 საჯარო სკოლა
43	ოზურგეთი	N2 საჯარო სკოლა
44	ჩოხატაური	N1 საჯარო სკოლა
45	ამბროლაური	N2 საჯარო სკოლა
46	ცაგერი	N1 საჯარო სკოლა
47	ასპინძა	N1 საჯარო სკოლა
48		
	ახალქალაქი	N1 საჯარო სკოლა
	ახალქალაქი	N2 საჯარო სკოლა
49	ნინოწმინდა	N2 საჯარო სკოლა

- სამუშაოს შესრულების ადგილი - საქართველოს ქალაქები.

- სამუშაოს დასრულების და ჩაბარების ვადა: - ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე.

პირობები:

- სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაცემული დეფექტური აქტების მიხედვით.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება მშენებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

შენიშვნა: შესაძლებელია გარკვეული სამშენებლო მასალა მიწოდებულ იქნეს დამკვეთის მიერ, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 8 მაისის 1300 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 8 მაისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე სააქტო დარბაზში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა შსს);**

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა შსს).**

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);**

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა სასამართლოდან);**

გ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

ე) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;

ვ) ინფორმაცია მანქანა-დანადგარების შესახებ.

ზ) ბოლო სამი წლის საწარმოს ბალანსი (**საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული**).

თ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ცხრილის მიხედვით (აღნიშნული ცხრილი დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართული, ოთახი N222).

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)

საიდენტიფიკაციო ნომერი - 202051224

მომსახურე ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკის კოდი - 220101107

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300023133

ა/ა N 200122900

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

''თბილგაზის'' ბედი მაისში გადაწყდება B2

კომპანიების ჯგუფი Eircom Group-ში 2,36 მილიარდს იხდის

ჩინეთს მსოფლიოში უდიდესი სავალუტო რეზერვი აქვს

ნავთობი წლის ბოლომდე არ გაიაფდება

Motorola Inc-ს Siemens AG-ს ყიდვა სურს

B3

საქართველოში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი, სავარაუდოდ, პირველი ივნისიდან გაიზრდება B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1 ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3248
1 აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0093
1 არაბული დირხამი	AED	0,4955
1 აშშ დოლარი	USD	1,8200
1000 ბელორუსიული მანათი	BYR	0,8467
1 ბულგალური ლევი	BGL	1,1260
1 დანიური კრონი	DKK	0,2952
1 ეგვიპტური ბირვანკა	EGP	0,3171
1 ევრო	EUR	2,2010
10 ესტონური კრონი	EEK	1,4077
1000 თურქმენული მანათი	TMM	0,3500
1 თურქული ლირა	TRY	1,3505
10 იაპონური იენი	JPY	0,1534
1 ინგლისური ბირვანკა ს	GBP	3,1885
1000 ირანული რიალი	IRR	0,1994
10 ისლანდიური კრონი	ISK	0,2388
1 ისრაელის სეკელი	ILS	0,3961
1 კანადური დოლარი	CAD	1,5833
1 ლატვური ლატი	LVL	3,1325
10 ლიტვური ლიტი	LTL	6,3866
10 მოლდოვური ლეი	MDL	1,3978
1 ნორვეგიული კრონი	NOK	0,2804
1 პოლონური ზლოტი	PLZ	0,5601
10000 რუმინული ლეი	ROL	0,6114
1 რუსული რუბლი	RUB	0,0657
1 სინგაპურული დოლარი	SGD	1,1314
100 სომხური დრამი	AMD	0,4033
1 ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5663
1000 უზბეკური სუმი	UZS	1,4977
10 უკრაინული გრივნა	UAG	3,5966
100 უნგრული ფორინტი	HUF	0,8257
1 ქუვეითური დოლარი	KWD	6,2322
10 ყაზახური ტენგე	KZT	0,1422
10 ყირგიზული სომი	KGS	0,4425
1 შვედური კრონი	SEK	0,2366
1 შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4015
1 ჩეხური კრონი	CZK	0,0769
1 ჩინური იუანი	CNY	0,2271
1 ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2346

ლარის კურსის დინამიკა



არც ღვინო, არც წყალი

დიანა ჩაჩუა

"ამბობენ, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ სტალინს ერთი ჭიქა ქართული "ხვანჭკარას" დალევა უყვარდა, ინგლისის დედოფალს კი ისე მოსწონებია მოლდავური "ნეგრუ დე პურკარი", რომ ბუკინჰემის სასახლე ყოველ წელს რამდენიმე ყუთს უკვეთავს. თუმცა რუსეთისათვის სამეფო გემოვნება არაფერს ნიშნავს..." - ასე იწყება ერთ-ერთი უკრაინული გამოცემის სტატია სათაურით "გაზის ომიდან - ღვინის ომამდე". თუმცა როგორც ამ დღეებში გაირკვა, რუსეთი ქართული მინერალური წყლებითაც დაინტერესდა. გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ახლახან "როსპოტრებნადზორმა" აღმოაჩინა, რომ მოსკოვის გარეუბანში ქართული მინერალური წყლის ფაქტობრივი შემადგენლობა "ბორჯომის" საქვეყნოდ აღიარებულ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

- დაახლოებით ერთი კვირის წინ, კრემლის დარბაზში რუსეთის ფედერაციამ მინერალურ წყალ "ბორჯომს" ჯილდო "სახალხო მარკა" მეექვსედ გადასცა. 2006 წელს გამოკითხვაში რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა 150 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც "ბორჯომი" 2005 წლის საუკეთესო ბრენდად დაასახელეს.
- რუსეთის მთავარი სანიტარი არ გამორიცხავს, რომ თუ შესაბამისი სამსახურები ფალსიფიცირებული "ბორჯომის" ქართულ წარმოშობას დაადგენენ, რუსეთში მისი იმპორტი, ღვინის მსგავსად, აიკრძალება.
- "გაზეტა რუ" რუს ექსპერტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ "ბორჯომთან" მიმართებაში ხარისხის პრობლემა არ არსებობს, პრობლემა "ბორჯომის" მარკის მფლობელებს - ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილს უკავშირდება, რომლებიც "ბორჯომის" საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან.

B2

დემოკრატიული ჩინეთის პერსპექტივა და პოლიტიკური არეულობა ევროპაში

- საფრანგეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პრიორიტეტები. მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა არც ისე მაღალია, რისი მიზეზიც სოციალისტური ტიპის მმართველობაა.
- ვაშინგტონი ჩინეთის პრეზიდენტის ვიზიტის მოლოდინშია და შესაბამისად სულ უფრო და უფრო ხშირად დგება ის საკითხები, რაც თეთრ სახლს ჩინეთთან ურთიერთობის მხრივ ყველაზე მეტად აღელვებს - სავაჭრო ბალანსი.
- რუსეთი სახელმწიფოებს გაზზე ფასის აწევით ემუქრება და მუქარის ასრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ამბობს უარს, თუკი ამ სახელმწიფოებში ენერგორესურსების ტრანსპორტირებისა და განაწილების ობიექტებს დაუთმობენ .

B3

რა მიიღო ბიუჯეტმა მოპოვებითი მრეწველობიდან?

ამის შესახებ ინფორმაცია დახურულია

მარიამ ჯაჭავაძე

რა რაოდენობის წიაღისეული მოიპოვება საქართველოში და, შესაბამისად, რა რაოდენობის გადასახადები შედის სახელმწიფო ბიუჯეტში? რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ამის შესახებ საჯარო ინფორმაციის წყარო არ არსებობს. მეტიც, როგორც ირკვევა, რთულად მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებაც, თუ რა რაოდენობის ნავთობის ტრანზიტი ხორციელდება ბაქო-სუფსის მილსადენით და რა მოცულობის სატრანზიტო გადასახადები მობილიზდება სახელმწიფო ბიუჯეტში.

- ინფორმაცია მოპოვებითი მრეწველობისა და ენერგოგადაზიდვების სექტორებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების შესახებ საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, რაც, არასამთავრობოების განცხადებით, საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტურობას მნიშვნელოვნად აფერხებს.
- დღეს საქართველოში წიაღისეულის მოპოვება მრეწველობის ერთ-ერთი დარგთაგანია, რომელიც საკმაოდ აქტიურად და წარმატებულად ვითარდება. მარტივი სტატისტიკაც კი მოწმობს, რომ ყოველწლიურად იზრდება როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების რაოდენობა ნავთობისა და გაზის ძიებისა და მოპოვების დარგში.

B2

''თბილგაზის'' ბედი მაისში გადაწყდება

სადისტრიბუციო კომპანიით ''გაზპრომი'' დაინტერესდა

ნინო ნატროშვილი

გაზგამანაწილებელი კომპანია სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველმა ილია ბასიშვილმა კომპანიის ქონების გაყიდვის შესახებ ტენდერი რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა. ტენდერის გამოცხადებისთანავე, ავტომატურად შეჩერდა კომპანიის გაკოტრების რეჟიმში ყოფნის პროცესიც.

ხელისუფლებამ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის გაყიდვის გადაწყვეტილება საწარმოში შექმნილი მძიმე ფინანსური და ტექნიკური მდგომარეობის გამო მიიღო. ამორტიზებული საწარმო ქალაქის ბიუჯეტიდან წლების განმავლობაში, სუბსიდირების სახით, მილიონებს ისრუტავდა, რეალურად კი არც სისტემის რეაბილიტაცია ხდებოდა და არც გახარჯული ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების მაჩვენებლის ზრდა. მოკლედ, "თბილგაზში" გამქრალი მილიონების თემა ახალი არ არის.

2005 წლის ბოლოს, ამორტიზებული კომპანია ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია "ყაზახტრანსგაზს" შესთავაზეს. ყაზახური კომპანიის წარმომადგენლებმა ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრთან და ენერგეტიკის მინისტრთან ითათბირეს, რის შემდეგაც მხარეებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმიც გაფორმდა. არსებობს ვერსია, რომ ყაზახეს "თბილგაზი" პირდაპირი მიყიდვის წესით 12,5 მილიონ დოლარად უნდა ეყიდათ. დაახლოებით ამდენი დაიხარჯა რუსული გაზის გაძვირების შემდეგ ტარიფში წარმოქმნილ სხვაობაზე. მოგვიანებით ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარა.

იყო საუბარი იმაზეც, რომ ყაზახებს კომპანიაში 100 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინათ და დაეფარათ საწარმოს კრედიტი. ყაზახური კომპანია "თბილგაზში" მართვის უფლებით 2006 წლის 1 თებერვლიდან უნდა შესულიყო. თუმცა როცა კომპანიის წარმომადგენლებმა იქ შექმნილი ფინანსური მდგომარეობა შეისწავლეს, "თბილგაზის" ყიდვაზე უარი განაცხადეს.

ეს ფაქტი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სახელმწიფო კანცელარიაში გაკეთებულ განცხადებაში აღიარა, თუმცა რატომ დაკარგა ყაზახურმა კომპანიამ "თბილგაზის" მიმართ ინტერესი, არ განუმარტავს. "საკმაოდ წარმატებული მოლაპარაკებები გვქონდა ყაზახურ კომპანია "ყაზტრანსგაზთან". თუმცა მათ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღეს," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

სადისტრიბუციო კომპანიის 96 პროცენტი დღეს ქალაქის მერიის საკუთრებაა. ამიტომ კომპანიის მმართველი რგოლი რამდენჯერმე, საკრებულოს მონაწილეობით შეირჩა. ბოლოს ეს მისია ქალაქის მთავრობამ და საკრებულომ ერთობლივად შეასრულა და "თბილგაზში" 10-წლიანი მართვის უფლებით "ახალი მენეჯმენტი" შევიდა, რომელიც, ფაქტობრივად, გაზის საერთაშორისო კორპორაციის მმართველის ალეკო გოცირიძის "შვილობილი" კომპანია იყო. გოცირიძის კორპორაციიდან წასვლის შემდეგ "თბილგაზში" ახალი მენეჯმენტის მზეც ჩავიდა.

"თბილგაზის" გაკოტრების საქმე 2005 წლის ოქტომბერში დაიწყო. ამ დროისათვის სააქციო საზოგადოების კრედიტორული დავალიანება 200 მილიონ ლარს აღწევდა. კომპანიის ყველაზე მსხვილი კრედიტორი სახელმწიფო ბიუჯეტია. ასევე სოლიდური ვალი დაუგროვდა "გაზექსპორტის" და "იტერას" წინაშე. "თბილგაზის: გაკოტრების მმართველად 2006 წლის 17 მარტს ილია ბასიშვილი დაინიშნა. ამავე დღეს კომპანიის გენერალურ დირექტორად ბიძინა ჭყონია დანიშნეს. მანამდე კომპანიის გაკოტრების მმართველი გიორგი გვიჩიანი იყო, რომელიც 2006 წლის მარტში დააპატიმრეს. მას 2002 წელს გარდაცვლილი, "თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ორგანიზება ბრალდება.

ტენდერის პირობების თანახმად, "თბილგაზის" საწყისი ფასი 12,5 მილიონი დოლარით განისაზღვრა. ტენდერში მონაწილეობაზე განაცხადების მიღების ვადა 2006 წლის 12 მაისს იწურება. გაცხადებული პირობების თანახმად, გარკვეული დროის განმავლობაში კომპანიის საქმიანობის პროფილი უნდა შენარჩუნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ "თბილგაზმა" თავისი აბონენტების გაზმომარაგება უნდა უზრუნველყოს. კომპანიის მყიდველმა უნდა დაასაქმოს თანამშრომლები და გაზარდოს სახელფასო ფონდიც. ასევე, პოტენციურმა ინვესტორმა გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია უნდა განახორციელოს. ამ ეტაპზე ეს სისტემა კატასტროფულ მდგომარეობაშია და თითქმის ავარიულ რეჟიმში მუშაობს.

ტენდერში მონაწილე კომპანიებმა, განაცხადთან ერთად, სასწარმოს ფასის 10 პროცენტი, 1,25 მილიონი დოლარი ბანკ "რესპუბლიკას" ანგარიშზე უნდა გადაიხადონ. პოტენციურმა ინვესტორმა საწარმოს აქტივების განვითარების გეგმაც უნდა წარმოადგინოს. არაოფიციალური ინფორმაციით, "თბილგაზის" ქონების შესყიდვით რუსული "გაზპრომი" და მსხვილი ამერიკული კომპანია დაინტერესდა. როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, ყველა პრეტენდენტი კომპანიისათვის სატენდერო პირობები ერთნაირი იქნება.

რა მიიღო ბიუჯეტმა მოპოვებითი მრეწველობიდან?

ამის შესახებ ინფორმაცია დახურულია

პირველი გვერდიდან

ამ დასკვნამდე იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია მივიდა, რომლებიც "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის" შეიქმნენ და რომელიც "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას", "საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრს", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას", "ღია საზოგადოება - საქართველოს" და "საერთაშორისო გამჭვირვალობას" აერთიანებს.

არასამთავრობათა კოალიციამ ამ ცოტა ხნის წინათ დაასრულა ანალიტიკურ ანგარიშზე მუშაობა, რომელშიც ქვეყანაში არსებული მოპოვებითი მრეწველობისა და ენერგოგადაზიდვების, ამ საქმიანობის შედეგად სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლების და ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხის ანალიზია წარმოდგენილი.

კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაცია ამ სექტორებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების შესახებ საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, რაც, არასამთავრობოების განცხადებით, საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტურობას მნიშვნელოვნად აფერხებს.

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის" საქართველოს მთავრობასა და ამ სფეროებში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლებს ინფორმაციის საჯაროობისა და სახელმწიფოს ბიუჯეტში შემოსული თანხების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისკენ მოუწოდებს.

ცნობისათვის: დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სტატისტიკის შესახებ კანონით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსით, ხსენებული ტიპის ინფორმაცია დახურულია.

რატომ არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ინფორმაციის საჯაროობა და გამჭვირვალობა? "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე დავით ნარმანია ამბობს: **"ქვეყნის წიაღისეული არ არის ერთი რომელიმე პირის საკუთრება, ის ხალხს ეკუთვნის და, შესაბამისად, საზოგადოებას უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია წიაღისეულიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. ამ ტიპის შემოსავლების მოსახლეობის საკეთილდღეოდ ეფექტური გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული ანგარიშვალდებულებასთან, რაც, თავის მხრივ, ინფორმაციის გამჭვირვალობას მოითხოვს. ქვეყანაში არსებული მოპოვებითი და ენერგოგადაზიდვების მრეწველობების გამჭვირვალობა კი ღია, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის არსებობას გულისხმობს, რესურსების გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადების გარშემო."**

არასამთავრობათა კოალიციამ ახალი დასკვნა წარმოადგინა.

უკანასკნელი ოთხი წელია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის თაოსნობით, შექმნილია "მოპოვებითი მრეწველობების გამჭვირვალობის საერთაშორისო ინიციატივა", რომელიც გამჭვირვალობის ადეკვატურ დონეს უზრუნველყოფს მის წევრ-სახელმწიფოებში. ჩვენი ქვეყანა ამ დრომდე არ არის გაწევრიანებული ამ ინიციატივაში, თუმცა საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციამ "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" მიმართა საერთაშორისო ინიციატივას წინადადებით, რომ გამჭვირვალობის მექანიზმში შესულიყო როგორც მოპოვებითი, ასევე სატრანზიტო საქმიანობა. ამ ორგანიზაციის მხრიდან საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოლიციის ამ ინიციატივას სრული მხარდაჭერა და საქართველოთი, როგორც სამაგალითო სატრანზიტო ქვეყნით, დაინტერესება მოჰყვა.

რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს გაწევრიანება ამ ინიციატივაში და რას მოუტანს ის ქვეყანას? დღეს საქართველოში წიაღისეულის მოპოვება მრეწველობის ერთ-ერთი დარგთაგანია, რომელიც საკმაოდ აქტიურად და წარმატებულად ვითარდება. მარტივი სტატისტიკაც კი მოწმობს, რომ ყოველწლიურად იზრდება როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების რაოდენობა ნავთობისა და გაზის ძიებისა და მოპოვების დარგში, და როგორც ეკონომიკური ექსპერტები ირწმუნებიან, სულ ახლო მომავალში მოსალოდნელია კიდევ უფრო მზარდი ინვესტიციები ამ სექტორში. **"საერთაშორისო ინიციატივაში საქართველოს წევრობა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში არსებული წიაღისეულის არსებული მარაგის ეფექტურ ექსპლუატაციას, ხელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების მკვეთრ ზრდას,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, საქართველოს ამ ინიციატივაში გაწევრიანება ზემოთ ხსენებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასაც უზრუნველყოფს.

გასულ წელს ჩვენი ქვეყნის მთავრობამ საერთაშორისო ინიციატივის პრინციპების დანერგვის სურვილი გამოთქვა, და ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების განზრახვა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის წარდგენილ ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მემორანდუმში ცალსახად დააფიქსირა. მემორანდუმი იმ კრიტერიუმებს განსაზღვრავს, რომლის დაკმაყოფილებაც სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის დახმარების მიღების წინაპირობაა. გარდა ამისა, ანტიკორუფციული ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მიერ მომზადდა, ითვალისწინებს "მოპოვებითი მრეწველობების გამჭვირვალობის საერთაშორისო ინიციატივის" პრინციპების ქვეყანაში დანერგვის ვალდებულებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას დღემდე არ გადაუდგამს ის ნაბიჯები, რაც ქვეყნის ინიციატივაში გაწევრიანებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

"ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მზად ვართ ვითანამშრომლოთ მთავრობასთან, საქართველოს საერთაშორისო ინიციატივაში გაწევრიანებისათვის, რათა ჩვენს ქვეყანაში მოპოვებითი მრეწველობების და ენერგოგადაზიდვების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს შეესაბამებოდეს," - აცხადებენ არასამთავრობოთა კოალიციის წევრები.

არც ღვინო, არც წყალი

პირველი გვერდიდან

ამ ფაქტზე დაწყებულმა გამოძიებამ "როსპოტრებნადზორი" მოსკოვის გარეუბანში მდებარე საბითუმო საწყობებამდე მიიყვანა. ამ მომენტისთვის იქ "ბორჯომის" საბითუმო რეალიზაცია აკრძალულია. მიზეზი - ონიშჩენკოს წარგზავნილებმა "ბორჯომის" წარმომავლობისა და მისი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ მოიპოვეს.

საინტერესო დეტალი: დაახლოებით ერთი კვირის წინ, კრემლის დარბაზში რუსეთის ფედერაციამ მინერალურ წყალ "ბორჯომს" ჯილდო "სახალხო მარკა" მეექვსედ გადასცა. 2006 წელს გამოკითხვაში რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა 150 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც "ბორჯომი" 2005 წლის საუკეთესო ბრენდად დაასახელეს.

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ვიცე-პრეზიდენტის ბადრი ჯაფარიძის განცხადებით, რუსეთს "ბორჯომის" რეალიზაციის აკრძალვის ობიექტური საფუძველი არ გააჩნია. "ბორჯომის" რეალიზაციის აკრძალვა სერიოზულად აზარალებს, როგორც ჩვენს კომპანიას, ასევე თავად რუსეთში მცხოვრებ "ბორჯომის" მომხმარებლებს," - განაცხადა ჯაფარიძემ. კომპანიის წარმომადგენლობა მზად არის, ონიშჩენკოს ყველა კითხვას პასუხი გასცეს, თუმცა მოსკოვში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩასვლას ჯერჯერობით არ გეგმავენ.

მეტიც, ონიშჩენკო აცხადებს, რომ "ბორჯომის" ეტიკეტიანი ბოთლიდან მინერალური წყლის დაღევის შემდეგ ორი ადამიანი მოიწამლა. რუსეთის მთავარი სანიტარი არ გამორიცხავს, რომ თუ შესაბამისი სამსახურები ფალსიფიცირებული "ბორჯომის" ქართულ წარმოშობას დაადგენენ, რუსეთში მისი იმპორტი, ღვინის მსგავსად, აიკრძალება.

"ბორჯომის" მარკა "Bary Discovered Partners"-ის ფონდს ეკუთვნის, რომელშიც, რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წილებს ბორის ბერეზოვსკი და ბადრი პატარკაციშვილი ფლობენ. "გაზეტა რუ" რუს ექსპერტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ "ბორჯომთან" მიმართებაში ხარისხის პრობლემა არ არსებობს, პრობლემა "ბორჯომის" მარკის მფლობელებს - ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილს უკავშირდება, რომლებიც "ბორჯომის" საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან.

ფრაქცია "მრეწველების" ლიდერის ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, "ბორჯომთან" დაკავშირებით რუსეთში მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია. "ეს პოლიტიკური ნიშნით დატვირთული ხელმოცარული საბაბია. სახეზეა ქართული ეკონომიკის ემბარგო. ამ დროს მთავრობა ხისტი პოლიტიკით კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ მოქნილ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს უნდა ღებულობდეს. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოსკოვში ჩასვლა, რომელიც რესტორნებში ქეიფობს, პრობლემას ვერ მოაგვარებს," - განაცხადა ტყემალაძემ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკო ორველაშვილი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული ეკონომიკური სანქციები მინერალური წყლის აკრძალვის შემდეგაც გაგრძელდეს და რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციით დასრულდეს. "არავის ეგონოს, რომ ყველაზე უარესი უკვე მოხდა. ვფიქრობ, უარესი წინ არის და სავსებით მოსალოდნელია, სულ მალე რუსეთის ხელისუფლებამ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები, საქართველოს მილიონამდე მოქალაქე ქვეყნიდან გამოაძევოს, - განაცხადა ორველაშვილმა - ამჟამად საქართველოში მილიონზე მეტი უმუშევარია. ამას თუ რუსეთიდან ჩამოსული კიდევ ერთი მილიონი უმუშევარი დაემატა, ეკონომიკური თეორიის თანახმად, საქართველო ახალი სოციალური რევოლუციის წინაშე აღმოჩნდება."

მთავარმა სანიტარულმა ექიმმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებითაც, რომ მისი მონაცემებით, შესაძლოა, ღვინის სანქციებისთვის გვერდის ავლის ფაქტები არსებობდეს. "გვაქვს მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ამ ბაზარზე მომუშავე ოპერატორები ამ უხარისხო პროდუქციის სხვა ქვეყნების მარკებით შემოტანას ცდილობდნენ. თუ ეს დადასტურდა, დახმარებას საგამოძიებო ორგანოებს ვთხოვთ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვისაუბრებთ," - განაცხადა ონიშჩენკომ.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი კი რუსულ მხარეს ქართული ღვინის საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ სამუშაო ჯგუფის შექმნასა და დიალოგზე ითანხმებს. მოსკოვიდან დაბრუნებული მიხეილ სვიმონიშვილი აცხადებს, რომ რუსულ მხარეს მან ორი მოთხოვნა წაუყენა - ბაზარზე იმ ღვინის 50 პროცენტის დაბრუნება, რომელიც, თავად რუსული მხარის განცხადებით, არაფალსიფიცირებულია, მეორე მოთხოვნა კი სამუშაო ჯგუფის შექმნა იყო.

სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება მომავალ კვირას გახდება შესაძლებელი, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნების საკითხი გაირკვევა.

სხვათა შორის, ქართული და მოლდოვური ღვინოების ხარისხში ყაზახეთიც დაეჭვდა. ყაზახეთის სანიტარულ-ჰიგიენური სამსახურის წარმომადგენლის სეიტკარიმ ტასტანბეკოვის განცხადებით, საბითუმო და საცალო საწყობებიდან ქართული და მოლდოვური ღვინოების ნიმუშებზე ექსპერტიზა ჩატარდება. შემოწმების საფუძველი რუსეთში შექმნილი ვითარება გახდა, სადაც "როსპოტრებნადზორმა" ამ ქვეყნების ღვინოების შეტანა და რეალიზაცია აკრძალა.

საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი

1 - 17 აპრილის მიმოხილვა
2006 წელი



საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის მიერ განხორციელებული საფონდო გარიგების (2006წ)

განხორციელებული გარიგებები	1 552
გასხვისებული აქციები	19 617 480
გარიგებათა ღირებულება ლარში	43 258 925,31

საქართველოს საფონდო ბირჟის მიმოხილვა

აპრილის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოს საფონდო ბირჟაზე განხორციელდა **115** გარიგება **16** სახეობის სააქციო საზოგადოებაზის აქციაზე და ობლიგაციაზე. ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ **663817,06** ლარი შეადგინა. გასხვისებულ იქნა **93029** აქცია. ჩატარდა **4** სავაჭრო სესია. კვლავინდებურად საკმაოდ აქტიური იყო გარესაბირჟო ბაზარი. საფონდო ბირჟაზე აპრილის პირველ ნახევარში განხორციელებულ გარიგებათა შორის წილობრივი ბრუნვით გამოირჩეოდა სს "კაპშენი" - გასხვისდა აქციათა **51%** მეტი, მეორე პოზიციაზეა სს "ბეჭდვითი სატყვის კომბინატი" - **4,686** პროცენტი. აღსანიშნავია ამ სააქციო საზოგადოების აქციის ფასის ზრდა - ის **54.9** ლარს გაუტოლდა.

ბირჟაზე გაყიდული აქციების დაფარვის ცხრილი

27-Apr-05	.364	26-Apr-06	1 800 000
11-May-05	.364	10-May-06	2 000 000
25-May-05	.364	24-May-06	2 000 000
08-Jun-05	.364	07-Jun-06	2 000 000
სახაზინო კალდ. ჯამური ღირ.			7 800 000

ფულადი ბაზარი

17 აპრილის მდგომარეობით 2006 წელი

კალათა	ლარი
1 აშშ დოლარი	1,8200
1 ევრო	2,2000
1 რუსული რუბლი	0,0657
1 უკრაინული ჰრივნა	3,3885

ძირითადი საერთაშორისო ინდექსი

29-Mar-06	7 დღე	4%	1 000 000
31-Mar-06	28 დღე	6%	150 000
26-Jan-06	56 დღე	14%	1 500 000

მოქმედი კვირის კალენდარი

თარიღი	შინაარსი
18-Apr-06	სხდ სესია №29 (604)
19-Apr-06	ფასთა სტ. ჯგუფ. სხდომა
28-Apr-06	სხდ სესია №30 (615)

საქართველოს საფონდო ბირჟა

სესია № 610 - 613 / *2006 წლის 1 - 17 აპრილი*

დასახელება	კოდი	საშუალ. ფასი		ბოლო ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)	საწესდებო კაპიტალი (აქციები)	კაპიტალიზაცია ლარში	განსაზღვრა %-ში	2006წ დივიდენდი ფასი	მან.
სს „სახალხო ბანკი"	AMB	0,9	1	3712	3340,8	10000000	9000000	0,037	0,8	0,6
სს „ბეჭდვითი სატყვის კომბინატი"	BSK	54,9		5600	307440	119500	6560550	4,686	54,9	42
სს „საქართველოს ბანკი"	GEB	10,400		12 987	130 364,2	14783409	153747454	0,088	9,50	6,00
სს „ლინდვრინვესტი"	LINV	1,830		60	109,8	89840	164407,2	0,067	1,83	1,83
სს „კაპშენი"	KAPM	1,800		61 208	110 174,4	119525	215145	51,209	1,80	1,80
სს „ბანკის სტმა"	KTST	1,000		2 528	2 528,0	146849	146849	1,721	1,00	1,00
სს „რეა ქარე"	REAQ	3,640		61	222,0	128892	469166,9	0,047	3,65	3,64
სს „სალდო"	SLAD	0,250		5 081	1 270,3	1620451	405112,8	0,314	0,25	0,25
სს „პეპსი ბოტლინგ"	SSBS	125,000		2	250,0	5402	675250	0,037	125,00	125,00
სს „სატრანსნავთობი"	STP	7,000		300	2 100,0	171714	1201998	0,175	7,00	7,00
სს „სატრანსნავთობი"	STSP	6,000		42	252,0	392139	2352834	0,011	7,00	7,00
სს „თრანს 4 ქარხანა"	TPU4	2,000		120	240,00	128559	257118	0,093	2,00	2,00
სს „ტუსუშის ბანკი"	TUSB	90,000		3	270,00	792	71280	0,379	90,0	90,0
სს „ენერგოპრო თბილისი"	UTB	27,000		180	4 860,00	969637	26180199	0,019	27,00	27,00
სს „ცენტრ. ქარხ. ბანკი"	UGB	2,010		154	309,54	41000000	82410000	0,0004	2,00	1,60
სს „საქართველოს ბანკი"-ს	GEBOND	100,995		991	100 086,1				100,4	100,0
ჯამი				93 029	663 817,06					

დემოკრატიული ჩინეთის პერსპექტივა და პოლიტიკური არეულობა ევროპაში

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი


პრეზიდენტი შირაკი და პრემიერ-მინისტრი ვილპენი.

საფრანგეთში ისევ ქუჩა იმარჯვებს

გასულ კვირას თავისი გაიტანა საფრანგეთში აგორებულმა საპროტესტო გამოსვლებმა და გაფიცვებმა - მთავრობამ უარი თქვა ახალგაზრდობის დასაქმების კანონზე. საერთოდ, გაფიცვები საფრანგეთში სრულიად ჩვეულებრივი ამბავია და ამიტომ ახალგაზრდობის დასაქმების კანონის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟში განსაკუთრებული არაფერია გარდა იმისა, რომ ამ მოვლენებმა მეტისმეტად მძაფრი ხასიათი მიიღო და ფრანგული იდენტობისა და კულტურის საკითხიც კი მწვავედ დააყენა. ოპონენტებმა ეს კანონი "ანგლო-საქსური ულტრა-ლიბერალიზმის გამოვლინებად" მონათლეს, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებდა თავად ფრანგების ეროვნულ ხასიათს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრანგებისაგან ერთობ შორს დგას ბრიტანულ-ამერიკული მოდელი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ნაკლებად არეგულირებს კერძო ბიზნესის საქმეებს. ფრანგებისათვის დინამიურ ეკონომიკაზე (რასაც ბრიტანულ-ამერიკული მოდელი უწყობს ხელს) უფრო მნიშვნელოვანია სოციალური დაცულობის შეგრძნება, რომელიც მათთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

ჩავარდნილი კანონის მიხედვით, დამქირავებლებს საშუალება ეძლეოდათ 26 წლამდე ადამიანების სამსახურში ორწლიანი გამოსაცდელი ვადით აეყვანათ და ამ ხნის განმავლობაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაეწყვიტათ კონტრაქტი. ერთი მხრივ, ეს რთულ მდგომარეობაში აყენებდა ახალგაზრდობას, მაგრამ მეორე მხრივ ეს დამქირავებლებს სამსახურში ახალგაზრდობის აყვანისათვის ხელ-ფეხს უხსნიდა, რაც მნიშვნელოვანი შეღავათი იქნებოდა ფრანგული შრომის ბაზრისათვის - ამ ქვეყანაში ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი დაუსაქმებელია.

პრეზიდენტი შირაკი და პრემიერ-მინისტრი ვილპენი რამდენიმე კვირის განმავლობაში იცავდნენ თავიანთ პოზიციას. 1968 წლიდან მოყოლებული, საფრანგეთის მთავრობას არაერთხელ მოუხდა ქუჩის მანიფესტანტებთან დათმობაზე წასვლა. ჩანს ამჯერად შირაკმა გადაწყვიტა უკან აღარ დაეხია. მითუმეტეს, რომ მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნები იმართება, შრომის ბაზრის რეფორმირების გარეშე კი წარმატების შანსი არც ისე დიდია. ალბათ, კიდევ უფრო მცირეა მისი სავარაუდო შემცვლელის, ვილპენის შანსები. ახალი კანონი სწორედ ამ უკანასკნელის ინიციატივა იყო. ვილპენი ბოლო წუთებამდე არ თმობდა, მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს, მითუმეტეს რომ გასულ კვირას მისი რეიტინგი 25%-მდე დაეცა. ახლა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მემარჯვენე ცენტრისტთა ფავორიტი, ვილპენის ძველი მეტოქე, შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლა სარკოზი იქნება. ყველაზე მეტად ამ არეულობით სოციალისტებმა იხეირეს, რომელთაც ახლანდელი მმართველი ძალის დისკრედიტაცია ხელისუფლებაში დაბრუნების კარგ შანსებს აძლევს. სოციალისტების მმართველობის პირობებში კი საფრანგეთის შრომის ბაზრის რეფორმირება კიდევ უფრო წარმოუდგენელია, ვიდრე ახლანდელი მთავრობის ხელში. მითუმეტეს, რომ ახალგაზრდობის დასაქმებისათვის რადიკალური კანონების გარდა სხვა, უფრო ტრადიციული მეთოდებიც არსებობს, რომელთაც მალე თავად ახლანდელი მთავრობაც მიმართავს - კომპანიებს 300 მლნ ევროს სუბსიდიები გამოეყოფათ ახალგაზრდების დასაქირავებლად. მემარცხენეობა იმარჯვებს - მოქალაქეთა დაცულობას და სოციალურ უსაფრთხოებას ისევ სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე.

მოკლედ, საფრანგეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პრიორიტეტები. მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა არც ისე მაღალია, რისი მიზეზიც სოციალისტური ტიპის მმართველობაა. მაგრამ ფრანგულ ხასიათს ეს მოდელი ყველაზე უკეთ ეწყობა. საფრანგეთში ყველაფერი მეტ-ნაკლებად გასაგებია, რასაც ვერ ვიტყვით იტალიაზე, სადაც მეტოქე მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებმა არჩევნებში პრაქტიკულად 50/50 დააგროვეს და მხოლოდ ის გაირკვა, რომ ბერლუსკონი იტალიის ლიდერი ვეღარ იქნება. ბევრი მიმომხილველი ამასთან დაკავშირებით იტალიის საგარეო პოლიტიკაში პროევროპული ელემენტის გაზრდას (და პროამერიკულის შემცირებას) ვარაუდობს, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ ბერლუსკონის მეტოქე, მემარცხენე ცენტრისტი რომანო პროდი ადრე ევროკომისიის ხელმძღვანელი იყო. თუმცა, დასკვნების გაკეთება ალბათ არ უნდა ვიჩქაროთ.

ვაშინგტონი ჩინეთის დემოკრატიზაციის მოლოდინში

ვაშინგტონი ჩინეთის პრეზიდენტის ვიზიტის მოლოდინშია და შესაბამისად სულ უფრო და უფრო ხშირად დგება ის საკითხები, რაც თეთრ სახლს ჩინეთთან ურთიერთობის მხრივ ყველაზე მეტად აღელვებს - სავაჭრო ბალანსი. პრეზიდენტმა ბუშმა თავის ჩინელ კოლეგას, ჰუ ძინტაოს ვაჭრობაში თანასწორობისაკენ მოუწოდა. "200 მილიარდიანი სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან ამერიკელებს აფიქრებინებს, რომ სამართლიანობა და თანასწორობა დაცული არ არის," - განაცხადა ბუშმა. ამავე დროს ისე მოხდა, რომ გასულ კვირას გამოქვეყნდა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მიმდინარე წლის თებერვალში აშშ-ის სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან შემცირდა და 2005 წლის მარტიდან მოყოლებული ყველაზე დაბალ მაჩვენებელი შეადგინა. ჯერჯერობით გაურკვეველია ეს ახალი ტენდენციის მაჩვენებელია თუ დროებითი შემობრუნება. ყოველ შემთხვევაში, ჰუ ძინტაოს ვიზიტის დროს ვაშინგტონი ეკონომიკასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების დაყენებას აპირებს. ეს შეეხება ჩინეთში ინტელექტუალურ საკუთრებასთან არსებულ პრობლემებს, სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას უცხოური კომპანიების დისკრიმინაციას და, რასაკვირველია, ჩინურ ვალუტას, რომელიც, ამერიკელთა აზრით, 40%-ითაა ხელოვნურად გაუფასურებული და ჩინურ საქონელსაც ხელოვნურად აიაფებს.

ეს იმის თაობაზე, რაც საჯაროდ გაისმის. არავინ იცის დაიწყება თუ არა საუბარი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ერთი წლის წინ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, დონალდ რამსფელდმა დააყენა: რატომ დებს ჩინეთი ასეთ დიდ ინვესტიციებს თავის შეიარაღებაში, როცა მას არავინ ემუქრება? ეს შეკითხვა იმდენად რიტორიკულია, რომ რამსფელდს გულუბრყვილო ადამიანადაც კი წარმოაჩენს. მაგრამ მინისტრის სიტყვების უკან ბევრი სხვა რამე ძევს: პენტაგონი ვარაუდობს, რომ ჩინეთის რეალური სამხედრო ბიუჯეტი რამდენჯერმე აჭარბებს ოფიციალური მონაცემით არსებულს - 35 მილიარდ დოლარს - და 100 მილიარდს აღწევს. შედარებისათვის, 46,5 მილიარდს შეადგენს იაპონიის თავდაცვის ბიუჯეტი, რომელსაც აქედან გამომდინარე შეშფოთების სერიოზული საფუძველი აქვს. ჩინეთი აზიის სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტს ხარჯავს შეიარაღებაზე და ამას თავისი შედეგი მოაქვს. 10 წლის წინ ტაივანის მახლობლად ჩინეთის შეიარაღებული ძალების მიერ გამართული მანევრები სერიოზულად არავინ აღიქვა (მათ შორის არც ტაივანმა, რომლის დაშინებასაც ეს მანევრები ისახავდა მიზნად). ჩინეთის შეიარაღებული ძალები ერთობ არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ, მათი აღჭურვილობა და ტექნიკა კი საკმაოდ მოძველებული იყო. მანევრები პრაქტიკულად შეწყდა, როცა აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის ბრძანებით ტაივანის მახლობლად ამერიკული ავიამზიდები გამოჩნდნენ.

იგივეს ვეღარ ვიტყვით გასულ წელს რუსებთან ერთად გამართულ სამხედრო მანევრებზე. ჩინეთის შეიარაღებული ძალების პროგრესი აშკარა იყო, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ჩანდა კოორდინაციაც. ჩინელებმა კარგად განახორციელეს გამაგრებულ სანაპიროზე დესანტის გადასხმის იმიტაციაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ტაივანთან სამხედრო დაპირისპირება გახდება საჭირო. ამ დროს კი ტაივანის თავდაცვისუნარიანობა არც ისე მაღალია: ოპოზიციური ნაციონალისტური პარტია კუნძულის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას ხელს უშლის და უკვე რამდენჯერმე ჩააგდო სპეციალური ბიუჯეტი, რომელიც აშშ-სგან თავდაცვითი სისტემების შესყიდვას ითვალისწინებდა.

რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ჩინეთის შეიარაღებული ძალები, ტაივანის შტურმი მაინც ნაკლებად სავარაუდოა და იმედია კუნძულის შემოერთებისათვის პეკინი ალბათ სხვა, უფრო ნაცად ხერხს მიმართავს - ეკონომიკურ თანამშრომლობას. საერთოდ არც აზიასა და არც დასავლეთში ალბათ არავის დააშინებს ისეთი ჩინეთი, რომლის ამბიციებიც ეკონომიკური განვითარებით შემოიფარგლება. ჩინეთის ეკონომიკურ აღმავლობას მთელი მსოფლიოსათვის ბევრი სიკეთე მოაქვს. ვაშინგტონში იმედოვნებენ, რომ ჩინეთის განვითარებასა და ჩინეთთან დასავლეთის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების განმტკიცებას თანდათანობით ჩინეთის დემოკრატიზაცია მოჰყვება, დემოკრატიული ქვეყანა კი არავისათვის საფრთხეს არ ქმნის. მაგრამ საამისოდ აუცილებელია ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკა სამართლიანი და არადისკრიმინაციული იყოს და ჰუ ძინტაოსთან აშშ-ის პრეზიდენტი უპირველესად სწორედ ამ საკითხზე ისაუბრებს. რაც შეეხება, რამსფელდის მიერ დასმულ შეკითხვას, ის, ასე თუ ისე, მაინც რტორიკულია და პასუხიც მეტად მარტივად ჟღერს: დიდი სახელმწიფო იმას აკეთებს, რაც მას სურს.

"გაზპრომის" თურქმენული ხვრელი

განვითარებისათვის ჩინეთს ენერგორესურსები ესაჭიროება. გასულ კვირას პეკინმა ამ მხრივ ახალი წყარო გამოძებნა თურქმენული გაზის სახით. რუსულმა პრესამ გაღიზიანება ვერ დამალა იმ ფაქტით, რომ ჩინეთში ჩასულმა საფარმურატ ნიაზოვმა ხელი მოაწერა შეთანხმებას გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. გაღიზიანების მიზეზი ისაა, რომ ამგვარი პროექტები თურქმენულ გაზზე "გაზპრომის" მონოპოლიას ძირს უთხრის. საიდან უნდა მიაწოდოს ჩინეთს გაზი თურქმენეთმა, როცა 2003 წელს რუსეთთან 25-წლიანი სტრატეგიული შეთანხმება გააფორმა? - კითხულობენ რუსი სპეციალისტები. ამ შეთანხმების მიხედვით, უკვე მომავალი წლიდან რუსეთმა თურქმენეთიდან 60 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა მიიღოს, ხოლო 2009 წლიდან მოყოლებული - 80 მილიარდი. სწორედ 2009 წელს უნდა ამუშავდეს ჩინეთზე მიმავალი გაზსადენი, რომლის მეშვეობითაც მზისქვეშა იმპერიამ 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა მიიღოს. საიდან გაჩნდება ამდენი გაზი, როცა გასულ წელს თურქმენეთმა სულ 60 მილიარდი კუბური მეტრი მოიპოვა? მართალია, ჩინურ-თურქმენულ შეთანხმებაში გაზის ახალი საბადოების ათვისებაა გათვალისწინებული, მაგრამ ჩანს რუსები შიშობენ, რომ იმ შემთხვევაში თუკი გაზი საკმარისი არ იქნება და თურქმენბაშს არჩევანის გაკეთება მოუწევს, რუსეთსა და ჩინეთს შორის, იგი ამ უკანასკნელს არჩევს. რუსი სპეციალისტები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ თურქმენეთი ჩინეთს არ ესაზღვრება და იქაურმა გაზმა მზისქვეშა იმპერიამდე, სულ მცირე, ორი შუა აზიური ქვეყანა ან ავღანეთი უნდა გაიაროს, მაგრამ იქვე აღიარებენ, რომ შუააზიური ქვეყნები ჩინურ პროექტს არანაირ წინააღმდეგობას არ გაუწევენ და რუსეთი თურქმენული გაზის ტრანსპორტირებაზე მონოპოლიას დაკარგავს.

ამგვარი ხასიათის აჟიოტაჟი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთი ყოფილ საბჭოთა სივრცეში ენერგომატარებლებზე გადამწყვეტი გავლენის შენარჩუნებას. ეს გავლენა ყველა მიმართულებით ვითარდება: თუკი ვინმეს ენერგორესურსები გააჩნია, რუსეთმა მათი ტრანსპორტირების მონოპოლიზაცია უნდა მოახდინოს (თურქმენეთის შემთხვევა), ვისაც არ გააჩნია, მათთან ელემენტარული შანტაჟის გზით წყდება ყველაფერი - რუსეთი ასეთ სახელმწიფოებს გაზზე ფასის აწევით ემუქრება და მუქარის ასრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ამბობს უარს, თუკი ამ სახელმწიფოებში ენერგორესურსების ტრანსპორტირებისა და განაწილების ობიექტებს დაუთმობენ (ბელარუსისა და სომხეთის შემთხვევა). "გაზპრომი" ყველაფერს ეუფლება და, ამავე დროს, ისეთი ალტერნატივები, როგორის შექმნასაც ახლა თურქმენეთი ცდილობს, არაადეკვატურ გაღიზიანებას იწვევს. იზრდება "გაზპრომისგან" ევროპის დამოუკიდებლობის ხარისხიც. დასავლეთში აღნიშნავენ, რომ რუსეთის ხელში არნახული ენერგეტიკული ბერკეტებია, რაც ბალანსს სერიოზულად არღვევს. ცივი ომის პერიოდში აშშ-სა და სსრკ-ს ე.წ. გარანტირებული ურთიერთგანადგურება (Mutually Assured Destruction) აკავებდათ. ანუ, სსრკ აშშ-ს ვერ დაარტყამდა ისე, რომ თავადაც არ მიეღო გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა, და პირიქით - აშშ-ც ანალოგიური მიზეზით ვერ დაარტყამდა რუსეთს. "გაზპრომის" გამოისობით, ახლა ამგვარი ტიპის ბალანსი მოშლილია.

თურქმენბაშის ჩინური ვოიაჟით გამოწვეული გაღიზიანება უფრო გასაგები გახდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ "გაზპრომი" სულ უფრო და უფრო მეტ ბაზარს ეპოტინება და საქმე ალბათ იქამდეც მივა, რომ ამ ბაზრების ასათვისებლად რუსული გაზის მარაგი (რომელიც მსოფლიოში უდიდესია) აღარ იკმარებს. ამიტომაა მნიშვნელოვანი სხვა ქვეყნების ენერგორესურსების კონტროლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "გაზპრომს" სხვა პრობლემებიც აქვს. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას შიდა ბაზარი ქმნის - რუსეთში მოსახლეობას გაზი ერთობ დაბალ ფასებში მიეწოდება. "გაზპრომისათვის" ეს სერიოზული ფინანსური წაგებაა, მაგრამ კრემლს ამგვარი ვითარება ხალხის გულის მოსაგებად სჭირდება და ფასების აწევა ალბათ კიდევ დიდხანს არ მოხდება. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას სხვა ფაქტორებთან ერთად გაზზე დაბალი ფასებიც აფერხებს, მაგრამ მოსკოვი ამგვარ პოლიტიკაზე უარს არასდიდებით არ ამბობს და გასულ კვირას საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუსეთის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, თუკი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ჩვენგან ამდენ მსხვერპლს ითხოვს, კიდევ დავიცდით, რუსეთი ორგანიზაციაში მისთვის წამგებიან პირობებზე არ შევაო. პრობლემები რუსეთს აშშ-სთან ექმნება (სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით სხვა წამყვან მოთამაშეებთან მოსკოვმა ურთიერთობები უკვე გაარკვია). გაზის ფასზე გაცილებით უფრო მწვავედ დგას იგივე ინტელექტუალური საკუთრების პრობლემა. სენატორმა გორფონ სმიტმა პირდაპირ განაცხადა: ოდესღაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის მიღებას დავუჭირე მხარი, რისიც ახლა მრცხვენია, ახლა არ მინდა რუსეთის გამო მეორედ შევრცხვე. ვაშინგტონში იმასაც ამბობენ, რომ ჩინეთის დემოკრატიზაცია უფრო რეალური პერსპექტივაა, ვიდრე რუსეთის. თუკი ჩინეთი მტკიცედ მიიწევს საბაზრო ეკონომიკისაკენ და არის იმედი, რომ დემოკრატიისკენაც წავა, რუსეთი 90-იანების დემოკრატიიდან უკან - ავტოკრატიისაკენ წავიდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ მოსკოვთან უფრო მეტი პრეტენზია არსებობს.


ნიაზოვი ჩინეთში.

Motorola Inc-ს Siemens AG-ს ყიდვა სურს

გერმანული კონცერნი Siemens AG თავისი მთავარი სეტელეკომუნიკაციო განყოფილების ამერიკული კორპორაცია Motorola Inc-ისათვის მიყიდვის შესაძლებლობას განიხილავს. ამერიკული მხარე ამ გარიგების განხორციელებით დაინტერესებულია, მაგრამ გერმანელებს სურთ მასში სხვა პრობლემური ქვეგანყოფილებებიც ჩართონ.

Siemens AG-ს სატელეკომუნიკაციო ქვეგანყოფილების გაყიდვების შემოსავალმა, რომელშიც მობილური ტელეფონების მოგებიანი ბიზნესიც შედის, გასულ ფინანსურ წელს 13,1 მილიარდი ევრო შეადგინა. კონცერნის მთლიანი ფინანსური ბრუნვა 2005 წელს 75,4 მილიარდი ევრო იყო. გადასახადების გადახდის შემდეგ წლიური სუფთა მოგება 2,25 მილიარდი ევრო გახლდათ.

158 წლის წინ შექმნილი Siemens AG ელექტორონიკის და ელექტროტექნიკის მსოფლიო ლიდერია. 190-ზე მეტ ქვეყანაში მომუშავე გერმანული კონცერნი მოღვაწეობს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ინფორმატიკა, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაციები, ავტომატიზაციისა და კონტროლის სისტემები, ენერგეტიკა, ელექტრონიკა, ტრანსპორტი და მედიცინა.

კომპანიების ჯგუფი Eircom Group-ში 2,36 მილიარდს იხდის

ავსტრალიურმა Babcock & Brown Capital-მა Eircom ESOP Trustee Ltd-სთან ერთად ირლანდიური სატელეკომუნიკაციო კომპანია Eircom Group-ის შესყიდვის სანაცვლოდ 2,36 მილიარდი ევრო შესთავაზა. როგორც ცნობილი გახდა, Babcock & Brown Capital მზადაა Eircom Group-ის ერთ აქციაში 2,2 ევრო გადაიხადოს, რაც 13 აპრილს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე 2,8 პროცენტით მეტია.

აღსანიშნავია, რომ Babcock & Brown Capital უკვე არის Eircom Group-ის უმსხვილესი აქციონერი, ფლობს რა ირლანდიური კომპანიის აქციების 28,8 პროცენტს. რაც შეეხება Eircom ESOP Trustee Ltd-ის მის მფლობელობაში Eircom Group-ის აქციების 21,8 პროცენტია. ახლა კი ამ ორ კონცერნს ირლანდიური კომპანიის ხელში სრულად ჩაგდება სურს.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის ნოემბერში უმსხვილესი ირლანდიური სატელეკომუნიკაციო კომპანიის შესაძენად მოლაპარაკებებს აწარმოებდა შვეიცარიული Swisscom და ერთი აქციის სანაცვლოდ ირლანდიურ მხარეს 2,4-დან 2,5 ევრომდე სთავაზობდა. მაგრამ მაშინ გარიგება უკანასკნელ მომენტში ჩაიშალა, რადგან შვეიცარიის მთავრობამ, რომელიც Swisscom-ის უმსხვილესი აქციონერია, მოლაპარაკებები დაბლოკა.

ჩინეთს მსოფლიოში უდიდესი სავალუტო რეზერვი აქვს

ჩინეთის სავალუტო რეზერვების მოცულობა 875,1 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ამგვარად, ამ მონაცემის მიხედვით ჩინეთმა უკან ჩამოიტოვა იაპონია და მსოფლიოში უდიდესი სავალუტო რეზერვის მქონე ქვეყანა გახდა.

2006 წლის პირველ კვარტალში ჩინეთის სავალუტო რეზერვების მოცულობა 56,2 მილიარდი დოლარით გაიზარდა. აქედან 26,3 მილიარდი იანვარზე, 7,5 მილიარდი თებერვალზე და 21,4 მილიარდი დოლარი მარტზე მოდის. 2005 წლის ბოლოს ჩინეთის სავალუტო რეზერვები 818,9 მილიარდს შეადგენდა. ექსპერტთა ვარაუდით, ამგვარი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, ჩინეთის სავალუტო რეზერვების მოცულობა ტრილიონ დოლარს მიმდინარე წლის ბოლომდე გადააჭარბებს.

ნავთობი წლის ბოლომდე არ გაიაფდება

შაკიბ ჰელილი.

ალჟირის ნავთობისა და შახტების მინისტრმა, შაკიბ ჰელილმა განაცხადა, რომ ნავთობზე მაღალი ფასები წლის ბოლომდე შენარჩუნდება. მისი თქმით, ფასების ზრდის დინამიკის შენარჩუნებას ხელს უწყობს მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე არსებული მზარდი მოთხოვნილება და ერაყში, ირანში, ნიგერიასა და ვენესუელაში არსებული არასტაბილური ვითარება.

ალჟირელი მინისტრის სიტყვების დასტურად უნდა ითქვას, რომ გასული კვირის ბოლოს 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა 70,99 დოლარს მიაღწია, რაც ყველა დროის აბსოლუტური რეკორდი გახლავთ.ნავთობის ბაზარზე სიტუაცია შეიძლება იმანაც დაძაბოს, რომ ჩადის ხელისუფლება მსოფლიო ბაზარზე "შავი ოქროს" შეტანის შეწყვეტას აპირებს, თუ მსოფლიო ბანკი უცხოეთში არსებულ ფინანსებს არ განბლოკავს.

ჩადის მთავრობის თავმჯდომარის თქმით, მთლიანობაში 125 მილიონი დოლარის ოდენობის ეს ფინანსები აუცილებელია ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების გასაძლიერებლად და ოპოზიციური მთავრობის ბოევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩადის ნავთობის მინისტრის მაჰმატ ჰასან ნასერის თქმით, მისი ქვეყანა მსოფლიო ბანკისაგან 18 აპრილის შუადღემდე დროებით გაყინული ანგარიშების განბლოკვას და შეჩერებული კრედიტის განახლებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩადიდან ნავთობის იმპორტი შეწყდება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა ჩადის მიმართ სანქციების განხორციელება მიმდინარე წლის იანვარში იმიტომ დაიწყო, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ დაარღვია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ნავთობის ექსპორტის მიღებული შემოსავალი სიღარიბესთან ბრძოლას უნდა მოხმარებოდა და არა ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებას. ამჟამად ჩადში დღეში დაახლოებით 160 ათასი ბარელი ნავთობი მოიპოვება. ექსპორტს უცხოური კომპანიები, ძირითადად ამერიკული ExxonMobil ახორციელებს.

საქართველოში ქართული ღვინის კვირეული იწყება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, დღეიდან ქართული ღვინის კვირეული გაიმართება. ღვინის პოპულარიზაციისა და რეკლამის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მსოფლიო მედიის წარმომადგენლები და ექსპერტები მოიწვია. 30-კაციანი დელეგაცია საქართველოს ხვალ ეწვევა. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, თბილისს ხვალ, ღვინის ექსპერტებთან ერთად, რუსი ჟურნალისტები და მოსკოვში აკრედიტებული საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები ეწვევიან.

ვიზიტის პირველ დღეს დაგეგმილია შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილთან, მოგვიანებით კი სტუმრები თბილისს დაათვალიერებენ. 18 აპრილს სტუმრები კახეთში გაემგზავრებიან, ღვინის ქარხნებს დაათვალიერებენ, მოინახულებენ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს. 19 აპრილს დელეგაციის წევრები ღვინის ლაბორატორიებს დაათვალიერებენ და გაეცნობიან, როგორ გაიცემა ქართულ ღვინოზე ხარისხის სერტიფიკატები. დელეგაცია საქართველოს 20 აპრილს დატოვებს. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი, სავარაუდოდ, პირველი ივნისიდან გაიზრდება

საქართველოში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი, სავარაუდოდ, პირველი ივნისიდან გაიზრდება. სადისტრიბუციო კომპანიებმა და გენერაციის ობიექტებმა ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ტარიფის გაზრდის მოთხოვნით ორი დღის წინ მიმართეს. როგორც ცნობილი გახდა, ტარიფის გაზრდის მოთხოვნით სემეკში განაცხადები ერთდროულად შეიტანეს კომპანია "თელასმა", გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ, აჭარის ენერგოკომპანიამ და კახეთის ენერგოდისტრიბუციამ, აგრეთვე, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას ითხოვენ გენერაციის ობიექტები.

ჯერჯერობით, არ სახელდება ტარიფის სავარაუდო მოცულობა, თუმცა წინასწარი ინფორმაციით, სამომხმარებლო ტარიფი 15 თეთრამდე გაიზრდება. სემეკი, აგრეთვე, აპირებს ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის გადახედვასაც, რაც, თავისთავად, სამომხმარებლო ტარიფის ზრდაზე ადეკვატურად აისახება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას უფლება აქვს, სატარიფო განაცხადები 150 დღის განმავლობაში განიხილოს, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ სემეკი ამ პროცედურას დააჩქარებს და ელექტროენერგიის ახალ ტარიფს 20 დღეში დაამტკიცებს. **ინტერპრესნიუსი**

ჟინვალის გვირაბის შეკეთება ივნისში დაიწყება

"თბილწყალკანალი" ჟინვალის დაზიანებული გვირაბის შეკეთებას ივნისიდან დაიწყებს. ამის შესახებ "თბილწყალკანალის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი ქელბაქიანმა განაცხადა. მისი თქმით, გვირაბის ყველაზე დაზიანებული ნაწილის გასამაგრებლად ენერგეტიკის სამინიტრომ 4 მლნ. ლარი, თბილისის მთავრობამ კი 2 მლნ ლარი გაითვალისწინა. გვირაბის შეკეთების შემდეგ, წყალსაცავი 20 მეგავატით მეტ ენერგიას გამოიმუშავებს. ჟინვალის წყალსაცავი წელიწადში 450 მლნ კილოვატსაათ ენერგიას გამოიმუშავებს. გვირაბში სამუშაოები მას შემდეგ დაიწყება, რაც არაგვის ხეობაში და ჟინვალის წყალსაცავზე პარალელურად მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება. ამჟამად ჟინვალის წყალსაცავზე უქმი წყალსაშვის გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს, რათა გაზაფხულზე, მოსალოდნელ წყალდიდობას ჟინვალის წყალსაცავი მომზადებული შეხვდეს. **ინტერპრესნიუსი**

ადიდებულმა ენგურმა სვანეთისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა დააზიანა

ადიდებულმა ენგურმა სვანეთისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა დააზიანა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მდინარემ გზის საყრდენი ბურჯი გამორეცხა, რის გამოც მოძრაობა აკრძალულია ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტიის საავტომობილო გზის ხაიშის მონაკვეთზე. ახლოს მდებარე შემოვლითი გზით სარგებლობის უფლება მხოლოდ მსუბუქ ავტომობილებს აქვთ, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ტრანსპორტის გადაადგილება კი აკრძალულია. **ჯი-ეიჩ-ენი**

ამინდი

	17/04	18/04	19/04
კიევი	11	16	17
რიგა	10	8	8
ვილნიუსი	8	5	6
მოსკოვი	11	10	10
მინსკი	10	11	14
პარიზი	14	12	14
რომი	18	20	21
ლონდონი	16	12	10
მადრიდი	12	22	24
ბონი	12	12	16
ვარშავა	7	15	15
ათენა	25	25	23
ბერნი	14	15	23
ამსტერდამი	7	6	6
ოსლო	1	2	7
ანკარა	25	25	23
ვარნა	23	20	12
დელი	40	34	36
ტოკიო	18	20	18
კოპენჰაგენი	4	2	4
ბაქო	18	17	22
ერევანი	20	25	26
ასტანა	19	12	10
ჰელსინკი	5	-2	2
დუბლინი	11	5	10
ლისაბონი	18	15	22
პრაღა	13	13	12
სოფია	23	17	14
ბუდაპეშტი	22	20	18
ბუხარესტი	25	19	18

IBG - ცნობილი ავტო-ბრენდების იმპორტიორი საქართველოში

სალომე ძაძამია

გიორგი ნემსაძე.

ტარიელ ხეჩიკაშვილი.

საქართველოში საავტომობილო ბიზნესი ვითარდება. თბილისში უკვე რამდენიმე ცნობილი ავტობრენდის ცენტრი არსებობს. "იბერია ბიზნეს ჯგუფი" რამდენიმე ცნობილ მარკას აერთიანებს, მათ შორის, ისეთ პოპულარულ ბრენდებს, როგორებიცაა: "ფოლკსვაგენი", "პეჟო," "აუდი" და "შკოდა".

დღეისთვის IBG 15-მდე ორგანიზაციას აერთიანებს, რომელთა საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავტომობილების, საავტომობილო და ინდუსტრიული ზეთების, ავტომობილის სათადარიგო ნაწილების, საბურავების და საწვავის იმპორტი.

"ფოლკსვაგენის ცენტრი" IBG-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. "ფოლკსვაგენის ცენტრი" უახლოეს მომავალში რეგიონული საწყობის გახსნას გეგმავს. "ფოლკსვაგენის" რეგიონული საწყობი ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოში იქნება.

"ფოლკსვაგენის ცენტრის" ერთ-ერთი მფლობელი ცნობილი ფეხბურთელი გიორგი ნემსაძეა.

გიორგი ნემსაძე: "ფოლკსვაგენის ცენტრის" დამფუძნებლები - გოჩა ენუქიძე, ზურა კოლორიკაშვილი, მიხეილ ალხაზიშვილი, ტარიელ ხეჩიკაშვილი ჩემი მეგობრები არიან. ძირითადად, ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ ფოლკსვაგენის ცენტრის ერთ-ერთი თანამფლობელი ვარ. ჩვენ ვცდილობთ, მომხმარებელს მაღალი ხარისხი და განსხვავებული სერვისები შევთავაზოთ. "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომობილები საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს."

"იბერია ბიზნეს ჯგუფი საქართველოში დაახლოებით 15-მდე ტრანსნაციონალურ კომპანიას" აერთიანებს. ჩვენი თითქმის ყველა მსხვილი პარტნიორი საკუთარი სფეროს ლიდერია. ქართულ ბაზარზე ყველაზე ცნობილია "ფოლკსვაგენი", "შკოდა," "აუდი," "პეჟო"; გარდა ამისა, ასევე ძალიან ცნობილი ბრენდები, მსოფლიოში უდიდესი ნავთობკომპანია "ექსონ მობილი", "მობილ ერთის" ავტომობილის ზეთები.

უახლოეს მომავალში "ესოს" ზეთების პროდუქციის შემოტანას ვგეგმავთ. წარმოვადგენთ საბურავებსაც - "მიშლენის" და "პირელის" წარმომადგენლები ვართ. საქართველოში "ბოშის" უნივერსალურ სერვისებს წარმოვადგენთ და კიდევ მრავალ სხვა ცნობილ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ," - აცხადებს IBG-ს პრეზიდენტი.

"იბერია ბიზნეს ჯგუფის" "ფოლკსვაგენთან" წარმატებულმა თანამშრომლობამ განაპირობა ის, რომ მაისის თვეში საქართველოში შეიქმნება რეგიონული საიმპორტო საწყობი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს და თურქმენეთს მოემსახურება. საიმპორტო საწყობი სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია. "ფოლკსვაგენს", ფაქტობრივად, თავისი სერიოზული ბიზნეს-ცენტრი საქართველოში გადმოაქვს.

"ფოლკსვაგენის" წარმომადგენლების მხრიდან ასეთი დადებითი განწყობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში "ფოლკსვაგენის" ავტო-ქარხნის შექმნაც არ არის გამორიცხული. აღმოსავლეთ ევროპაში ამის პრეცედენტები უკვე არსებობს.

"ამიერკავკასიის ბაზარი შედარებით პატარაა და დიდი სამრეწველო ბაზის გაკეთებაზე ჯერჯერობით ძნელია საუბარი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი პარტნიორები ჩვენს შესაძლებლობებს ძალიან დადებითად აფასებენ, გამორიცხული არაფერია," - აცხადებს ტარიელ ხეჩიკაშვილი.

როგორც "იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტი აცხადებს, საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის პოსტრევოლუციური პერიოდი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა.

"რევოლუციის შემდეგ საქართველოში ბიზნესი რეალურად სტაბილურდება. დავიწყეთ განვადების სისტემები, გვაქვს ერთწლიანი უპროცენტო განვადება. ასევე, ბევრი მოხერხებული და კლინტებზე მორგებული პროგრამა. საქართველოში ბიზნესი ცივილურ სახეს იღებს და დასავლური ბიზნესკანონებიც ნელ-ნელა შემოდის ჩვენთან. შესაბამისად, არიან წარმატებული კომპანიები და ჯანსაღ კონკურენციას ჩვენც ვგრძნობთ.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ არალეგალური მანქანების შემოყვანა შეზღუდა და ამ საკითხს მკაცრად აკონტროლებს. პრესტიჟული კომპანიებისთვის ეს უმნიშვნელოვანესი რამ არის. მოთხოვნილება გაიზარდა ცნობილ ბრენდებზე. დღეს საქართველოში მანქანა ფუფუნების საგნად აღარ ითვლება და თითქმის ყველა შეძლებულ ოჯახში რამდენიმე ავტომობილია. "ფოლკსვაგენის" არქიტექტურით, 2007 წლის ბოლოსთვის საქართველოში "ფოლკსვაგენის" დიდი სერვის-ცენტრი აშენდება.

ჩვენი ბიზნესი სალიზინგო კომპანიების გარეშე წარმატებული ვერ იქნება. ვთანამშრომლობთ "საქართველოს ბანკთან". მაისში "თიბისი ბანკთან" ვაპირებთ ერთობლივი პროექტის განხორციელებას. ძალიან ძნელია უცხოელი კომპანიონების დარწმუნება იმაში, რომ საქართველოში შესაძლებელია სუფთა ბიზნესის წარმოება. "ფოლკსვაგენის" რეგიონული საწყობი ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოში იქნება და ეს ჩვენდამი ნდობის ხარისხზეც მეტყველებს.

მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით დამწყებ ბიზნესმენებს მივმართო: ნუ შეაშინებთ დაბრკოლებები. შრომით და კანონის დაცვით აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნებით," - აცხადებს ტარიელ ხეჩიკაშვილი.

შპს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტი" 60 000 დოლარად იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტის" 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილის გაყიდვის მიზნით კონკურსი გამოაცხადა. ინსტიტუტის საწყისი გასაყიდი ფასი 60 000 დოლარით განისაზღვრა.

"ინსტიტუტი მეტალურგპროექტის" საქმიანობის სფერო მეტალურგიული და სხვა ობიექტების წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაა. ობიექტის საწესდებო კაპიტალია 93 130 ლარი, დებიტორული დავალიანება - 2 427 ლარს, კრედიტორული კი 1 000 ლარს შეადგენს.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა საზოგადოების პროფილი და შრომითი კოლექტივი 10 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს. მყიდველმა საპრივატიზაციო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მოახდინოს.

დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხვალიდან დაიწყება და 18 მაისამდე გაგრძელდება. ტენდერი 18 მაისს გაიმართება. ინტერპრესნიუსი

სარფის საბაჟო შეამოწმეს

სარფის საბაჟოზე მოსაკრებლების გაუქმების შემდეგ იქ შექმნილი მდგომარეობა, მოულოდნელად, საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ანთელიძემ და ეკონომიკის მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა შეამოწმეს. ექსპორტიორებს სარფის საბაჟოზე უკვე არავითარი თანხის გადახდა აღარ უწევთ. გაუქმებულია ფიტოსანიტარული, ვეტსანიტარული და ტრანზიტის მოსაკრებელი. თანხა ტრანზიტის მოსაკრებელზე 100 ლარს შეადგენდა, ფიტოსანიტარულის, და ვეტსანიტარულის მოსაკრებელის თანხა კი 2-დან 100 ლარამდე მერყეობდა.

სარფის საბაჟოს შემოწმების შემდეგ, ზურაბ ანთელიძე და ლექსო ალექსიშვილი ადლიის საბაჟოზე მცირე მეწარმეებს გაესაუბრნენ. მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ მათ უკვე მეორე დღეა, არანაირი თანხა აღარ გადაუხდიათ სარფის საბაჟოზე, თუმცა ჩინოვნიკებს იმის გამო უსაყვედურეს, რომ ტვირთის განბაჟების გამო, რიგში დგომა რამდენიმე დღის განმავლობაში უწევთ. ინტერპრესნიუსი

კონფერენცია ახალი საბაჟო კოდექსის დახვეწის მიზნით

ახალი საბაჟო კოდექსის დახვეწის მიზნით დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" კონფერენცია გაიმართა. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით საქართველოში ჩამოსულმა ექსპერტმა დეილ ტორინსმა ქართველ პარლამენტარებსა და კოლეგებს კიოტოს განახლებული კონვენცია გააცნო და ახალ საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა.

როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, ახალ საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. დაგეგმილია კოდექსის მეორე მოსმენით ეტაპობრივი მიღება.

"ჩვენ კოდექსი რამდენიმე ნაწილად გავყავით და მისი მიღება ნაწილ-ნაწილ იგეგმება, რათა არ განმეორდეს საგადასახადო კოდექსის შემთხვევა და უფრო სრულყოფილი ახალი საბაჟო კოდექსი მივიღოთ," - განაცხადა კოვზანაძემ.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე მიიჩნევს, რომ საქართველო კიოტოს განახლებულ კონვენციას აუცილებლად უნდა მიუერთდეს და ამისათვის საჭიროა საკნონმდებლო ბაზის მოწესრიგება. ახალი საბაჟო კოდექსის მიღება პირველ ივნისამდე იგეგმება.

როგორც კოვზანაძე აცხადებს, პირველი ივნისიდან, სავარაუდოდ, ძალაში შევა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია ამჟამად არსებულ კოდექსთან შედარებით. ახალ საბაჟო კოდექსში მხოლოდ რვა საბაჟო რეჟიმი დარჩება, ამჟამად არსებული 15-ის ნაცვლად. ამასთან, მარტივდება განბაჟების პროცედურებიც. **ინტერპრესნიუსი**